

960/2



3

1960

චාරුවලුව

ජාතියාල්



ଓର୍ବିଜନାମି

608-400033

Concordia

କବିତା

ଶ୍ରୀମତୀ କଣ୍ଠାନ୍ଦୁଲୀ - ପିଲାଗାସିଂହାନ୍ଦୁଲୀ - ପିଲାଗାସିଂହାନ୍ଦୁଲୀ

საქართველოს საბაზოთა მუნიციპალიტეტის  
კავშირის აჭარის განყოფილების  
ორგანო

3 0 5 3 3 6 6 0

၃. နှောက်သာ—လျှော့ပြုခွဲ	3
၄. မဝလာဘိုင်း—အဖွဲ့အစည်းများ (လျှော့ပြု)	5
၅. လျောက်ပါ—မာမာ (မြတ်စွဲရောင်း)	7
မဝလာဘိုင်း—လျှော့ပြုခွဲ	13
၇. ဆီဆုပ်ပါ—လျှော့ပြုခွဲ	16
၈. နှောက်သာ—နိုင်ကြီ (မြတ်စွဲရောင်း)	18
၉. အုပ်စုလု—လျှော့ပြုခွဲ	37
၁၀. ဖုဒ္ဓရပိုဒ်—လျှော့ပြုခွဲ	39
၁၁. မကျော်ဆုံး—ဟိမိ စာအိုဝင် ဒိုက်လာပိုင်	
လွှာပေ ၁၇၆ စာအိုဝင် စာအိုဝင် (မြတ်စွဲရောင်း)	40
၁၂. ဆုပ်ဆူမြေ—နိုင်ကြီ (ဒုက္ခသာ)	44
၁၃. ဒုဇူးတွေ့ပြုခွဲ—ပိုဇ္ဇန်နှောက်ပြုခွဲ ဒိုက်ဝေပိုင်	
(မြတ်စွဲရောင်း၊ တာရိုက်မြေ၊ ဂ. မာန္ဒြာအံ့ဩ)	49
၁၄. စူးလုပ်လာနိုင်—ဗျာနှင့် ဟိုလှ (မြတ်စွဲရောင်း၊ တာရိုက်မြေ၊ ဂ. စူးလုပ်လာနိုင်)	55

1945 - 1960

ၫ. ဆုံးလောက်ပေါ်—မာရာလတော်ဒြောင် အလုပ်	
ပို့စ်	60
၆. ပေါ်လောက်ပေါ်—ပန်လောက်တော်ဒြောင် အလုပ်	64

მცენარეულის არქივის დაცვა

ၬ. ဝေးသောက်ပါရီ—အျေးစွဲပို့	68
ၭ. ပုဂ္ဂနိုင်လူပါရီ—အျေးစွဲပို့	69
၈. ဒုဇိုင်ဘာ—ဝေးစွဲပို့	70
၉. တော်မြန်မာ—အာဏာလှည့် မာရာလွှာပို့	71

3

1960

աշուն  
Ա 3 6 0 4 0

6. గుణాదులు—ఒగ్గితమమిసాక్షుర్యోదా—శాఖ-  
మితి అభ్యర్థిలు శ్రేమాడవ్వెన్నెల్లి  
నాళిలు . . . . . 84

### ఎల్లంకితములు కాల్వెడోరి

7. వింటోదు—ఎగుక్కి శ్రేర్వతిలులు తాత్కరిం-  
తుల్లి లొనికూ (డాబాడ్వెబిలు 120 ఫుట్లు-  
తాగులు గామ) . . . . . 86

### శుభమిచుపిలు

8. ఉపాధిశవిలు—అధిశింఘ, శాంతికార  
శాంతికార్మి . . . . . 88

### సాతిలు డి ఉపాధి

9. శుభమిచుపిలు—శ్రీపతిశ్రీహరి . . . . . 92  
10. కీసిపిలు—ట్యూస్ రంధ్ర శిశ్చర్త, శ్రీమర్మ  
సా గారు (థంతశ్రీరంబా) . . . . . 93

— — — — —

ర్యాజుక్కుంఱు శాఖలు  
సాధువుక్కుంఱ కుంఱుగుంఱ:

క. అశ్వలుదాను, న. గ్రాహిశ్విలు, త. లంకా, గ. శాంతిశ్రీహరి (శిశ్చర్త మిశ్రులు),  
అ. కీసిపిలు, ఔ. శాంతిశ్రీహరి.

## პარენ ჩერეა

### რამ შეგაურეოლა

რამ შეგაურეოლა, რა ცეცხლის ძალამ,  
სიხარულს რატომ დაუხშე კარი!  
რად გაიმეტე, რად დაამსხვრიყ,  
მგოსანო, შენი ძვირფასი ქნარი?

რად დაანარცხე გულმკერდი მიწას,  
სიკვდილს სად ძალუძს შენი გენია  
გააქროს სუსხით, გააქროს ყინვით,  
რაც გამოსტაცე მას, ხომ ჩვენია?

მთაწმინდის მთვარე სულ იქათქათებს,  
სამშობლოს ზეცა განა თალხშია?  
ის არასოდეს ალარ მოკვდება —  
შენ ჩანგის სიმმა რაც შეარხია.

მერი ცრემლებს ღვრის, ატმის ყვავილებს  
ძრავს, აცახცახებს ველური სევდა.  
ფიქრობენ, ნეტავ რა მოუვიდა,  
მგოსანმა თავი რად გაიმეტა?!

დაგვშორდი, მაგრამ მაინც ჩვენთან ხარ,  
ჩვენთან იქნები ყოველთვის, მარად,  
როგორც მუსიკა — მწარე ტკივილის  
საამებლად და გულგასახარად!

### შაბლონს ლექსი თუ აცდება

შაბლონს ლექსი თუ აცდება,  
რაც გინდ იყოს პატარა —  
ის გულს ისე გაგიხარებს,  
როგორც წყარო აწერა.

თუ კი წყურვილს მოგიქლავს ის,  
სიხარული დაგრჩება,  
ნასიცხარი ყვავილები,  
რომ შენში არ დაჭკნება.



სხვა მადლი აქვს პოეზიას,  
სხვა ძალა, სხვა თვისება!  
ბინას ყველგან იპოვის ის  
და სულს შეეთვისება!



ნესტორ მარაზონია

### ავტობუსი

ავტობუსი!

დამილოცავს ის მარჯვენა,  
სჭრაფმავალი მანქანა რომ გააკეთა.  
სიბერემ ხომ იგი მხსნელად მომაჩვენა,  
შემაყვარა ქშენით ქუჩის გადაკვეთა.

მაგრამ ერთხელ — არ დამცხრალა გული ჯერაც —  
ჩვეულებრივ მივადექი ავტოს კარებს.  
მძლოლმა იგი თითქოს მეტ ხანს შეაჩერა  
და მგზავრებმაც მკლავში ხელი წამატანეს.

— ეს, სიბერ...

აჩურჩულდა ერთი მგზავრი,  
ვინ გზას მაძლევს,  
ადგილს მითმობს,  
ვის ხელბარგი მოაქვს ჩემთან,  
ერთმა უფრო გამიღმავა გულის ბზარი —  
საწყალიო —  
და მილეთი მომაჩეჩა.

ელდა მეცა

და დავწევლე ავტობუსი,  
მივაფურთხე ნაწყალობევ სკამს და ბილეთს!  
ნუთუ ასე დავჩივდი, დავძაბუნდი?  
ნუთუ წლებმა დამჩაგრეს და გამაწბილეს?

მე ჭალარას გიშრის თმაშიც არ გავუცვლი  
იმ შემწყალე ქალიშვილებს და ყმაწვილებს —  
იმ ბატონებს,  
მოსაკითხს და მოწყალებას ვინც ატოლებს!

ეს ჭაღარა — ჩემი წლების თაიგული —  
მე ხალხსა და ქვეყანაზე ფიქრში ვკრიფე,  
მე მას ისე მაღლა ვიჭერ,  
ისე ვუვლი,  
რომ ვერ მისწვდეს სიბრალული მოჩიფჩიფე.

მაღლა ვიჭერ,  
სიამაყის გრძნობით ვვარცხნი  
და შევხარი,  
როგორც გმირი თავის ორდენს:  
ის ჯამია ჩემი შრომის,  
ჩემი ღვაწლის...  
მე მის აუგს ვერ ავიტან ვერასოდეს!



## პარენტობი

### გ ა მ ა

„და, მომავალმა თაობებმა ჰქონიერება; მაგრამ ისინი ხომ უნდა დაფიქტდნენ, რისთვის ცხოვრობლნენ და რისთვის იტანჯებოდნენ მათი წინაპრები“.

ანტონ ჩეხოვი.

ის ერთი უბრალო მუშა იყო, დატაკი და არაფრის მქონე, მაგრამ გულუხვი, კეთილი და სატიოსანი როგორც ყველა ღარიბი კაცი...

მან არ იცოდა რა იყო დაღლა. დასვენება არ ღირსებია, ქარხანაში კარგი მუშის სახელი ჰქონდა, მაგრამ უმუშევრად დარჩენის შიში არ შორდებოდა.

შვილებში უფროსი მე ვიყავი და წამდაუშუმ თვალით მზომავდა, ვინძლო დროულად მომესწროს და გვერდით ძმასავით ამომიღვეს.

ცამეტი წლისას გადამაცვა ჰყელი ხალათი და ქარხნისაკენ გამიყოლია.

პატარა არისო, მაგრამ უარი არ მითხრეს და საქმე მომცე...

სალამია, როცა შინ გბრუნდებოდით, მამამ ხელისგულზე დამხედა და ვარდისფრად ამდგარი კოური რომ დამინახა, გულისტკივილით ამოიგმინა.

„თავს გუფრტხილდი, ზომიერად იმუშავეო“, გამაფრთხილა და თავისი მძიმე ხელი, როგორც თანატოლს, მხარზე დამაღლ.

— არ მაჭირს, მამა, — ვუთხარი მე და მის ნაბიჯს ჩემი გავუთანაბრე.

იმ ღამეს ძილი არ მომეკარა. წავთვლემდი თუ არა, კუნთების ძაბვა შე-მაკრთოსდა და მრვფხიზლდებოდი.

მეორე ღილით ძლივს ავიტანე მოშლილი ტანი, მაგრამ მაინც არ წევიმჩნიე, მამს დავასწარ წამოდგომა და ტან-ფეხზე ჩაცმა.

მალ ყველაფერს შევეგუე და ერთი კვირის განმავლობაში ძველ მუშასა-ვით გამოიწაფე. ვაჟკაცურად ვურტყამდი უროს აგარვარებულ ლითონს.

შაბა სალამოს პირველი ხელფასით გახარებული დედას ვეახლე, გულში ჩავეკარ და ჩემი ნაშოვნი მთლიანად მას ჩავაბარე.

— ლერთო, შენ გმადლობ! — წარმოთქვა დედამ და ჭერს ახედა.

— კრს რად უცერი? ხელზე დახედე. — უსაყვიდურა მამამ მეუღლეს და შემურულ კედლებს თვალი შეავლო.

— დაკოურებია. — არც ისე წყენით თქვა დედაჩემმა და დაუმატა. — ვაკაც ამშვენებს ხელზე კორები.

— დიახ. ამშვენებს. — გაიმეორა მამამ, მაგრამ სულ სხვა ტონით. ერთვეული დედამ გაიგო რას ნიშნავდა მამის ნათქვამი და ლოყები შეფერადის მომართება.

— რა ვუყოთ მერე. მუდამ ასე ხომ არ იქნება. — თქვა მან მამაჩემის გასა-მხნევებლად. — წამიზრდება, დავაუკაცდება, უკეთეს სამუშაოსა და საქმეს იპოვის, თავსაც მიხედავს და სხვებსაც უშველის.

მამამ ღუმილი არჩია და მწარე ნაღველი თამბაქოს კვამლში გახვია.

დღე დღეს ცვლიდა და ღამე ღამეს. იცვლებოდა წელი და ზამთარ-ზაფხუ-ლი. ქარბუქი და უამინდობაც იცვლებოდა დარითა და მზიანი ღლებით; მაგრამ ჩვენი ცხოვრება ერთნაირად უცვლელი და უფერული იყო. მუდამ ავდარი და უამინდობა იდგა ჩვენს კართან, მუდამ შიძშილისა და სამუშაოს დაკარგვის ში-ში დაგვტრიალებდა თავზე ან გულქვა პატრონი მოგვიხდებოდა ბინის ჭირისათ-ვის და ბოქაულით დაგვაშინებდა.

მაგრამ ამ დროსაც მხნედ იდგა მამა. მომავალს იმედით შესცეროდა.

ერთხელაც ბედის აუგი არ დასცდენია. დაბადების დღე არ უწყევლია. სინდის-ნამუსი არ ჩაუწიხლავს, მოყვასი ფულში არ გაუცვლია, სისართლისათ-ვის გვერდი არ აუვლია და საკუთარი მკლავის მეოხებით მოწყილება არ უთხო-ვია.

...და ერთხელ, როცა ოდიოგან ნანატრმა სიომ სისხლისფერი ცაქის მოახ-ლოების წინამორბედად ამოიქროლა და მრავალწლობით მონობაში მყოფთ დიადი ბრძოლების დაწყება ამცნო, — მამა პირველი დადგა დროშმთან და ბა-რიკადებზე გასულ ვაუკაცებს ძმობა შეჰქიცა.

ამ ბრძოლების დროს დაიჭრა იგი. დაიჭრა, მაგრამ არ დაცემულა წყლული შეიკრა. შეიხორცა და კვლავ ბარიკადებს მიაშურა.

თვისუფლებისა და ძმობა-ერთობისათვის!

ხალხის ბედნიერი მომავლისათვის!

ჩვენი შვილებისა და შვილთაშვილებისათვის!

განა ერთი და ორი ბრძოლა მოიგო მამამ, განა ერთი და ორი ამხანაგი და თანამებროლი დატოვა ველზე გულგანგმირული?!?

განა მილიონებმა არ შესწირეს სიცოცხლე ჩვენს მომავალსა და ბედნიერე-ბას?!

— ეს თქვენთვის, შვილებო, თქვენთვისა და მრავალი მილიონი თქვენის-თანებისათვის. — გვეტყოდა ხოლმე ბარიკადებიდან დაბრუნებული, და გამარჯ-ვების სიმღერას წამოგვიწყებდა.

ბავშვი ვიყავი, მაგრამ მხეროდა, რომ ჩვენი მამების დაღვრილი სისხლი ახალი ქვეყნის ასაშენებლად გადგმულ სიძირკველს იღულაბებდა.

ეს რწმენა იყო ურყევი და მას ბზარი არ გაჩენია.

მალე ამოულექ მამას ძმასავით გვერდით. ძალ-ლონითაც გავუანაბრდი, მაგრამ ის მაინც უფროსი იყო, ჩემზე დიდი და გავლენიანი, მე მაინც ბიჭი და მისი საზრუნავ-მისახედავი. ახლაც არ შორდებოდა ჩემზე ფიქრი და რარდი. სა-

კუთარ ლუკმის ახლაც ზოგავდა ჩემთვის და სხვა შვილებისთვისაც. ლამინი შძინარეს ჩამოგვივლიდა და გადახდილ საბანს წაგვახურავდა.

მოჭარბებული შეჩერენებოდა მამაჩემის ეს ყურადღება. ზოგჯერ მოჭარბებული რომ კვლავ ბავშვად მთვლიდა და დარიგებას დამიწყებდა. მე დიდი ვაჟუ, უკუკა კაცი, მისგან დამოუკიდებლად შემეძლო თვის რჩენა და არსებობა, მაგრამ ხშირად მაინც მისური გამექცეოდა თვალი, როცა იგი ჭიბისაკენ წაიღებდა ხელს. ამ დროს მე მაინც პატარა ვიყავ და მამის ჭიბიდან ამოლაგებული სა-ჩუქრებისა თუ ტკბილეულის მომლოდინება.

ის ჩემი კეთილისმდომელი მამა იყო და მე მისი ერთგული შვილი. გვაუბრობდით მამაშვილურად.

ზოგჯერ ვდაობდით ძმურად.

ხან ვპაექრობდით და უბრალო საკითხს დიდი მსჯელობის საგნად გავხდი-დით. ხშირად რამდენიმე დღე გრძელდებოდა ჩვენი კამათი და ბოლოს ჩემი დატუქსვით მთავრდებოდა.

მე ვაჭარბებდი, როგორც მოსდით ხოლმე თავშეუკავებელ ჭაბუქებს უფ-როსთან კამათის ღროს.

ერთხელ სწორედ ამაზე მისაყველურა:

— თავშეუკავება არ იცი, უფროსის მოკრძალება და რიდი არ გაქვს. ზოგ-ჯერ დათმობაც უნდა იცოდე.

ახლა რატომლაც დავკარევ ზომიერება და მივახალე:

— კონსერვატორი ხარ, მამაჩემო!

ის უცებ შეცბა. მან არ იცოდა ამ უცხო სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ უკმეხად ნასროლი სიტყვა იუკადრისა და ფერი ეცვალა.

ეწყინა...

დიდხანს ერიდებოდა ჩემთან საუბარს. მაგრამ ერთხელ უნებლივთ მაინც ჩავებით პაექრობაში. ზომიერებამ ახლაც მიღალატა და კვლავ ის უცხო სიტყვა გვაიმეორე.

— გასაგებია. — მიპასუხა მან. — შენ ფიქრობ, რახან ძველი დროის კაცი ვარ, სიახლეს თვალებს ვერ გაუსწორებ. ადამიანი, რომელიც მუდამ წინ იყუ-რება და ხვალინდელი დღისაგან უკეთესს ელის, არასდროს არ ჩამორჩება, ნატკებნი გზით სცლას არ აირჩევს, კონსერვატორობას მას ვერ დასწამებ.

ჩანს, მამამ უკვე იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა კონსერვატორი.

— სიახლის გრძნობამოკლებულ კაცს თუ მიუდგება ეს სახელიო. — დაუმა-ტა მან.

შევეკამათე. გადმოვალაგე ჩემი ცოდნის მთელი მარაგი. მოვიშველიე გა-მოჩენილი მოღვაწეები, გაზეპირებულ ციტატებს წავავლე ხელი, მაგრამ მაინც ვერ გავტეხე მამაჩემის სიკერპე თუ უინიანობა.

და ლამის დავკარგეთ მამა-შვილობა.

არ დავუთმე არც ერთი გოჭი, არ ვაპატიე არც ერთი სიტყვა და დავიჩემე, რომ მართალი ვარ და იგი ცდება.

— არა უშავსო, — გულდაწყვეტით თქვა. — ალბათ, ოდესმე დრო დადგე-ბა და მოგესურვება ჩემთან კეთილად გასაუბრება, მაგრამ ვერ შეძლებ. გვიან იქნება და მაშინ იგრძნობ შენს შეცდომას და დანაშაულს.

მე ეს სიტყვები არც კი ჩავთვალე დამახსოვრების ლირსად.

მამა მოულოდნელად გარდაიცვალა. სიკედილსაც ისე ებრძოდა, ჟუჟეფუტულებული ჭროს ბარიკადებზე მოსეულ მტრის ურდოებს. მაგრამ მუდამ გამოიყენებოდა ჩვეულს, აյ დამარცხება ხვდა წილად და...

დაცე...

მე მაშინ იმ ასაკში ვიყავი, ყოველგვარ მწუხარებას იოლად რომ იტანს და ურიგდება აღამიანი.

ახალგაზრდობა, ჭარბი ძალ-ღონე, სიცოცხლისა და სიყვარულის ურყევი ნდობა მედგა იმედად და მამხნევებლად.

ვიდექი მოწყენილი და დაღვრემილი და უკანასკნელ გლოვის დღეებს ჭირისუფალის გამძლეობით ვიტანდი. გულწრფელ მაყლობას ვეუბნებოდი სამძიმრით მოსულ მოკეთებს და გამოწვდილ ხელს ზანტად ვართმევდი.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ ტოლ-მეგობრები და ამხანაგები. მოვიდა ისიც, რომლის შეხვედრა ჩემი გულის მომატებულად აძგერების მიზეზი იყო... მოვიდა მორცხვად, მაგრამ კეთილად და პაწია ხელი გამომიწოდა.

ალბათ, უარეს დღეში მყოფსაც გამამხნევებდა მისი ნუგეში და თანაგრძნობა.

დედა ტიროდა გულამომჯდარი, გულის დამთუთქველ სიტყვებს ამბობდა და კუბოს ორგვლივ შემომსხდარ ქალებს თავის ჭირ-ვარამს უზიარებდა.

მიკვირდა, რომ ეს მორცხვი და უენო ქილი დღეს, ამ ზღვა ხალხში ასე თათამაზად და მოურიდებლად ამხელდა თავის გულის დარღდა და ნალველს. ამბობდა იმას, რასაც არასდროს არ იტყოდა სხვის გასაგონად.

მეძრახებოდა. მოჭარბებულად მეჩენებოდა დედაჩემის ეს საქციელი, მაგრამ სხვები რომ არ უწუნებლენ, მეც შევეგუა.

ჩემი უმცროსი დებიც ტიროდნენ, მაგრამ უსიტყვოდ.

პატარა ძმები ზლუქუნობდნენ და ზმუღნენ გულშემზარავად.

მე კი ვიდექი, ვიდექი უხმოდ. თავმომწონესა და ამაყ ჭაბუქს, ალბათ, ცრემლი მესირცხვებოდა და შეუმჩნევლად ვიმრიბდი და ვიპარავდი.

ახალგაზრდობა, სიჭაბუქ, სიყვარული და ხვალინდელი დღე იდგა იმედად და მეც ხვალინდელ დღეზე ვფიქრობდი.

\* \* \*

გავიდა წელი. ერთი, ორი, ათი, თხუთმეტი, ოცი და...

მრავალგვერ იცვალა ცხოვრებამ სახე.

ბევრი ტკივილი წაიღო დრომ, ბევრ წყლულს დაადო მაღამო და მოაშუშა. ბევრი ნალველი გადაიტანა და გადანისლა და...

ჩვენს ოჯახშიც ბევრი რამ შეიცვალა და შემობრუნდა.

დები დაიზარდნენ, დაქორწინდნენ და ოჯახი შექმნეს. ძმებიც ცოლ-შვილით დაიტვირთნენ და ლალად ცხოვრობენ. მე ხომ აღრევე დავიდგი თავი და საკუთარი კერა გავმართე.

დედა?

მან ვერ გაუძლო წელთა სიმრავლეს და...

მისი დაქრძალვისას მოგვაგონდა ბედერული მამა და მისი საფლავიც ჭრინახულეთ. მოვინახულეთ, მაგრამ განა დაეგშვით მუხლზე და იმაგრესათვის მაღლობა გადავუხადეთ? არა. მოვინახულეთ. მხოლოდ მოვინახულეთ ჭრუნდეთ შეუძლებელი ბრუნვით.

— ეს იყო მაშინ...

3

დღეს მე ვარ მამა და შვილთან ვსაუბრობ. იგი სტუდენტია და ფილოსოფია ჩასჭიდებია. ბედნიერი და კმაყოფი უ ვარ, რომ ხალხის ბედი ასე შებრუნდა და მრავალ მილიონ შვილთა შორის ჩემი ვაჟიც ბედნიერია.

ჩვენი უბრალო საუბარი პაექრობაში გადაიზარდა და მალე ცხარე კამათად იქცა.

როდესაც მამა ვაჟკაც შვილთან ქამათობს, მაშინაც ფიქრობს პატარას ესაუბრება და ჰქუის არიგებს, საკუთარ ბავშვობას იგონებს და ოუნდაც იქ არაფერი ჰქონდეს საქები და მისაბაძი, მაინც ბევრს რამეს კარგს მიიწერს და მაგალითზე მიუთიობს.

ალბათ, მეც ეს გამომრჩა მხედველობიდან...

— შენ, მამაჩემო, კონსერვატორობ.—ნაწყენი კილოთი მომმართა შვილშია.

— მე... მე ვარ კონსერვატორი? — მეწყინა და ეს წყენა იმ შეკითხვაშივე ჩავაჭსოვე.

— ასე გამოდის. — მშვიდად მითხრა მან და ნათქვამის დასამტკიცებლად რაღაც საბუთიც კი მოიყენა, მაგრამ ის აღარ მომისმენია, სიბრაზემოჭარბებულს ამის უნარი სად მქონდა.

— მაგრამ შენ იცი რა არის მამა? — შევძახე მე. — არა. არ იცი. არ იცი, რადგან არა ხარ მამა. არა გყავს შვილი. არ გიგრძნია მისი ალერსი და სიყვარული. მის საწოლთან არ გითევია გრძელი ღამეები, როცა იგი მძიმე ავად ყოფილა, გული ცეცხლით არ მოგწვია, როცა მას უთქვამს მშიაო და შენ კი ამ დროს პურის ნატეხის მიწოდების საშუალებაც არა გქონია.

დიახ, არ იცი, რა არის მამა. არ იცი, რადგან არა ხარ მამა. ხოლო მამაშენს ისე უცქერი...

მაგრამ უეცრად დამება ენა და ექამდე ჩემთვის შეუმჩნეველი წყლული გაშესნა.

მამაჩემი მომაგონდა და მასთან გასაუბრება მომესურვა.

მისი სახე დამიღვა თვალშინ და მისი ნათქვამი გამახსენდა.

ნეტავ შეეძლოს ჩემი სიტყვის მოსმენა!

დავეშვებოდი მის წინ მუხლებზე და შენდობას ვთხოვდი. დავუკოცნიდა შრომით დაკოურილ ვაჟკაცურ ხელებს, ხელებს ჩვენს აღზრდაზე შეგუებულსა და გადალეულს. ჩავეკვრებოდი მხურვალე ჯულში, გულში, რომელშიც მოძრაობის შეწყვეტამდეც არ ჩამქრალა შვილების სიყვარული და პატივისცემა.

მაგრამ ის აქ არ იყო და ჩემს სურვილს ფრთას ვერ შევასხამდი.

მასთან მე ბოლიშს ვერ მოვიხდიდი და მისგან შენდობას ვერ მივიღებდი— დაგვიანებულ სინაზულს ლირსება და ფასი არა აქვს.

და გული დამწვა უხილავმა ცეცხლმა. ახლა ვიგრძენი მამის სიყვარული /  
ჟიახლოვე, ვიგრძენი, რადგან ახლა თვითონ მე ვარ შვილიც და მამაცერერეც უდე  
და როგორც შვილმა, ახლა დავღვარე ის ცრემლები, რომელიც მიწადება მარტინ

შორების ეამს, მამის ცხელართან უნდა გაღმომელვარა.

შვილმა შენიშნა ჩემი წყენა, მაგრამ ბოდიში არ მოუხდია.  
„მართალი ვარო“, ახლაც ჯიუტად გაიმეორა და კამათს მორჩია.

— დიახ, შენ მართალი ხარ, ჩემო ძვირფასო შვილო, მართალი ისე, რო-  
გორც მე ვიყავი მაშინ მართალი, მაგრამ მართალი იქნება ის შენი შვილიც, ასე-  
ზე სიტყვებით რომ მოგმართავს და შენს ამაგს ასევე გაგინიავებს.

შვილმა გაკვირვებით შემომხედა და შემეკითხა:

— რა გსურს ამით თქვა?

— რა მსურს ამით გთქვა?

ნუ დავუკარგავთ წინაპრებს ამაგს, გვახსოვდეს, რომ იმათი სისხლით  
და ბრძოლით ლირსებია წალხს გამარჯვება და ჩვენ — მათ შვილებს — სამური  
და ბედნიერი დრო.

ყოველობის და ყველგან სიყვარულითა და მაღლიერებით ვიხსენიებდეთ მათ  
ჟანელებს.



## მარჯან

### ბეჭუმის ცის ჩვევა

გადავიარეთ იალალები,  
 შემოსილები მწვანე ხავერდით  
 და მთის ჰაერით განალალები  
 ნაძვნარ ბეშუმში სწრაფად ავედით.  
 მართლაც კარგია ტყეში ბეშუმი,  
 ამ აგარაკამა სხვები დაჩრდილა,  
 ამოქარგული მზის აბრეშუმით  
 მთა საუცხოო იყო ნამდვილად!  
 ილიმებოდა ცა მოწმენდილი,  
 ტყეში გალობდნენ წყნარად შაშვები,  
 ძირს, მწვანე მოლზე, ფეხმოკეცილი  
 დედებთან ერთად ისხდნენ ბავშვები.  
 ეს ყველაფერი გასახარია:  
 თვითონ ბუნება, ხალხის მოლხენა,

დიღი, პატარა, ყველა არიან  
 იქ თავმოყრილი ჩვენს მოსასმენად—  
 და ღია ცის ქვეშ გაისმა სიტყვა.  
 ლელავს პოეტი ხალხის წინაშე,  
 ლექსებს სიმღერა და ცეკვა მიჰყვა —  
 ვაუის გმირობა, ქალის სინაზე.  
 ჭელ საბერძნეთში თავი მგონია,  
 ხალხური როკვა თვალს იტაცებდა,  
 უშუალობას ძალა ჰქონია —  
 გუგუნებს ტაში და აღტაცება.  
 გზას გავუდექით კმაყოფილები,  
 რომ შევასრულეთ მოვალეობა.  
 გვესალმებოლნენ მთის ყვავილები  
 და გვაცილებდა მწვანე ხეობა.

### რომ გავხედავ ჩაის მწვანე ბალიშებს

რომ გავხედავ ჩაის მწვანე ბალიშებს,  
 თქვენ გიგონებთ, ასმათი და აიშე,  
 თუ რამდენი მუშაობა გჭირდებათ,  
 ვიდრე ბუჩქი თქვენი ზრუნვით  
 იზრდება!

რომ გავხედავ ჩაის მწვანე ბალიშებს,  
 ეს ფოთლები თქვენ შრომაზე  
 განიშნება:

წვიმა არის თუ მზიანი დარია,  
 მუშაობა არც ერთს დაუზარია.

არ ლალატობთ მწვანე ჩაის  
 ბალიშებს,  
 ვერსად წახვალთ, ეს ბუჩქები არ  
 გიშვებთ,  
 დაბრკოლებებს მეღგრად რომ  
 ეურჩებით,  
 შეილებივით გახარებენ ბუჩქები.  
 რამდენი ჰყავს მწვანე ჩაის ბალიშებს  
 ერთგულები — ასმათი და აიშე!  
 ჩვენი ქვეყნის გარდებო და იებო,  
 დიდება თქვენ, ტურფა მეჩაიებო!

## გოდერძის უღელტესილზე



ვერ მოვასწარით გოდერძზე მისვლა,  
რძისფერ ლეჩაქში გაგვხვია ნისლმა.

ორ-სამ ნაბიჭე ვერაფერს ვხედავთ,  
როგორ მივაღწევთ საღამოს ქედას?

წარმოვიდგინე უცბად, ერთ წამით,  
რა საშიშია ყოფნა აქ ლამით...

თითქოს ჩემს ფიქრებს უსმენდა ქარა,  
მოულოდნელად გაიღო კარი:

მიგვიპატიუეს. დილიდან თურმე,  
აქ მოგველოდნენ ჩამოსულ  
სტუმრებს.

გაშლილი იყო კოხტად და სუფთად  
გემრიელი და გულუხვი სუფრა.

კვლავ მასპინძლები თავს გვაღენენ  
მცველად,  
გათოშილები გავცოცხლდით ხელად.

აქედან წასვლა არავის გვინდა:  
გარეთ ციოდა და წვიმა სცრიდა.

## ნ ა ღ ი მ ზ ე

უაზით დაფარულ აივანზე გაშლილი სუფრა.  
ქარვის ჩხავერით ელვარებენ ბროლის ჭიქები.  
ქართული წესი, აღათები ჩვენ დაგვეუფლა,  
თამაღის სიტყვა იღვენთება გრძნობით და ქებით.

„ვერვინ შეარყევს ჩვენს გმირობას, იმედს და  
ნდობას,  
ათი ათასი სურვილები მთასა და მდელოს,  
პარტიას, ხალხსა, მშრომელებსა, ახალგაზრდობას,  
კიდევ და კიდევ დღეგრძელობა ჩვენს  
საქართველოს“.

ეს დღეც წავა და არასოდეს განმეორდება...  
ეს დღეც ჩაბარდა საუკუნოდ უამთა მსელელობა...

დგება თამადა, მოხდენილად წელში სწორდება,  
 რომ ადლეგრძელოს ლამაზ სუფრის შემადგენლობა.

მოქრძალებული ვაკვირდები მასპინძლის იერს,  
 რისთვის შეაქმ მხნეობა და ჩემი ჭალარა?  
 ისმის ხალური „ურმული“ და „მრავალეამიერ“  
 და მენანება, ამაღამ რომ ვტოვებ აჭარას.

აქ დღეს სუყველა გულწრფელია, ყველა რაინდობს,  
 ზეიმს ამჟობენ ახალგაზრდა, ტურფა ქალები.  
 ვიცი ჩემს სურვილს ამ სუფრაზე არვინ დაინდობს  
 და ჩუმად შევსვი სადლეგრძელო ლურჯი თვალების.

## ვ თ ე რ - ჟ ა ლ ს

ქედაში მე ეთერ-ქალი გავიცანი.  
 გიშრისფერი თვალები აქეს გრძნობით სავსე,  
 ტანწერწეტა, მონარნარე, ეშხიანი,  
 მე მაშინვე ზლაპრულ ეთერს მივამსგავსე.

არ გეგონოთ ობოლი და დაჩაგრული,  
 რომ ფერმკრთალი პირისახე ჩამოსტირის,  
 ის ვარსკვლავებს შესთამაშებს ნათელ გულით —  
 ეთერ-ქალი მღივანია კომკავშირის.

ქალი მხოლოდ სიყვარულში გაკაუდება.  
 უსურვებდი: შეხვდეს ქმარი თვალსაჩინო,  
 ბედნიერი იყოს მუდამ, გახდეს დედა  
 და სამშობლოს ერთგულები გააჩინოს.



## ქსენია მშავია

### ს ა ზ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

მოვიდა, მოსცლა არ დაახანა,  
ჭრელი ფარჩებით,  
ტკბილი ჰანგებით,  
მის მაღლს ელოდა ბალი და ყანა,  
სავენახეთიც და სავარდეთიც.  
ფეხდაფეხ მოჰყვა ჩანჩქერთა ტაში,  
ვარდ-ყვავილების ღიმი უბადლო,  
ასე მგონია, ქვეყნად რომ გავჩნდი,  
ამგვარ გაზაფხულს უნდა ვუმადლო.  
ასე მგონია, თუ გული ფეოქავს,

თუ სიხარულით სულს ემღერება,  
გაზაფხულს მოაქვს სიცოცხლე  
ქვეყნად,  
სიყვარული და ბეღნიერება.  
აგავსებს ჯანით,  
გაგურნავს სნეულს,  
მტრედების ფრთებით დახატული  
ცა...  
მაღლობა მზეო!  
მაღლობა დღეო!  
მაღლობა ღილავ გაზაფხულისა!

\* \* \*

ისევ ვიხილე ზღვა უშფოთველი,  
ვეწვიე ბალმებს,  
ნაძვებს,  
მიმოზებს,  
მშვენიერება თვალისმომჭრელი

გაფენილიყო სანაპიროზე.  
ნიავეარს წუთით არ ქონდა მოცლა,  
უნავებდა ვარდებს, გვირილებს;  
იებმა თვალი ჩამიკრეს მორცხვად,  
აპრილია, — ჩაილიმილეს.

\* \* \*

თითქოს მერცხალმაც გამიგო ფიქრი,  
ფიქრი, რომელსაც გულში ვფარავდი,  
ფრთა ფრთას შემოქმერა ისეთი რიხით,  
თითქოს მოჰქონდა შენი ბარათი.  
გამქრალა სევდა...  
ჰა, საოცრება! —

ჩრდილიც არ დარჩა გულშე  
მცირედი,

შენ ჩემთან იყავ. ჩემო ოცნებავ,  
და დიდ სიხარულს ვინაშილებდით.  
ვიდექით მზის ქვეშ, მზით  
გარუსულნი,

გვაცრიდა სხივთა ნაზი ფანტელი,  
ყურადღი მესმოდა შენი ჩურჩული,  
ასე ძვირფასი და სანატრელი.

და ვიდრე ფიქრი ფიქრზე ავკინძე,  
ვიდრე შევცინე ცას ტრფიალებით,

\* \* \*

მანაც გადიხსნა ბროლის საკინძე/

და შემომხედა შენი თვალგმით.


ეროვნული  
გიგანტითი ეროვნული

მე ყველა კვირტში სიცოცხლეს  
ვხედავ.  
ყოველი ფოთლის სუნთქვა მახარებს,  
აპრილს ვეძახი სიცოცხლის დედას,  
სიცოცხლესავით ტკბილს და  
საყვარელს.  
აპრილმა შობა გენია დიდი,  
საუკუნეებს ვინაც ეყოფა.  
მოძმეთა გულთან ვინც გადო ხიდი,  
მტარვალებს მკერდით გადაელობა.  
მისი სახელით შევებით ბნელეთს,  
გათოშილ ხელში დროშა გვეჭირა,  
ის გაზაფხულად მოედო ხმელეთს,

უდაბნოები ააჯევილა.  
სიცოცხლევ ჩემო,  
მამულო ჩემო,  
გმირების სისხლით მკერდდანამულო,  
რა იქნებოდი ქვეყნად უმზეოდ,  
რა იქნებოდი უგაზაფხულოდ?!  
... და მეც მახარებს ვარდების თოვა,  
სულს ელხინება,  
გულს ემღერება,  
რაღვანაც მხოლოდ გაზაფხულს  
მოაქვს  
სიყვარული და ბედნიერება.



2023



## კაპიტონ რუბენი

### ნ ი ბ ა რ ი

— წალი!.. გამშორდი!..

— ა?.. წალი!..

— დიახ, წალი!.. ქალი შევირთე მეგონა... ცოლი მოვიყვანე მეგონა... შენ კი... არა, ჩვენი ერთად ცხოვრება აღარ შეიძლება!..

— გეგონა?!.. აღარ შეიძლება?!.. ჰო, მართლა აღარ შეიძლება, რამაზ!.. ვეც კაცი მეგონე, შენ კი ჩავარი ყოფილხარ... ჰოდა, მორჩა!..

მამაკაცის მჭახე ხმა პირშესუდრულ ცაში საავდრო ქუხილის გრვინვას გავდა, ქალის კენესანარევი ჩურჩული კი მინის წერიალს მოგაგონებდათ, მაგრამ ერთ ხმაშიც და მეორეშიც გაბზარული ეუვნის ყდარუნივით მოისმოდა გორიზ გულთა ძალუმი დაგადუგი.

მამის ლრიალზე ბავშვები ძილი დაუფრთხდა, აიპოპრა და ატირდა. გაოგნებული დედა საწოლთან მიიჭრა, პირშოს აზრმიულებულად დასტაცა ხელი, თხელი საბინითურთ აიტაცა. აიგანზე გაიბარბაცა, კიბის საფეხურები ძლიერდლივობით ჩაითვალა, ჭიშკარი ვაიტურა. ფართო შარავზა უკან მოუხედავად გადასჭრა და სწრაფად დაეშვა ხეივანში, ელვასავით დაკეცილ ბილიქზე.

— ასე ეკუთვნის, აბა არა? რაც დაოტესა, ის მოიმეა! — ღია ფანჯარისთან გაქვევებულ რამაზს უკანა ოთხიდან შემოქადა მოხუცმა დედამ. — კარგად ქნი, შვილო, კარგად! ყველა კაცური კაცი ასე იზამდა! აბა არა?! ვის რათ უნდა ამფერი ცოლი, ამფერი რძალი! გოთხოვილი ქალი შინ უნდა დაეტიოს, ქმარ-შვილს მიხედოს, ოჯახს მიხედოს!.. იგი კი... არა, მეგი ნიგარი არ იყო საჩვენო ქალი! მიგის რძლობაზე თავიდანაც არ მთქვამდა გული, მარა შენ აიჩემე და.. ა, ახლა მოდი ჭკუაზე!.. ხომ ხედავ, როგორ მოსცოცხა! ეტყობა, გაქცევამდე ერთი სული პქონდა!.. ჰოდა, ირბინოს ახლა რამდენიც უნდა!.. შენ მოდი აგერ, ერთი-ორი ლუკმა ვადაყლაბე, თორემ ზილის აქეთ ხევსი არ აგილა... მოდი, ჰო!.. გამოსავალი სისხლი არ დაკავდება, უნდა გამოსულიყო და გამოვიდა, მორჩა და გათავდა!.. გეყურება? არც იმ ნიგარზე და არც იმ ბარტუზე აღარ გაიკარო გულში! ქალის მეტი რა ამ ქვეყანაზე, ყველაფერს მოესწრები! აბა არა?! ჰოდა, მოდი აგერ, მოდი არ გეყურება?!

რამაზმა საბერველივით ამოიქშინა. ბრაზისაგან ყბა კინალამ მოექცა. ამ და-ლოცვილს სადილი მზად თუ ჟქონდა, რალად წაპკიდა შეილი და რძალი, ანდე ახლა რამაზს რა შევქვად უნდა საჭმელი. ლუქმა ხომ ბურთივით გაეჩჩირება ყულში! მაგრამ დედას უარი მაინც ვერ შეპკადრა, მორჩილად მიბრუნდა და მარტივი უშლეს დატოვებული უკანა კარი ხელის ფათურით უეალო. კარმა გაიჭრიალა. გულსაკე ლავად გაიჭრიალა. იმ ჭრიალმა კი თითქოს ნიგარის უურამდე მიატანა, გულში ნემსივით უჩხვლიტა და ერთბაშად მოუსავა, მოთენთა, მოტეხა.

— გამაგდო!.. ხელი მერა!.. გამიმეტა და გამწირა!.. ოხ, რამაზ, რამაზ!.. — უკრემლო ჩურჩულით ამოიტირა ქალმა. წყაროსთან გაბარდნილ შეერის ბუჩქებს მიეტარა. ლოდზე ჩამოვდა და ჩაძინებული პირმში შუხლებზე ფრთხილად დაიწვინა. — მეც გამიმეტა, შენც გაგიმეტა, შვილო!.. ოხ, უგულო, უგულო!.. ამას ველოდი მისგან?! ესაა მისი ფიცი-მტკიცი?! მაგრამ... ოხ, ღმერთო, ცხადში გარ თუ სიზმარში?!

ირგვლივ ყველაფერი სილალისა და სიხარულის შარბათით ოვრებოდა. მზე კაშვაშებდა. ფერდობებზე მწვენედ მობიბინე ჩაის პლანტაციებში ნასადილევს სიცილ-კისკისით მოშურებოდნენ ჭილისქუდებიანი ქალები და გოგონები. მანდარინისა და ფორთოხლის ბაღებში ჭაბუკები ნაყოფით დახუნდლულ ხეებს წამალს ასხურებდნენ, თან ისე ომახიანად და მხიარულად გაპყიუინებდნენ — „ერთი გოგოს დარღიძანა დამწვარი გარ შიგნიდანაო“, რომ, ეტყობოდათ, დარღის ნატამალიც კი მათ გულს ახლოს ვერ მიეკარებოდა. ფართო შარაგზაზე „მწვანე ოქროთი“ გადალაღული ავტომანქანები მივრუხუნებდნენ. მოსარეულ ცას ტყვიისფერი თვითმფრინავი ზუზუნ-ზუზუნით მიაპობდა. მთის ძირას, ხელისგულის თდენა შევაებაზე ელექტრომავალი მისრიალებდა. ლილისფერ ზღვაში ხაჯალივით შეჭრილ ბათუმის კონკეთან დიდ-პატარა გემები მიჯარულიყვნენ და მზის სხივებზე თვალის მოჭრელად ლაპლაპებდნენ. ნელი ზღვაური პეპლის გუნდივით დაფარფატებდა და ბარაქით კალთადამძმიმებულ მიწას სამოსუნთქვით უზბლს უგრილებდა... დიახ, ირგვლივ ყველაფერი სილალისა და სიხარულის შარბათით ოვრებოდა, იცინოდა და მღეროდა, ჰაბარობდა და ზეიმობდა. ნიგარი კი... ნიგარი აღმაც მევდარი იყო და აღმაც ცოცხალი.

— გათავდა... მორჩა... გადაწყდა... — კალავ გულის დუღილით აღმოხდა უმოწყალოდ ხელკრულ ქალი. მრგვალი მხრები ვერხვის ფოთოლივით შეუთროთლულად და გრძელ წამწამებზე ვერცხლის მიხვები ჩამოეკიდა. — მერედა, როგორ უცებ გადაწყდა, როგორ უცებ და იოლად!.. ოხ, რამაზ, რამაზ! ნუთუ ასე, ხელის ერთი დაკვრით შეგვიძულე და გაგვიმეტე მეც, შვილიც!.. ჩვენი ცოდვა ეწიოს დედაშენს!.. იმის, იმის ბრალია ყველაფერი!..

ჰო, იმ გულშავი დედამთილის ბრალია. მან ვერ აიტანა, ვერ შეითვისა ახალგაზრდა ქალი. კერასთან მიზაჭვა მოუნდომა. ბუზღუნითა და წყალი-კრულვით სული ამოართვა. მუდამდე ჩასჩიჩინებდა: ქალი ზარ თუ ქაჭი, შინ დაეტიე, ქმარ-შვილს მიხედე, ოჯახს მოუარე, რა გეკრებება და გესხდომება. ანდა რა გაგვიშირდა, შენ რომ არ იმუშაო. ისე ვერ შეგინახავთ თუ რაო. ნიგარი კი უთმენდა. შესაშური სიმშეიდით უთმენდა. ერთი უბირი სიტყვაც არ დასცდენია. ციბრუტივით ტრიალებდა ჩაის პლანტაციაშიც და ეზოშიც. თვითონ ძილსა და მოსვენებას იყლებდა. ოღონდ ქმარსა და შვილს სადილ-საუჩმე ან გარეცხილ-დაუთოვებული არ მიყლებოდათ. დედამთილის სახელსაქ-მოსაც ხშირად თვითონ თაობდა, მაგრამ არ იქნა და ვერ მოიგო გაკერპებული

მოხუცის გული, ვერ შეაყვარა თავი, ვერ გამოსტყუა დედფრი სითბო, თუმცა  
ალერსი კი საოცნებოდ ენატრებოდა ბალონბიდანვე დედ-მამით ობოლს...

ეხ, რამაზ, რამაზ! შენაც მუდამ თავჩაქინდრული იდექი მოხუცის უძველესი უძველესი თქოს დამუნჯდი, ერთხელაც ხმა არ ამოგილია და შენს მეუღლეს არ გამოქმა-  
გებიხარ. დედაშენის რისხევისა გეშინდა. თუ ამ ბოლოდროს მისი მონაჩმაზიც  
დაიწერე, ვითომ ნიგარი უბნის აგრძნომს ეკეკლუცებოდეს?

ვაი, რომ ერთიც უნდა იყოს და მეორეც. რამაზ!

აბა შენაც როგორ აიხირე და აითვალწუნე ცოლი, როგორ გაიმეტე და მო-  
იგლიერ შვილი, როგორ აჲყევი დედაშენს და თავზე ჩამოინგრიე ახალშექმნილი  
ოჯახის ჭერი! სად არის შენი კაცობა, სად?

თუ არ გიყვარდა, თუ ცოლად არ გინდოდა, რას ერჩოდი იმ ობოლ გოგო-  
ნას, რას უძერებოდი გულში, რას ჰპირდებოდი საუკუნო მეგობრობას, ხოლო,  
თუ გიყვარდა და თუ ახლაც გიყვარს, როგორ დაეცი ისე, რომ სიყვარულს ვერ  
უპატრონე?! დედა დედაა, მაგრამ ცოლი და შვილიც ხმა ცოლი და შვილია!  
სად გავონილა მათი სიყვარული სასწორზე დადო! ვისაც ქუდი ჰერხავს, თავს  
ანაცვლებს ერთსაც, მეორესაც, მესამესაც. დედის ამაგს ვერ გადაიხდი, მოყვაი  
ცოლის მეგობრობას ფასს ვერ დადებ. შვილის სიყვარულით ვერ გაძლები. შენ  
თვითონ დედის სისხლი და ხორცი ხარ. შენი შვილი შენი სისხლი და ხორცია,  
საყვარელი მეუღლე კი სულია შენი... ჰოდა. შენ, რამაზ, ხორცუსაც და სულსაც  
ერთბაშად შეელიე?! კი, მაგრამ რატომ, რისთვის. რამ გაიძულა, სულიან-ხორ-  
ციანად რად გაიძარცვე?

უნებისყოფო ყოფილხარ და მეტი არაფერი!

დიახ, უნებისყოფო! აბა სხვა რა უნდა ეწოდოს შენისთანა კაცს?! საუკუნის  
მეოთხედი უკან ჩამოგიტოვებია და თავისთავადი მაინც არა ხარ, სწორსა და  
მძღვდეს ვერ არჩევ, კვლავ დედის კარნახით ტატობ. იმ ნაბოლარა, დაგლახე-  
ბულ წიწილას გავხარ, მისი დაფრთხიანებული და-ძმანი ეზოში რომ დანავარ-  
ლობენ, თვითონ კი ბზიაქ-ბზიაქით ნისკარტიანად იმალება კრუხის ბუმბულში.  
სასაცილო არ იქნებოდა, ასეთ წიწილას რომ ეთქვა, ამას დედის სიყვარულით  
ჩავდივარო?! შენ კი სწორედ იმ წიწილასავით იქცევი. რამაზ. ასე გვონია, დე-  
დის სიყვარულს ჩრდილს მიაყენებ, თუ მის კალთას არ ამოეფარე. შენს მავირე  
დედაშენი სჯის და ჭრის. ეს იტყვის, დუმხარ. კარგს იტყვის, დუმხარ. ცოლს  
ვილანძლავს, დუმხარ. ნუოუ ამ „სიმუნჯით“ გინდა დაამტკიცო დედის სიყვარუ-  
ლი?! ვერაფერისშეიღლი ვაკაცობაა.. დედაშენი ჩამორჩენილი ქალია. მისი წადი-  
ლია შენი მეუღლე ერთსათან დაბას. ამას ვერ ახერხებს და ჯავრისაგან ბოროტ-  
დება. წონასწორობას კარგავს. ჭორებს თხზავს. ცოლს გაძულებს და ოჯახის  
დანგრევისაკენ გიბიდებებს... შენს ადგილას სხვა რომ ყოფილიყო. დედას მორი-  
ლებით. დაყვავებით კეუზისაკენ მოუხმობდა და რძალ-დედამოილს შორის ხიდის  
გასამრთელებლად ყოველ ლონეს იხმარდა. ხოლო თუ ამ მეცადინეობით ვერა-  
ფერს გახდებოდა. მაშინ საყვარელი ცოლ-შვილის დაკარგვის ნათესავისას ან  
რომელიმე სხვა ახლობლისას დროებით გადახიზენს იმჯობინებდა. შენ კი რა  
ჰქენი. რამაზ? შენ იყეჩე. იყეჩე სამ წელიწადს. მერე კი... მერე კი ჴა. ეს საბე-  
რისწერო დღეც გათენდა. დიახ, საბედისწერო. თუმცა არაფრით განსხვავდებო-  
და წინა დღეებისაგან. ეგეც სამხრეთის ზაფხულისათვის უჩვეულოდ გრილი და  
შუნარი, გამრჩე კაცის გულის გამახარებელი დღე იყო.

როგორც კი ცისკარი მტრედისფრად აკამქამდა და ვარსკვლავებმა თვალები

მილულეს. ნიგარი უკვე ფეხზე იდგა. ქმარ-შეილისათვის რომ ძილი არ გაეტანა /  
ოთახიდან ფრთხილიდ, თითქოს პეპელის ფრთხებით გამოიპარა, უკან დასახუ  
ნებიერად მფრინავ ლედაშოთილსაც ფეხაერეფით ჩაუარა და სამზადს ქრისტეფლები  
ხალისიანად, ღილინით მიაშურა და საქმესაც ჩვეული სიბეჭითთ მოქმედებულებები  
ლი. კერასთან ცეცხლი გააჩაღა, გასახურებლად ზემოღან ქვის კეცი გადაამხო,  
ყირმისა შოწველა, კარშიდამო თვალის დახამხამებაში დაგავა, ჩვილის თეთრეუ-  
ლი დააუთვევა...

ვიდრე მზე მთა-ცისკარზე ამოგორდებოდა, ცხელი საუზე უკვე მზად იყო.  
რამაშია თოთო ხაჭაპურს კიდე მოატეხა და ბრიგადაში გაიქცა. დედამისი კი  
აუჩქარებლად და მაღიანად ილუკმებოდა.

— დედა, — მოხუცს გაუბედავად მიმართა ნიგარშა, — მე... შეჩქარება...  
ძალიან მეჩქარება... ოროლის ერთი წევრი ივად გავიხდა და... ბაგა ჯერ არ იქ-  
ნება ღია. ბაეშეს სძინავს. ერთ-ორ საათში შოგაჟითხავ და წავიყეან... მანამდე,  
თუ გაიღვიძოს და წამოიტიროს, მიხედე რა!

დედამთილის მოყვითალო სახეზე ნაოჭები ზიღლნარევმა ღიმილმა შეათამა-  
შა. ზღურბლთან შეჩერებული რძალი მან უნდილად შეათვალიერა და გესლია-  
ნად ჩაიჩიტებითა:

— გუგული ხაჩ, ნამდვილი გუგული, შენი ბარტყი სხვის გინდა გააზრდიო!  
მივჭედავ, ამა არა! ისე შენ გაიხარე!.. მეჩქარებაო! ქმარ-შეილიან ქალს სად  
უნდა მეჩქარებოდეს ამ უთენია?! ვინებე ხომ არ შეგვიძირება?!.. უი, მოისპერი  
და გადაშენდით ახლანდელი ქალები! უმცროსი თქვენ არ იცით და უფროსი,  
ქმარი თქვენ არ გახსოვთ და შვილი, სინდისი თქვენ არ გაწუხებთ და ნამუსი!  
აქ გეგმაო, იქ დაუსწრებელი ინსტიტუტიო, იქ კიდევ წარმოდგენა თუ ლექცი-  
ოო, ღმერთმა დააკცია თქვენი გაჩენის დღე!..

„უჲ, მოხსნა გუდას თავი, დღეს მეზობლებსაც ალარ მოასევენებს!.. — გა-  
იფიქრა ნიგარმა. — მეც რა გულუბრყვილო... გულუბრყვილო კი არა, სულელი  
გარ, ენა რატომ ვერ გავაჩერე პირში, განა არ ვიცი მაგის მმავი?!. ამ დილის  
სასწაული მოხდებოდა თუ რა?! როდის იყო, ბაეშეს რომ იტოვებდა!.. ეებ!..“

— თქვენხელა მეც ვიყავი, მარა თქვენსავით კი არ ვკირითობდი! — მოხუ-  
ცმა დაცურიელებული თეფშები ერთმანეთზე რაჩხა-რუჩხით დაალაგა და ხმას  
აუწია, — ეზოდან ათასში ერთხელ თუ გადავიდოდი. გარეთ კაცი დადიოდა, მე  
ქალი ვიყავი და ქალის საქმეს ვაკეთებდი... ერთის მეტი შეილი არ შემარჩინა  
ღმერთმა და ქმარიც ციებ-ცხელებამ ადრე წამართვა, თორებმ ამ ქვეყანაზე სანა-  
ლელო არაფერი არ მქონდა, თუმცა ასე შეძლებულად წინათ ვინ ცხოვრობდა!..  
თქვენ კი რას გავხართ? კარგ ცხოვრებას ვერ ათასებთ, ქმარს და ოჯახს სახელს  
უტეხთ, შეილი ვიღაცებთან მიგდებული გყავთ და რა ვიცი, შეგირცხვათ ცხვირი  
ახლანდელ ქალებს!.. რა განდაბა მიგარებენინებს ახლა პლანტაციაში, რავა, შენ  
რომ არ იმუშაო, რამაზს თქვენი რჩენა გაუჭირდება თუ?! ფი, მოგესპორ სახელი  
და სახენებელი, თქვე ატროკინებულებო!..

ნიგარმა ვეღარ გაუძლო. სამზადიდან ტუვიანკრავიერით გამოვარდა. ერთი  
წუთით ოდაში აირბინა, პირმშოს გადახედა, ფუნჩულა ხელებზე აკოცა და წინა  
კარი უჩამიჩუმოდ მიხურა. მერე თვალშე ტექჩის კალათას დაავლო ხელი, შა-  
რაგზაზე თავსაფრის ფრიალითა და მოხდენილი ტანის რჩევით გადააბიჯა, თავის  
რგოლის შევრ ქალებს გადასძახა, თითო-თითოდ შემოიერთა, მხარში ამოიყენა  
და ჩაის პლანტაციაში ჩაუძლდა.

— დღეს მეტი სიყოჩალე გვმართებს, გოგოებო, ხომ იცით, ერთი შეაფენის გვაკლია და მის ნაკვეთზეც უნდა ვკრიფოთ! — შეახსენა მან ამხანწევებს თორემ დუყები თუ გაუხეშდა და მოსავალი დავკარგეთ, ჩემზე კუჭირვებული გეხსენებათ, რაღა მოწინავე როგორ გვერქმევა!

— ნუ გეშინაა, ერთ დუყებაც არ დავკარგავთ! — მხიარულად მიუგეს ქალებმა და სიცილ-ესესით მიაშრეს მობიბინე ბუქებს.

ნიგარი დაბლა, შევაკებაზე, იმ მეტობლის პლანტაციაში დარჩა, ავადმყოფობას რომ შინ გამოემშვედია. თითქოს მომვლელის ჯიბრზეო, ერთმანეთში გადახლართულ ბუქებზე საკრეფი ფოთოლი საოცრად მოხვავებულიყო. ნიგარი პირველ მწერივს გაჟყვა: გამაღებით ამოძრავებდა გრძელ თითებს. ერთ საათში სამხერ აავსო ტკების კალათი. მერე შინ გაიქცა, პირმშო საბავშვო ბაგაში წაიყვანა და კვლავ მუხლებამდე ბუქებში ჩადგა.

შუადღემდე შეახობლის საქმესაც მორჩა და თავისი პლანტაციის ნახევარსაც მოერია. ამასობაში სადილობამ მოატანა, შრომაში ვართულ ნიგარს კი სრულებით არ მოვკონებია, ნახევარი საათით შინ თუ არ გავიქეცი და სადილს არ მიეხედე, ქმარიცა და თავიც მშეირი დამტება. ახლა კი იყბინა თითქე, მაგრამ გვიანდა იყო. ისევ ამით გაიკეთა ვული, პურები დამცხვარი მექვს, ბაღჩაში ცოცხალ პამიღორსა და კიტრს დავკრეც, სალათს დავამზადებ, ყველს გამოვიტან და ამჯერად როგორმე ასე გადავალთო. ბაგაში მიირბინა, პირმშო წამოიყვანა და შინისავენ გასწია.

— ა, ახლა მობრძანდება აგერ! — ნიგარმა აიგანშე ააბიჯა თუ არა, გარკვევით გაიგონა დედამთილის სისინ. იგი რძალს უთუოდ რამაზთან აბეზღებდა. — სანაქებო ქალია, აბა არა? შეურცხვა გამზრდელი! ალბათ, იმ ქერივ ავრონომთან მასლაათში დააგვიანდა, შენ კი უსადილოდ დაგტოვ!

„ო, უხსენებელმა რატომ არ გიყბინა მაგ შხამიან ენაზე, შე ბოროტო. შენა! — დამსუსხავი ჩურჩულით მოსწყდა ნიგარის შეთრთოლებულ ბაგებს. — კაცს გადამირევს, ნამდვილად გადაძირევს ეს დასაღუპავი!“

რამაზი მართლაც გადატეულს გავდა: თვალებში სისტლი მოსწოლოდა, სახე მოქუფროდა, მუშტებს კუმშავდა, შუა თოახში შეჩერებულიყო, მკერდი წინ გამოეწია და თავი ისე დაეხარა, როგორც სარქენად გამზადებულმა ბუღი იცის ხოლმე. ნიგარს ელდა ეცა მის დანახვაზე, მაგრამ არ დაიმჩნია, შორისახლოს შიშნარევად ჩაუარა, ბავშვი ლოგინზე ფრთხილად მიაწვინა და მოინდომა განრისხებული ქმარი მობოდიშებით მოელბო:

— სადილი კი დამიგვიანდა, რამაზ, მაგრამ...

— ხმა!.. ხმა არ გამაგონა!.. კმარა!.. მეყოფა! — რამაზმა უცებ იფეთქადა... სიზმარია თუ ცხადი, ნიგარიც და ბავშვიც თვალის დახამხამებაში აგერ, შარაგზაზე აღმოჩნდენ.

დიახ, წაღოო, გამეცალეო, დაულრიალა რამაზმა და ნიგარიც უმაღ დაემორჩილა, წამოვიდა, გაშორდა, გაეცალა... სხეა რა გზა იქნას, მამისეულ კერას უნდა დაუბრუნდეს. მისი დიდედაც და უმცროსი დაც იქვე, ხლოს, ის იმ შანდარინის ბაღის შილმა ცხოვრობდნ. ახლა უთუოდ სადილობენ. შეიძლება ნიგარის ქებაშიც არიან, სასახელო ქალი დადგაო, ოჯახშიც სანაქებოდ ტრიალებს და საკოლმეურნეო შრომაშიც ბადალი არა ჰყავსო. ნიგარი კი, ქმრის ოჯახიდან გამოძევებული, ძალივით გამოვდებული ნიგარი მათთან ქვითინით უნდა მიღებლასდეს და სთოვოს მიმიღეთო. მიღებით როგორ არ მიიღებენ, მაგრამ ხომ

შოეშხამებათ გული! ჩომელ შენიანს ესიამოვნება შინდაბრუნებული, ქალაქის-ვებული ქალაშეკილის დანახვა!.. მანე შეტი სირცეცილი და თავის მოხუცებული გინდა, ქალმა სამ წელიწადს ძლიერ გრძაშორა ქმრის ოჯახში, მუსტაფა-ქადაშვილი ჰქონდა და გამოაძევეს! უვარგისი ყოფილაო, იტყვიან, და საამისო საბაბიც ექნებათ, თუმცა... კაცმა რომ თქვენს, რა საბაბი უნდა ექნეთ? რა დაშვეა ნიგარმა? როთ არის უვარგისი? ანდა ამ ჩვილს რა ბრალი მიუძღვის, ღვიძლმა მაშავ რომ გადასაგდებად გაიმეტა?!

არა, თუ ვინმე დამნაშვევა, ისევ რამაზია დამნაშვე: იმ მაწყვევარა მოხუცე ენა ვერ შეუბრუნა, ჭორები დაიჯერა, ბრაზისაგან გასივდა და გადაირია, ცოლიც შეიძულა და შეილიც მოიძულა!.. ჰოდა, სწორედ მან დაანგრია ოჯახი, მან!..

ვინ იცის, ეგებ მუდამ სმაგაქედილი იმიტომ იყო, რომ დედამისს თანაუგრძელებდა, იმის თვალსაზრისს იზიარებდა, იმის ყურებით ისმენდა და იმის თვალებით ისედებოდა! მაშინ არც მას დაუჭდებოდა ჰქონაში ცოლის საქციელი, თუმცა ნიგარი სათავილოს არაფერს სწავლით. მაშ, რა დაემართა, რა ბზიე შეუჩნდა?! უთუოდ შეიძულა და ეს არის! დიახ, შეიძულა და გარეთ გამოაგდო!

მაგრამ, ერთი ეს მითხარით, რა უფლებით გამოაგდო?! განა ცოლი იაფფა-სიანი სათამაშო ნივთია, რომ მოგბეზრდეს და შორს გაიქნიო?! განა ქალი იდამიანი არ არის?! განა კონსტიტუციაში ტყუილი წერია?! განა ქვეყანა ჩალითაა დახურული, სამართალი ალარ მოიძებნება?! ეპე, რამაზ, ვაჟბატონო! ნიგარმაც რომ გაპატიოს, ალალ-მართოლი ცოლ-შეილის გარეთ გამოყრას განა მეზობლები გაპატიებენ?! ხალხი გაპატიებს?!.. მთელი სოფელი არ გაგიცხავს და ყურს არ აგიწევს?!.. რა ჩაიდინე, თუ იცი, რა?!

მეც სულელურად, წინდაუხედავად მოფიქერი: — ნიგარმა ცრემლი შეიშრო და ხუჭუჭი თავი უქმაყოფილოდ გაყავნტურა. — წალიო, დაძიცურია და მეც მოეუსციო! მის ბრძანებაზე რას მოვრბოდა?! როგორ, ძალად გამოშავდებდა გარეთ თუ?! აბა ერთი მოესინგა და თითო წაეკარებინა!.. არა, თავმოყვარე ქალი ჩემსავით არ იზამდა! ნამდებილად შეუცდი!.. და ეს შეცდომა აბლავე უნდა გამოვასწორო, ახლავე, სანამ მთელი სოფელი გაიგებდეს!..

მეხლებში ძალა მოემატა. მყვირცხლად წამოდგა. ბილიქზე შეუსვენებლად აირბინა და დიად დატოვებულ ვიშკარში გაბეჭულად ჩაბიჯა.

დედა-შეილს წინა კარის ჭრიალი და დაბალქუსლიანი ფეხსაცმლის პაკიბუჟი ჩაესმათ. ფეხის ხმაზე იცნეს. მობრუნდებაო ალარ ეგონათ და გაუკვირდათ. მოხუცე პირთან მიტანილი ლუკმა კალთაში ჩაუვარდა. რამაზი წამოხტა და უკანა კარს თვალებდაჭყერილი მიაწყდა. დედამისმაც მომსუსხავად გამოიჭვრიტა.

— არ იფიქროთ, იმიტომ დაბრუნდა, რომ შერიგება უნდა გვთხოვოს! — ნიგარმა მძინარე პირშო კვლავ ლოგინზე დააწვინა და წელში გასწორდა. — მე არაფერი შაქეს თქვენთან სათხოვარი და სახვეწნელი!.. აწი მე აქ გამჩერებელი მაინც არ ვარ!.. მაგრამ ეერც ძალიერით გამაგდებთ გარეთ! კანონ-სამართალს მიმართეთ და, როგორც წესი და რიგია, ისე მორჩის ეს ამბავი!..

რამაზი გაშეშებული იდგა, თითქოს ალარ სუნთქვავდა.

— მოხუცმა პირი დააბჩინა, კვლავ „ახლანდელი ქალების“ წყევლა-კრულვას უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ისე იყო გამოროტებული, რომ ენა დაებორძიკა.

ერთი-ორი წუთით მთელი სახლი სამარისებურ დუმილში ჩაიძირა.

მერე ისევ მოხუცი აქანდა:



— უი, მოისპერ ახლანდელი ქალები! კანონი და წესიო! ქონება მოგვინდა ხომ? ჰქუის კოლოფი ხარ, აბა არა?!

ნიგარს მტკივნეულ ადგილს მოხვდა. წონასწორობა დაპკარგა და უძულებელობება თილს ამ სახლში ფეხის შემოდგმიდან პირველად ჰქიდრა ავყიაობაზე ავყიაობი-თვე დახვედროდა.

— ო, მართლა მოსასპობი ხარ, შე ბოროტო ბებრუხანა! ვის უნდა ოქვენი ქონება! ცეცხლმა დაგიწვაო სახლიც და კარიც! თქვენ ხომ ადამიანები არ ყო-ფილხართ! თქვენ ხომ...

— დიღუუ, რას მოვესწარი! — მოხუცმა უცებ თავ-პირში წაიშინა. — უზნეური დედაკაცის სალანძღვი გავხდი!.. ამიტომ გადავყევი და გადაველიე რგახს?! ამისათვის გამოვზარდე შვილი?!.

— შვილი კა არა, ჩვარი, ჭინჭი! — ცეცხლშე ნაეთი გადასხა ნიგარმა. — როგორც გინდა, ისე იხვევ თითხე! მაგი რომ ნამდვილი კაცი იყოს...

თითქოს ვიღაცამ წამოუბიძგაო, რამაზი ნიგართან ვეფხის ნახტომით მიიჭრა, მუშტის ოდენა თვალები დაუბრიალა, მარჯვენა ხელი მოცურავესავით გერ უკან წაიღო, მერე ზევით აიქნია და...

— რამაზ!..

ეს ყინულივით ცივი, შემაძრწუნებელი წამოქახილი თუ შეკივლება ნიგა-რის ხმას კიდევაც გავდა და კიდევაც არ გავდა. მასში არც ჩვეული სითბოს ნი-შანწყალი მოიძეოდა, არც შიშის ნატამალი იგრძნობოდა. ფოლადზე ფოლადის დარტყმასავით დარეკა. შიგ გულში დარეკა და წარბშეურხევლად გამოიწვია — აბა, თუ ბიჭი ხარ, გაბედეო!

რამაზს მარჯვენა ჰაერში გაუშეშდა.

— აფსუს, რამაზ, — ნიგარს ცრემლო ყელში მოაწვა. — შენგან ხომ გალა-ხული მევია!

რამაზმა ხელი მოწყვეტილივით დაუშვა და კბილებში გამოსცრა:

— გამშორდი-მეთქი!.. გამშორდი-მეთქი!.. თორემ... გალახული გქვია კი არა, შეიძლება შემომაკვდე... წადი-მეთქი!..

„ლმერთო, რა ზიზღით მიქერის, როგორ ეჩქარება ჩემი გაძევება!.. დავი-ჭერო, აქ მარტო დედამისის ხელია?!.. არა, უსათუოდ რაღაც სხვა მიზეზიცაა!.. მაგრამ რა?!..“ — ელვასავით გაუბრინა ნიგარს თავში და წუთით რეტი დასხა, მაგრამ მალე კვლავ გონს მოეგო.

— შეგიძლია უკვე წასულად ჩამთვალო, რამაზ... დღეიდან მე შენი ცოლი აღარ ვარ... ამას იქით არც შვილი გყავს... მაგრამ, გიმეორებ: ასე ძალლივით ვერ გამაგდებ გარეთ, ამის უფლება არ გაქვს... მიბრძანდი სასამართლოში!

— სა...სა...მართლოში! — მოხუცი შვილს აქაც წინ გადაუდგა, ჩახვედლა და ენის ბორტიკით განაგრძო: — არ გითხარი, ქონება მოუნდა-მეთქი?! ნასწავ-ლი ქალია, აბა არა?! მარა ჯანდაბას იქით ქონება, სისხლად და შხამად შეერგოს! წადი, შვილო, სასამართლოში!.. რაც იქნება, იქნება, გამოსავალი სისხლი უნდა გამოვიდეს... სირცხვილსა და თავის მოჭრას კიდევ ასე ჯობია... წადი, აბა არა?! დღეს რაღაი, გვიანაა, ხვალ კი... წადი!

— წავალ! — მუქარით ამოისროლა რამაზმა, წინა კარს მხარი ჰქირა და გა-რეთ გაიჭრა.

მოხუცმა ნიშნისგებით რაღაც წაიჯუჯღუნა და უკანა ოთახში მიიმალა.

ნიგარი ორიოდე წუთს გარინდებული იდგა. არც რამეს ფიქრობდა, არც

ხედავდა, არც გრძნობდა. სუნთქვა რაა, თითქოს სულსაც ის ითქვამდა. მაგრამ ასე იყო ორიოდე წუთს. მერე ცრემლი შოიშინდა, ოთახში შიშოიხდა. ჭავჭავაშვილი ფერი ეცცხოვა. ამოიხსრა...

დღე მალე მიიღია, მაგრამ საუკუნესავით გრძელი აღმოჩნდა ღცე. საშეელი ირ დაადგა გათენებას. ერთ თახში ნიგარი ოხრავდა, მეორე თახში რამაზი წრიალებდა. უკანა თახიდან ხან ფშეინვა მოისმოდა, ხანაც ნერვების აშშლელი ჩიფჩიფი.

ნიგარს ღაპა-ღუპით სდიოდა ცრემლი, მაგრამ თვალები მაინც საოცრად ეწვოდა, ჰაერიც აღარ ჰყოფნიდა. ღარღნალველისაგან გული გასიებოდა. თავი ყველაზე უბედურად მიაჩნდა. მეტადრე ქმრის თავხედობა ვერ მოენელებინა; იგი ხომ იქამდე დაეშვა, რომ ცოლს დასარტყმელად მუშტი მოუღირა! თანაც, ოპ, როვორი ზიზღი ენთო თვალებში!.. არა, მას რომ ნიგარი აღარ უყვარს, ეს დღესავით ნათელია... უყვარს კი არა, სძულს, სძულს!.. სძულს და თავიდან იშორებს!.. მაგრამ ასე უცებ რამ შეაძულა ცოლიც და შვილიც, რა მოხდა, რამ გამოცვალა, რამ აუცრუა გული? დედამისის ჩიჩიხბა გამოაშტერა, თუ ვინმე შეუყვარდა?! თუმცა... პო, ახლა წყალის ნაყვა ამაზე თავის მტკრევა. ვინდ ერთი იყოს, გინდ მეორე, სულერთია, ნიგარი მაინც არ აპატიებს წიხლის კვრასა და გარეთ გაგლებას, შეურაცხყოფასა და ღამცირებას, სიყვარულში გწებოლებასა და მევობრობაში ღალატს... არც აპატიებს და არც შეურიგდება. ღიას, არასოდეს აღარ შეურიგდება. აბა როვორ პჯონია?! ნიგარს რომ შერიგება სწადდეს, გუშინ პირში წყალს კი არ ჩაიგუბებდა. სასოფლო საბჭოს აღმასკომში მივარდებოდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და პარტიული ორგანიზაციის მდივანს ქმრის ულირს საქციელზე შესჩივლებდა, იმის თავგასულობის ამბავს მთელ სოფელს მოსდებდა; ხალხი მტყუანსა და მართალს ადვილად გაარჩევდა; მტყუანი, რა თქმა უნდა, რამაზი გამოვიდოდა; მას გაკიცხავდნენ, ყურს აუწევდნენ, შეუძახებდნენ, შემოუძახებდნენ, ცოლთან ბოდიშს მოახდევინებდნენ და ოჯახში ზავს ჩამოადებდნენ, ლონდ... თუ სძულს, რა ზავი იქნებოდა ის ზავი?! ხელ-ზე ან ხელახლა ატყდებოდა დავიდარაბა და მაინც განქორწინებაზე მიდგებოდა საქმე, ან ხალხის დასახახავად ერქმეოდათ ცოლ-ქმარი, ისე კი ბაძია ხარებივით აქეთ-იქით გასწევდნენ ჭაპანს, მომღურაობა-მტრობაში დაიღამებდნენ და გაითენებდნენ. გაუთავებელი სინანულითა და ეჭვით, უკმაყოფილებითა და უმადურობით ერთიმეორეს გულს გამოსჭამდნენ და უდროოდროს დააბერებდნენ. რა ცოლ-ქმრობა იქნებოდა ასეთი ცოლ-ქმრობა, რა ცხოვრება იქნებოდა ასეთი ცხოვრება! არა, ნიგარი ვერ აიტანდა მას. იგი ხომ იმისათვის არ გათხოვილა, რომ შარჩხნალი ენახა და სამადლოდ მიგდებული ლუკმისათვის ყველაფერი მოეთმინა! ღმერთს მაღლობა, შრომაც უყვარს და ძალაც შესწევს, გზაც ხსნილი აქვს და გასაქანიც! რატომ უნდა დაამცირებინოს ვინმეს თავი, ანდა ძალად რატომ უნდა მიერტმასნოს იმას... იმას, ვისაც უკვე აღარ უყვარს?! არა, არა, არ ღირს შერიგება! არც შეურიგდება. მორჩა და გათავდა!..

შერიგებისაკენ აღარც რამაზს მიუწევდა გული, თუმცა გრძნობდა, ბუნდოვნად გრძნობდა, თუ მეტს არა, ნახევარ სიცოცხლეს მაინც კარგავდა. წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი, შეფოთავდა, ოფლში იწურებოდა, უნებლიერ კუმშვადა მუშტებს. ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარია, სწორედ ასე იყო მისი საქმე. დიდხანს დუშმდა, დიდხანს ითმენდა და უცებ... იფეთქა. იფეთქა

და გადაირია. უცხოს რომ დაეყურადებინა, ალბათ, ეკონებოდა, ცხელი მადიდებელი მზად არ დაუხვდა და კაცმა ამასე ატეხა განვაშიო, მაგრამ სადილი რაზედება, / რამაზი მთელ კვირის შეიტ-შეწყურვალი ივლიდა, ოღონდ დედმისის უფრაველი რულო წყევლა-კრულვასა და გულში კბილის მატლივთ შემძრალ უკუჭევებულება ვზა არ აებნია მისთვის. ერთმაც და მუორემაც კონება ჩაუბნელა. დედას ვერა შექვედრა რა და ჯონი მეუღლეს გადამტვრია თავზე, რადგან ყველაფერში დაპნაშვედ ის დაიგულა. ღაიგულა და, მისთვის რომ გეყითხათ, მართებულადაც: რძალმა დედამთილს უნდა გაუგონოს, პატივი სცეს, კუა პკითხოს და მისი დარიგება შეასრულოს, ნიგარი კი არად ავდებდა მოხუცს, მის სიტყვებს მოსმენის ღირსადაც არა თვლიდა, მუდამ წაუყრუებდა ხოლმე. ვის არ გაახელებდა ასეთი საქციელი?! ვინ ყოფილა მთავარი დამნაშავე. ოჯახური მყუდროების დამრღვევი, მთელი იმ გაუთავებელი აყალ-მაყალისა და დავიდარაბის მიზეზი? ნიგარი, ჭიუტი ნიგარი!..

პო, ნიგარის ახირებულ საქციელშია ყველა სიავის სათავე რამაზი ღიღხანს ითმენდა, უთმენდა, იმედოვნებდა დრო გაივლის, რძალ-დედამთილს შეხლა-შემოხლა მობეზრდებათ და ყველაფერი კალაპოტში ჩადგებაო, მაგრამ ღალატი?! ღალატი როგორ უნდა აპატიოს! ვაჯვრებული დედის წამონასროლ სრტყებს ერთ ყურში შეუშვებდა და მეორეში გამოუშვებდა, აინუნშიც არ ჩაგდებდა. მაგრამ საკუთარი თვალით განა ორჯერ თუ სამჯერ თვითონ არ დაინახა ნიგარი იმ უბის აგრონომთან?! მოდი და ამის შემდეგ ჭორი დაუძახე! რის ჭორი! რა ჭორი! ნიგარი ერთ-ორ წელიწადში ინსტიტუტს დამთავრებს და აგრონომის დიპლომს მოიგდებს ხელში. რამაზი ჩამორჩა. წაუზარმაცა და ჩამორჩა. უბრალო აგროტექნიკოსია და, ალბათ, აგროტექნიკოსადვე დარჩება. აგრონომ ქალს კი აგრონომი ქმარი დამშვენდება. ხომ მართალია? პოდა, ნიგარიც მზავ არის გადაჯდეს სხვა ტოტზე. მას ქმარი აღარ უყვარს, უყვარს კი არა, უჰ, როგორი სიძულევილი ჩანდა მის თვალებში, როცა გონებადაკარგულმა რამაზმა მუშტი მოუღირა!.. პო, სძულს, ნამდვილად სძულს!.. რადას დაელოდოს რამაზი?! თავზე რქების გამობმას?! არა, ჯობს გაეყაროს, ვიდრე გვიან არ არის! კიდევაც გაეყრება... მაგრამ... როგორ აიტანოს ეს დამცირება, როგორ!..

სახლში მხოლოდ მოხუცს ეძინა მშვიდად და, მთვარის შექს ძალა დაეკარგა თუ არა, ოხვრითა და ზმორებით წამოდგა. ათიოდე წუთს ოთხში დაბორიალობდა და ხან ერთ სკამს ახრა გუნებარი გულმა რამაზმა მუშტი მოუღირა!.. პო, სძულს, ნამდვილად სძულს!.. რადას დაელოდოს რამაზი?! თავზე რქების გამობმას?! არა, ჯობს გაეყაროს, ვიდრე გვიან არ არის! კიდევაც გაეყრება... მაგრამ... როგორ აიტანოს ეს დამცირება, როგორ!..

— ვაჟაცი ხარ, ნამდვილი ვაჟაცი, აბა არა? მთელი ღამე ხვენეშაში გაატარე! დედაშენი რომ მომკვდარიყო, ალბათ, ამის ნახევარსაც არ იდარდებდი! აფერუმ შენ! — წამით იყუჩა და ეზოში ჩასულამდე დაუმატა: — ა, ვათენდა აგერ და შენ იცი, თუ ადგები და მოსათავებელს მოათავება!

რამაზს კიდევ წაქეზება რაღად უნდოდა! იმ ცხელ გულზე წამოვარდა და უსაუზმოდ გაიქცა რაიონული ცენტრისაკენ.

— გაიქცა!.. გაიქცა!.. ეტყობა, აღარ ხუმრობს, საბოლოოდ გადაუწყვეტია! — ამოიჩინური ნიგარმა და ერთხელ კიდევ გამოიტირა თავისი ბედი. მერე ცრემლები შეიშრო, პირმშო ბაგაში დარცვა და შარაგზას გაჰყა.

თავჩალუნული მიაბიჯებდა. არ გაუვია, საკოლმეურნეო კანტორის როდის ჩამორდა. არც მიწუნარებულ ორლობეში შემოხვედრია ვინმე. ასე გავიდა სოფ-

ლის ბოლოში და აღმართს უნდა შედგომოდა, რომ უცებ თავისი ხახული გონია. შემცირად მიიჩედა. სულ ახლოს, ლია ჭიშკართან მოხუცი შეზოგები ქალი დაინახა და დაბნეული მოუხადა ბოლიში.

— მაპატიეთ, ფატი დეიდა... გამარჯობათ!.. ჩაფიქრებული მიგდიოლი და... გრავეტი

— ღმერთმა გავიმარჯოს, შვილო! — ფატიმ ხმო ძროხასთან მიუშვა და რძით საესე ვედო განხე გადადგა, — სალამი გითხარი და, რომ არ მიპასუხე, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა... ხომ კარგად ხარ?

— ვმადლობთ, დეიდა ფატი... თქვენ ხომ კარგად ბრძანდებით? — ნიგარმა თავაზიანიბისათვის მიაგება, თორებ სამსალათოდ როდი სცხელოდა.

— ეს, ოთხმოცი წლის დედაბერს კარგად რაღა მამკოფებს, დაგვენაცვლე! — ფატიმ შებლებ ჩამოშლილი თოვლისფერი ომა თავსაფარში შემალა. — ერთ-ორ წელიწადს ეგება კიდევ დამცლოდა ამ ქვეყანაზე, მარა ბალნებია მომინელეს და რაღაი! — ფატი კვლავ „ბალნებს“ ეძახდა თავის ვაჟიშვილებს, თუმცა უმცროსმა, მესამემ, ორმოცი წელი უკვე ჩამოიტოვა უკან. — არ ჯობდა, ერთ-ერთი მაინც არ გამეშვა უმაღლესში! იქნებოდა ავერ, ჩემთან, ამ ეზოს, ამ სახლს, ამ ბაღს მოუვლიდა და მეც მეყოლებოდა წყლის დამლევინებელი! მარა კველა გამიპროფესორდა და რაღაი! ახლა ერთი ერთ ქალებშია. მეორე — მეორე-ში, მესამე — მესამეში. არა ჩემთან წამოდი და არა ჩემთან, ერთი იქით მეწიწება, მეორე — აქეთ და მესამე კიდევ იქით. გაყიდე მაგი სახლ-კარი და წამოდიო... ა. გუშინაც კი მომაღგნენ კარხე ვიღაც მუშტრები... მარა არ მემეტება. დაგვენაცვლე. და როგორ გავყიდო?! აქ, ამ ეზოში, ამ ოდაში გავატარე სამოცდაორა წელიწადი. შეეგებვი, შეევისე... ას გამაძლებინებს ქალაქში!.. მარა ძალა აღმართს ხნავსო, ხომ გაგიგნია? თუ სხვა ვერაცერი ვიღინე, მართლა გავყიდო უნდა და შვილებთან წავიდე. აბა შეტი რა გზა მაქვს, იმსიშორიდან ხომ ვერ მომხედავენ?!

ფატი, აღმათ, ერთხანს კიდევ არ მოათავებდა ლაპარაქს, გზაზე რომ ნიგარის რგოლის წევრ ქალიშვილებს არ მოერბინათ. მათ მერგოლური ხუმრობა-სიცილით ჩიიყენეს შუაში, თან გამოავაგრეს — რატომ გამოგვეპარეო. კრიჭა-შეკრულმა ნიგარმა უნებლიერ მომოხრა. ქალიშვილებმა თვალებში შეხედეს და სეტყვასასით დააყარეს კითხვები:

— რა მოგივიდა?

— ხომ არ გიტირია?

— ვეად ხომ არა ხარ?

ნიგარი ფატის დაემშვიდობა. ორიოდე წუთს დუმდა. მერე ცნობისმოყვარე ქალიშვილთა ჩასაჩუმებლად ტყუილი მოიშევა:

— წუხელ თავი მტკიოდა... მოელ ღამეს... ვერ ვიძინე... მეტი არაფერი! — და ბილიკზე პირველმა აუხვია.

ეს იყო და ეს. ვერც იმ დღეს, ვერც მეორე დღეს, განქორწინების თაობაზე განხეთში განცხადების გამოქვეყნების შემდეგაც კი, თვით სასაძროლომდე, სხვა ვეღარაცერი წამოაცინეს და სოფელში შეიქნა ერთი მითქმა-მოთქმა. ზოგი მშობლა, ორივე გამოსულელებულა, თორებ თქროსასით ცოლ-ქმარი იყვნენ და რა პქონდათ გასაყოფილ. ზოგი თავის მოშურნების ვერ მაღლავდა და გაუბედავად ჩურჩულებდა — მგონი ნიგარს ქმრისათვის უღალატნია და ვინ აპატიებდათ. ზოგიც, სისართლესთან ახლოს იყო თუ არა, ოჯახის დანგრევას რამაზის უნებისყოფნასა და დედამთილის აუტანელ საქციელს აბრალებდა. ყოველივე

ეს საშამლავივით ეწვეთებოდა ყურში ნიგარსაც და რამაზსაც. მაგრამ პირველი კვლავ და კვლავ იქცერდა ბაგეზე კბილს, მეორე კი უასტროლ იხეჩდა მხრები ისინი ჯერ ერთად, შერე ცალ-ცალკე სოფლის თავებიც მას იღმის კომშიც შინის მეს. ამ გაცხოველებულ კითხვა-გამოკითხვაში ნიგარს დიდედამ ორჯერ თავისულები ჯერ აკითხა პლანტაციაში და გულახდილად დაარიგა: თუ იმ ოქაში არ გეც-ხოერება, შვილო, ადექი და წამოდი შინაო, მაგრამ ნიგარმა ქვა ააგდო და თავი შეუშეირა — შინ არავითარ შემთხვევაში არ დაგძრუნდები, ისე კი ნუ დარღობთ, ნუ გეშინიათ, ჩემს თავაც მივხედავ და ბავშვსაც არ მივაკლებ მზრუნველობასო. ამასობაში დღეებმა გაირბინეს და რამაზმა „მოსარჩლის“, ნიგარმა კი „მოპასუხის“ ახალსახელით თავი ამოყვეს სასამართლოში.

— მოქალაქე გორაძევ. — ხმადაბლა მიმართა რამაზს სახალხო მოსამართლე — სრულიად ახალგაზრდა ქალმა, როცა „მოსარჩლისა“ და „მოპასუხის“ პიროვნებათა დადგენის ცერემონია შოთავა. — სასამართლო გულდასმით გაეცნო თქვენს სარჩელს და თვლის, რომ მოტივი, რის გამოც თქვენ განქორწინებას მოითხოვთ, არ არის საკმარისი: თუ თქვენ ერთმანეთი არა გატულთ...

— მძულს. — ცხვირში წაიღუდუნა რამაზმა. იგი ხალხისაკენ ზურგშექცევით იდგა და თავის აწევს ვერ ბედავდა. — მძულს...

მოსამართლესაც და მსაჯულებსაც უნებურად გაელიმათ. დამსწრეთა შორის ჩურჩულმა ნიავივით, გაიშრიალა. რამაზის დედამ მრისხნედ მიმიხედა, ნიგარი კი თითქოს უცებ დაპატარავდა, მოისუსხა, მოიყინა... მძულსო!.. ამდენ ხალხში იძახის მძულსო!.. ოჰ, ყველაფრის ღირსია ნიგარი, ყველაფრის!..

— ასეთ ლიტონ განცხადებს სასამართლო მხედველობაში ვერ მიიღებს. — შვიდად მოუჭრა მოსამართლემ. — სიძულვილსაც თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს... ახალგაზრდები ხართ, ჯანღონით სავსე ახალგაზრდები... სიყვარულით შეულლებულხართ... შეიღი გყავთ... რატომ უნდა დაანგრიოთ ოჯახი? თქვენს შორის სიძულვილი რას უნდა ჩამოეგდო?! კარგად ჩაუფიქრდით. ხომ გაგიგონიათ ანდაზა, ასჯერ გასომე და ერთხელ გასჭრიო?! აჩქარება არ ვარგა, მით უმეტეს. ასეთ სერიოზულ საქმეში!.. პოდა, რახან ხელშესახები მიზეზი არა გაქვთ, თქვენი სარჩელი უკანვე წაიღეთ და შერიგდით!.. ა? რას იტყვით?

რამაზმა პირველი რიგისაკენ ქვეშ-ქვეშ გააპარა მზერა და უცაბედად დედის თვალებს შეეჩება. იგი გულბოროტად ანიშნებდა, ღმერთი, არ გაგიშურეს და უკან არ დაიხიოო. რამაზმაც მორჩილად მოილაპარაკა:

— არა... ჩვენი ერთად ცხოვრება არ ღირს!..

— აბა რატომ არ ღირს? — მკაცრად ჰქითხა მელოტმა მსაჯულმა, მოსამართლის მარჯვენივ რომ იჯდა და კეხიან ცხვირშე წარა-მარა ისწორებდა სათვალეს. — გვითხარით! ერთი მიზეზი დაასახელეთ!

რამაზი დაიბნა. რა დაასახელოს? ცხელი სადილი არ დამახვედრაო, რომ მოიმიხეზოს, სიცილს დააყრიან; რძალ-დედამთილი ვერ ეწყობიან, რომ თქვას, შესაძლოა დედამისი განაცალკეონ; ცოლი სხვაზე მცვლისო, რომ წამოცდეს, ვერ დაამტკიცებს, თავს კი შეირცხვენს... რა ჯანდაბას ჩაპირდოს ხელი, ახლა ესენიც რას ჩასძიებიან, განა რამაზის ოჯახის დანგრევა რამაზზე უფრო ენანებათ?! გაშორონ და მორჩენ!

— მოპასუხეს ვკითხოთ, — დაარღვია დუმილი მეორე მსაჯულმა, რომელ-საც მკერდზე გმირი დედის ორლენი უბზინავდა. ჭალარა თმები შეისწორა და ნიგარს მიუბრუნდა. — თქვენ რას იტყვით?

რა უნდა ეთქვა ნიგარს? ეს კაცი საქვეყნოდ ვიძისხოდა, მძულს, ჩვენი ერთად ცხოვრება არ შეიძლება, და ნიგარი დაიხვდა უკან, ნიგარი შემცვევისთვის და, შემიძრალე, შემიყვარე, არ გმეოყარო? ა. არასოდეს!..

— მე... მე რა უნდა ვთქვა. — ბაგე მოიკიტა ნიგარმა. — მძული შემცვევისთვის არ ვძულდე, აქაც არ მომიყვანდა... მეც... მძულს... ჩვენი ერთად ცხოვრება მართლა არ შეიძლება!

— პოდა, მაშინ ეს გვითხარით, — ხმას აუწია მოსამართლემ, — რატომ არ შეიძლება?

— აღარ ღირს და ეს არის! — ადგილიდან წამოიძახა დედამთილმა. — გასაშორებელი უნდა გაშორდეს, აბა არა?!

მოსამართლემ ზარი გააწყარუნა, დამსწრეთ სიწყნარისაკენ მოუხმო და დაკითხვა განაგრძო, მაგრამ ვერაფერს გახდა, ცოლიცა და ქმარიც ჭიუტად გაიძახოდნენ — ჩვენი ერთად ცხოვრება აღარ შეიძლება და აღარ შეიძლება.

— რახან ასეა, რა გაეწყობა, — მოსამართლემ მხრები აიჩეხა. — ჩვენ გააწყვეტილებაში ჩავწერთ. რომ შერიგება არ მოხერხდა...

შერიგება არ მოხერხდა არც უმალეს სასამართლოში. პირველად რამაზი და ნიგარი აქაც კარგა ხანს იმეორებდნენ — უნდა გავიყაროთ, რადგან ჩვენი ერთად ცხოვრება აღარ ღირსო, მაგრამ შემდეგ, როცა სხდომის თავმჯდომარემ მესამედ მოაგონათ, ამ თქვენს განცხადებას სერიოზული მოტივებით თუ არ გაამაგრებთ, განქორწინებაზე დასტურს ვერ მოგცემთო. ნიგარი მოთმინების უკიდურეს ზღვართან აღმოჩნდა და „მოპასუხიდან“ ერთბაშად „მოსარჩელედ“ იქცა:

— თქვენაც რომ არ გაგაშოროთ, პატივუებულო მოსამართლეებო. მე მაიც აღარ შემიძლია ქმრის ოჯახში ვიცხოვრო... არ შემიძლია და არც შეიძლება... თქვენ მოტივი და მიზეზი გნებავთ? კეთილი და პატიოსანი, მოგახსენებთ...

— ნიგარმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, თავმჯდომარესა და სასამართლოს სხვა წევრებს თვალი გაუსწორა და მღელვარედ განაგრძო: — დიდი ხანი არ ქვია, რაც გავთხოვდი, მაგრამ ბევრი ტანგვა გამოიგარე... არ მახსოვს ისეთი ერთი დღეც კი, რომ ახალ ოჯახში ჩხუბი. წყევლა-კრულვა და ნერუიულობა არ ყოფილიყო... ჩემი დედამთილი ვერ ურიგდება იმას, რომ მე თან ვმუშაობ. თან ვსწავლობ, ტოლ-სწორებიდან არ გამოვწყდი და კერას არ მივერაჭვე... შეიძლიც ისე ყავს გაზრდილი, რომ დედას ენის შებრუნებას ვერ უბედავს, პირდაპირ ყურმოჭრილ მონას გავს და უნდათ მეც ასევე მონა-მორჩილი ვიყო. უმაღლესი სასწავლებელი მივატოვო, საზოგადოებრივი შრომა მივატოვო, ამხანაგები და მეგობრები მივატოვო, არც კრებას დავესწორო. არც კინო ვნახო, არც გაზეობი ჩავიხედო, ერთი სიტყვით, ისლა აკლიათ, რომ ჩადრის დახურვა მიბრძანონ!.. ბოროტგანზრახვით ჭორებსაც მიგონებენ და მლანდღავენ!.. პოდა, ამის შემდეგ ასეთ კაცთან, ასეთ დედამთილთან, ასეთ ოჯახში ღირს ცხოვრება?! მე რომ ისევ წავუყრო და მოვითმინო. ბავშვისთვის მაინც არ ვარგა იქ გაჩერება, აკვნიდანვე ლანდღვა-გინებას ისწავლის, უხეში და უზრდელი გამოვა...

თავმჯდომარემ შუბლი შეიკრა. რამაზს მწყრალად გადახედა:

— მართალია, მოქალაქე გორაძე? უარყოფთ თუ არა რძეს მოპასუხის განცხადებიდან?

რამაზი გაფითრდა. მუხლებში სისუსტე იგრძნო. უფრო ჩაჰედა თავი. ძლიერს გასაგონად ამოილაპარაკა:

— არ უარვყოფა...

— მაშ, მართალი ყოფილა. ყველაფერი გასაგებია! — ჩამოუმარცვლა თუ /  
მჯდომარებ. — ისე, გულლიად რომ გითხრათ, საჩივარი განქორწინებაჭირვაზე  
კი არა, თქვენს მეუღლეს უნდა აღეძრა, მოქალაქე გორაძეება!.. გიგანტება

განქორწინებული რამაზი იმ დღესვე, შებინდებისას სოფელში ავტობუსით  
დაბრუნდა, მეორე დღეს კი, აღრე დილით, როცა ნიგარიც ამოვიდა, რამაზი  
ეზოში სოფლის თავკაცებს მიუძღვდა, რომ მეზობელთა თანდასწრებით უძ-  
რავ-მოძრავი ქონება შეეფასებინათ.

რახან სასამართლომ ბავშვი დედას მიაკუთვნა. შემფასებლებმა მთელ ქო-  
ნებას შუაზე დაადგეს ლარი.

ამას შუადღემდე მოუნდნენ. ჯერი მიღვა ოდის გაყოფაზე. ეს სულ ადვილ  
საქმედ მიაჩნდათ, რა დიდი ამბავი უნდოდა ოთხოთახიანი სახლის გაყოფას: ორ  
ოთახში ერთ დედა-შვილს შეასახლებდნენ და მეორე ორ ოთახში — მეორე  
დედა-შვილს. მაგრამ შემფასებელთ უცებ ნიგარი გადაუდგა წინ:

— არა! ასე არ ჩაწეროთ აქტში! — გაფითრებულმა ქალმა ჯიუტად გაძენია  
თავი. — მე არ მინდა!.. შეუძლებელიცა ერთ სახლში, ერთ ჰერქვეშ ჩვენი  
ცხოვრება!.. აქ ვერ გავძლებ... არც გამაძლებინებენ... ყოველდღე ისევ წყველა-  
კრულვით გამომიჰედენ ყურს, არ მომასვენებენ, თავს მომაძულებენ... ეს სა-  
სამართლოშიც ვთქვი... მე დღეიდან ამ ეზოში ჩამომსვლელი არა ვარ!..

— ა, რომ ვამბობდი, ქონებისათვის არის მოსული-მეოქი! ქონება უნდა წა-  
ილოს. აბა არა?! — დაიწივლა დელამთილმა და ღოყვები ჩამოიკაწრა. — ვაი,  
დაღუპულო ოჯახო! ვაი, დანგრეულო სახლ-კარო!.. ამისათვის ვაკვდი და ველიე  
აქაურობას?! ამისათვის გავზარდე შვილი?! ამას მიმზადებდა ბედი?! ოი, რა-  
ტომ არ დაიქცა ის დღე, როცა მაგ უდედოდ გაზრდილმა ჩემს ეზოში ჩამოდგა  
ფეხი! ოი, რატომ არ მოისპობიან ახლანდელი ქალები! ქალები კი არა, ქაჯები,  
წამგლევები...

განჩხლებულ მოხუცს მეზობელი ქალები მისცვიდნენ, დაარიგეს და სამ-  
ზადში რის ვაივაგლახით შეიყვანეს. ჩაჩუმებით კი მაინც ვერ ჩაჩუმეს, გა-  
ლიაში ჩამწყვდეულ იფთარივით იღრინებოდა, იწყევლებოდა და იღანძლებოდა.

რამაზი ჭიშკართან, ჯირკზე, განმარტოებით ჩამომჯდარიყო. დაბნეულად გა-  
მოიყრებოდა. კრინტსაც არ ძრავდა, არაფერში არ ერეოდა, თითქოს ეს დავი-  
დარაბა ძალა არ ეხებათ. მეზობლებიც არ აწუხებდნენ კითხვა-გამოკითხვით. ბევრ-  
მა ისე ჩაუარა, არც მისალმებია.

ქამდე ნიგარსაც არ ამოუღია ხმა. ჯერ იყო და, გაჭირვებული ბავშვი  
ძლიერ ჩააძინა, მერე ოთახში ვერ დაეტია, აივანზე გამოვიდა და სამიოდე  
მეზობელ ქალიშვილთან ერთად მოწყენილი გადმოჰყურებდა ეზოში მოფუსფუ-  
სე ხალხს. გეგონებოდათ, დანა პირს არ გაუდებსთ. მაგრამ როცა ოთახების გა-  
ნაწილების თაობაზე თავკაცთა საუბარს მოჰკრა ყური, ვეღარ მოითმინა და ის  
იყო. შემფასებელნი შუა კიბეზე შეაჩერა.

— დიახ, ყოვლად შეუძლებელია ჩემი აქ ყოფნა. — თითქოს თავისთავეს  
ეჩურჩულებოდა, ძლიერს გასაგონად გაიმეორა ნიგარმა. — აქ ერთ საათსაც არ  
დავრჩები!..

— ესე იგი შინ დაბრუნდები. — თავი დაუქნია აღმასკომის თავმჯდომარებ  
და ულვაშებში კეთილდად ჩაიღიმა. — გასაგებია.

— არა, — ნიგარმა სიტყვის დამთავრება არ დააცალა, — მამისეულ ოჯახზე არ დაგბრუნდები!

— აბა სად?! ანდა... რატომ არ დაბრუნდები?

— ეს ჩემი საქმეა. ჩაბრუნებული ქალის სახელს არ დავიდებ... სულიშე: მორთოვა დავალ, ოთახს ვიქირავებ...

— უი, შენ დაგენაცვლე, ჩემსას გადმოდი, შვილო! — დაბლიდან ამოსძახა მოხუცმა ფატიმ. იგი შეუმჩნევლად მოსულიყო კიბესთან და საუბარს გაფაციცებით ისმენდა. — არც ქირა მინდა და არც საწინდარი!.. ღამის მარტოდ გათვა აღარ შემეშინდება, გული არ წამივიდეს და უპატრონოდ არ დავრჩე-მეტქი!.. მაგ ბაღანასაც მიგიხედავ... ჩემი ქალიშვილივით ჩაგთვლი, შორეულები მიინც არ ვართ!.. გადმოდი, შვილო, ჩემსას, გადმოდი! მაშინ აღარ გავყიდი სახლს!

მოხუცი მეზობლის წრფელმა სიტყვებმა ნიგარს გული აუჩუყა.

— გმაღლობთ, დეიდა ფატი, მარა... — ნიგარმა უხერხულად მიიხედ-მოიხედა და ისე ხმადაბლა დაუმატა, რომ მხოლოდ კიბეზე შეხერებულთ გაეგონათ, — მარა უპატრონოსავით, სამოწყალოდ დავარდნილივითაც ვერავის ვერ შევეხიზნები... სხვის ქარგასლას ჩემი ფაცხა მირჩევნაა...

აღმასკომის თავმჯდომარებ გაუგო და დასტურის ნიშნად თავი დაუქწია:

— კეთილი და ბატიოსანი! მაშინ ასე მოვიქცეთ! ოჯახმა წილი აანაზღაუროს ფულად, იმ თანხით კი, ნიგარ. აგრე ჩვენი ფატი მოყვიდის თავისი ოდის ორ ოთახს და ხეხილის ნახევარს. რას იტყვით, ამხანაგებო?

შემფასებლებმა მოუწონეს. ნიგარმა ვერც „არას“ თქმა მოახერხა და ვერც „ჰოს“. მოხუცი ფატი კვლავ გულწრფელად ჩაერია:

— გაყიდვა არ მინდოდა, დაგენაცვლე, მარა... რახან მაინცდამაინც შენი კუთხე გინდა, კაი, მასე იყოს... ფულიც ახლა თუ არა აქვს ოჯახს, ამაზეც არ იდარდოთ, როცა იქნება, მაშინ იყოს...

— აღმასკომის თავმჯდომარებ რამაზი მოიხმო და გულცივად ახედ-დახედა...

— შენს ცოლს... ყოფილ ცოლს. ამხანაგო რამაზ, აგრე ჩვენი ფატი უთმობს თავისი კარმიდამოს ნახევარს. სწორედ შენი კარმიდამოს ნახევრის ტოლია... მაშასადამე, როცა გაყოფას ოფიციალურად გავაფორმებთ, განქორწინებულ გაისტუმრებ წილის შესაფერისი თანხით... თანახმა ხარ?

რამაზმა თავი ჩაჰკიდა.

— როგორც თქვენ იტყვით, ისე იყოს... ერთ-ორ კვირაში გავისტუმრებ...

— ჰოლა, ძალიან კარგი. საქმე მორჩენილია! ახლა ავტომანქანას გამოვგზავნი და ბარებ ქალის ნივთები გადავიტანოთ! — თავმჯდომარებ ყველას გასაგონად წარმოთქვა და ჭიშურისაენ გააძირდაპირა.

სხვებიც ეზოდან გადავითნენ და გზას პატარ-პატარა გუნდებად გაყენენ.

— წამოდი, შვილო! — მოხუცმა ფატიმ ნიგარს ისევ ქვემოდან ასძახა, თითქოს კიბეზე ასვლა ეშინიაო. — თუ რამე ხელბარგი გაქნეს, მომეცი იგერ, დავენაცვლე, მე წაგალებინებ!

— აჲ, რავა გეკადრებათ, ფატი ლეიდა, ჩვენ აქ არა ვართ?! — ზრდილობიანად მიუგეს აიგანხე შეხერებულმა ქალიშვილებმა. ნიგარს ოთახში შეჰკნენ, ბავშვი გამოაყვანინეს და თითო მომცრო ფუთაც ჩაის საკრეფ კალათასავით წამოიცვეს მკლავზე.

ნიგარს არც უკან მოუხედავს, არც ზევით აუხედავს, რამაზის თვალებს რა წავაშედეო. რამაზმაც ვერ გაუბედა თვალი გაესწორებინა ან რამე ეთქვა. თით-

ქის ერთბაშად დამუნჯდა, დაბრმავდა და დაყრულდა, თუმცა ქალიშვილები კურკა კარში რომ გადიოდნენ, ასეთმა წამოძახილმა კი მიაღწია მის ყურამდე:

— უიმე, დედა, რა მოგლის, გოგო, ბავშვს მაგრად მოჰკიდე ქართული გადივარდეს!

ნიგარს ამის სწავლება რად უნდოდა. ბავშვი ორივე ხელით მაგრად ჰყავდა მკერდში ჩაკრული, ოლონდ ფეხი წაიკრა თუ თვალთ დაუბნელდა, ბავშვიანად ზედ ჭიშკართან ლამის ჩაიკეც. შეძახილმა დროზე მიუსწრო, გამოაფხიზდა, წუთიერი დაძაბუნება დააძლევინა. ნიგარმა თავი ასწია და, როგორც თანმხლებთ მოეჩევნათ, ამაყად განაგრძო გზა.

მოხუცი ფატის ოდა-სახლიც მაღალზე იყო წამოღმული. წაბლის ფიცრებს მუქი ყავისფერი მოხდებოდათ და კედლები ოდნავ ქუფრად გამოიყურებოდნენ, ხოლო ხელისგულივით მოწმენდილი იატაკი ბზინავდა და პრიალებდა. ირგვლივ ისეთი სისუფთავე და წესრიგი იყო, რომ, იფიქრებდით, აივანიცა და ოთახებიც ოთხმოცი წლის დედაბერს კი არა, ვიღაც ახალგაზრდა ქალს დაუგავ-დაულაგებია და ეს-ეს არის ეზოში ჩაურბენიაო. კარლია სახლმაც ნიგარს თითქოს გულკეთილი ღიმილით შეანათა და მამისეული კერა მოაგონა, მაგრამ თვითონ ნიგარი არამცუ იმ დღეს, საკუთარი ავეჯის გადმომტანის შემდეგაც კი კარგა ხანს ხეირიანად ვერ შეეჩვია ახალ კარმიდამოს, თავს უცხო ადგილას, უცხოსავით და სტუმარივით გრძნობდა. თუმცა ცდილობდა ეს როგორმე ჭაემალა ფატისათვისაც, ნათესავთათვისაც. მეზობელთათვისაც. ცდილობდა და კიდევაც ახერხებდა.

ჰოდა, მისი ცხოვრება ისევ თავის კალაპოტში ჩადგა. მოხუცი ფატის სახით თითქოს მკვიდრი დედაც გაუცოცხლდა და ბავშვის გულისხმიერი მომელელიც იპოვა; კაბასი დედამთილის წყევლა-კრულვა აღარ ესმოდა და ყურებმაც მოისვენა; რგოლსაც ძველებურად უძღვებოდა, გამოცდების ჩასაბარებლადაც ემზადებოდა და კულტურის სახლშიც დაღიოდა.

თითქმის მთელი სოფელი თვალს ატანდა მას და ნაქმრევის გასაგონად ნიშნისგებით ამბობდა: სავალალო და საეგიშვიშო რამაზმა იკითხოს, ოქროქალი რომ დაკარგა, თორებ ნიგარს არა უჭირს რა — თავის ნებაზე ცხოვრობს, შრომობს და სწავლობს, შეიღს ზრდის, თუ გათხვებას მოისურვებს, ნუ ეგშინია, საქროს საძებნად ქვეყნის შემოვლა და რკინის ქალამნების გაცვეთა არ დააჭირდება, ჭანი არ აკლია და ღონე, ეშხს ვერ დაუშუნებ და ცოდნას, ოლონდაც ეს კია, ზედმეტად სერიოზული და გულჩათხობილი გახდა.

ასეთი იყო ხმა სოფლისა, ხმა ხალხისა, ხალხის პირით კი მუდამ ჭეშმარიტება დაღადებეს, თუმცა... ერთი თვითონ ნიგარის გულში ჩაგეხედათ!

პირველ ხანებში თვალწინ წამდაუშუებ ხან მუშტმოლერებული რამაზი ედგა და ყურისძირთა ურიალში მონოტონურად ჩასძახოდა: „წადი!.. გამშორდი!.. ჩვენი ერთად ცხოვრება აღარ შეიძლება!..“ ხან კიდევ სასამართლოს სხდომა აგონდებოდა და ტვინს უბურღვედა რამაზისვე წამონასროლი საზარელი სიტყვა: „მძღლს!..“ საბრალო ქალი საცოდავად იკრუნჩხებოდა და წითლდებოდა, თრთოდა და ძაგძაგებდა. ზაფხული ისე მიიწურა და შემოდგომაც თვალდახელშუა ისე მიიპარებოდა, რომ ერთი ღამე ააა, ხეირიანად ერთ ღამესაც არ უძინია. რა დავუშავე, რისთვის შემიძულა. ისე სასტიკად როგორ გამიმეტა და შემარცხვინაო, თავისთვის სულ ამ კითხვებს შესჩინებდა, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა, თავისი ჭალობაც, დედობაც, სახელიც შელახულად მიაჩნდა და ბოლმისაგან იგუდებოდა.

მერე სხვა ცერაფერი იღონა და მოინდომა სიძულვილისათვის სიმკაცებით მიეზღო: საბავშვო ბაგის მომვლელი გააფრთხილა, რამაზს შვილი არ ანახოდა: კოლმეურნეობის მოანგარიშეს ჭიშკართან დახვდა და რამაზის გამუჯაჭუჭელებულთან ერთად უკან ასეთი „დარიგებაც“ გაატანა — თავს ნუ იწულების დაუუზება ახალ ცოლს დაახვედროს, მას შვილი არა ჰყავს. ჩემს შვილს კი უალიმენტოდაც გავზრდიო; კულტურის სახლში ერთ წუთსაც აღარ ჩერდებოდა, თუ იმ საღამოს იქ რამაზს დალანდავდა; ასე განსაჯეთ, როცა შეიტყო, ჭვრივი აგრძონმის ქორწილში რამაზი ნამდვილად იქნებაო, არავითარმა ხევწნა-მუდარამ არ გასჭრა და ეზოდან ფეხი ვერ მოაცვლებინეს, თუმცა სწორედ მისი რეოლის შევრი ქალი თხოვდებოდა... ამასობაში გამოცდების დრომ მოატანა. ნიგარმა ბავშვი ფატის ჩააბარა და ორი კვირით თბილის გაემგზავრა.

ათონდე დღეს ისე ჩავფლო წიგნებში, რომ არამცუ კინო და თეატრი, სადილიც ავიწყდებოდა. მერე კა, უკანასკნელი, ისიც მისთვის ადვილი საგანი რომ დატეხა „მოსაშორებელი“, თავის ნათესავ დიასახლისთან ერთად რუსთაველის პროსპექტზე გაისეირნა. იმ საღამოს მაჭავარიანისა და ჭაბუკიანის „ოტელო“ უნდა ენახათ და ოპერის თეატრს დილაადრიანად შიაკითხეს. როცა ბილეთები იშოვეს და გარეთ გახარებული გამოცკრიალდნენ, ნიგარმა ახალდაძრული ტრიოლებულსის ფანგარაში თვალი მოჰკრა... არა, დაბეჭიოთებით ვერ გეტყოდათ, რამაზი იყოო, თუმცა ის კაცი, ვისაც თვალი მოჰკრა... ძალიან, ძალიან გავდა რამაზს, გაფითრებულ, კრიჭაშვიკრულ, მგლოვარებული მოწყენილ რამაზს... ჰოდა, ის კაცი მართლა რამაზი იყო თუ სხვა ვინმე, ნიგარს იმ წუთიდან როგორდაც გული გადაუტრიალდა: ნაქმრევი შეებრალა. მუშტმოლერებული რამაზი თანდათან სიბნელეში ჩაიძირა, გაიცრიცა, გაქრა და მის მაგიერ სიზმარში თუ ცხადში ქალშის თვალშინ ამოტივებრვდა გაფითრებული, კრიჭაშვიკრული, მგლოვარებული მოწყენილი რამაზი, რომელიც თითქოს რაღაცას უსიტყვოდ სთხოვდა, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა... „არა, შეუძლებელია მას ვძლელდე!.. ვკელაფერში დედამისია დამნაშავე, დე-და-მი-სი!“ — ახლა ძილშიც ამასლა ჩურჩულებდა ნიგარი და ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილს გავდა...

ნაქმრევს თუ ნაქმრევის ორეულს შემდეგ თბილისში ვეღარსად შეასწრო თვალი და უთუოდ მომეჩენაო, ფიქრობდა. ამ ფიქრმა მატარებელშიც არ მოასვენა და მთელი ლამე არ დააძინა.

ფატის ჭიშკარი რომ შეაღო, ნიგარმა ოდა-სახლისაკენ გაიხედა და... პირველად ეგონა, თვალები მატყუებსო, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, უმალ დარწმუნდა, მოჩვენება კი არა, აიგანზე სწორედ ის, რამაზი, იდგა და მკერდში ჩაკრულ ბავშვს ეფერებოდა, თან მოხუც დიასახლის ხმადაბლა ელაპარაკებოდა.

ნიგარი აირია. ხელ-ფეხი მოუდუნდა. ცვრიან მოლზე უაზროდ დაუშვა ჩემოდანი. გულობისანიც ვერ გაიგებდა ნაქმრევის დანახვა ეწყინა თუ გაუხარდა, თუმცა მკერდში უნდებლიერ უცნაური სითბო ჩაეღვარა...

— უი, შენ დაგენაცვლე, აგერ ჩევნი ნიგარიც! — ხალისიანად ჭამოიძახა ფატიმ და შესაგებებლად კალოები აიკრიბა.

დედის დანახვაზე ბავშვიც აცმულდა და მერცხალივით აუღურტულდა:

— დე-და!.. დე-და!.. მა-მა!..

ალბათ, ბავშვი მოენატრა, დრო მიშოვა და მოინახულაო, გაიფიქრა ნიგარმა. ჭარბები შეჰყარა და აიგანზე ფეხის შედგმისთანავე ნაქმრევს ტყვიასავით ისე ესროლა, რომ სახეზეც არ შეუხედავს:

— რა გნებავთ... ანდა ვინ მოგცათ ნება!

ბავშვმა გაიბრძოლა, მამას მკლავებიდან დაუქცრა, კამფეტები იატაკზე ლა-  
ყარა და დედას ყელზე ჩამოეკიდა. მოხუცი ფატი კარებს მოეფარა. რაშეზო-  
შუბლზე ჩამოყრილი ურჩი თმები გაისწორა, პაპიროსის ჩაუმჯრალი ნუშემდებრება  
ახალს მოუკიდა, ორიოდე წუთს თვალხარბად უყურა, დედა-შვილი როგორ  
მხურვალედ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, მერე იატაკს დაშტერდა და ყრუდ ჩაი-  
ლაპარაკა:

— სათქმელი მაქვს... ნიგარ... შენთან...

ნიგარი შეკრთა. ერთბაშად მოეშვა. ბავშვს საყელო გაუსწორა და ფრთხი-  
ლად ჩამოსვა, თვითონ კი ნელა გაიმართა წელში. ასეთი ხმით, ასე მღელვარედ  
ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტად მან ეს სიტყვები ამ ოთხი წლის წინათ გაიგონა. გაიგო-  
ნა და გაიტრუნა. გუმანით ხვდებოდა, რა „სათქმელიც“ ელოდა, მაგ-  
რამ გული მაინც კინალმ ამოუხტა მკერდიდან. რამაზსაც თითქოს ხელით ეკავა  
გული. ფეხზე ძლივს იდგა წელმდე გადაბიძინებულ ჩაის ბუჩქებში, ღრმად  
სუნთქვავდა და ჯერ ენაზე მომდგარი ერთადერთი სიტყვის — „მიყვარხარ“ —  
წარმოთქმა ვერ მოეხერხებინა, მერე კი კოცნაც გაუბედა... მაშინ რამაზს სასოფ-  
ლო-სამეურნეო ტექნიკუმი ახალდამთავრებული ჰქინდა, ხოლო ნიგარი მესაუ  
კლასში სწავლობდა. ერთი წელიც და, ისინი შეუდლდნენ... ნუთუ სასწაული  
მოხდა და ეს ნაქმრევი კვლავ იმ წინანდელ, საყვარელ რამაზად იქცა?! კი, მა-  
გრამ ამას წინათ არ იყო, სასამართლოში რომ გაიძახოდა მძულსო?! რა უნდა,  
რისოვის მოსულა, რაღა დარჩა უთქმელი?! ბავშვის წართმევა თუ უდევს გულ-  
ში, ბიჭია და მოსინჯოს!.. ნიგარმა პირმშო ისევ მიიხუტა და ნაქმრევს რაც შე-  
იძლებოდა ცივად გასცა ხმა:

— მე მგონია, ჩვენს შორის ყველაფერი მორჩა... რაღა სათქმელი უნდა  
გქონდეს?!

— არა, ნიგარ, არა, — მუდარასავით აღომხდა რამაზს. — მაქვს... მომის-  
მინე!..

ნიგარმა მძიმედ დაუქნია თავი, გისმენო. ოღონდ რამაზს უცებ თითქოს ენა  
ჩაუვარდა, აღარ იცოდა საიდან დაეწყო და კარგა ხანს იყუჩა. სიტყვებს ვერ პო-  
ულობდა, თორემ გულის გადმოშლა როდი უჭირდა, პირიქით. თვითგვემა-  
საც კი არ ითაკილებდა; იგი ხმი გვიან მიხვდა, დაუზიქრებლად და წინდაუხე-  
დავად მოვიქეცი, იმ გლეხივით მოვიქეცი, ურემი რომ გადააბრუნა და გზას მე-  
რე დაუწყო ძებნაო. ჭორებს რომ არ აჲყოლოდა, სასამართლოშიც არ ამოყოფ-  
და თავს, ჭორებსა და ეჭვებს კი, პიო, რა აღვილად გაულო გულის კარი! გაულო  
და ირწმუნა. განქორწინების შემდეგაც დოედალმ უთვალთვალებდა ნაცოლევს,  
ყოველ ნაბიჯს უთვლიდა, სიტყვა-პასუხს უზომ-უწინავდა, მაგრამ, რამაზისავე  
გამოთქმა რომ გავიმეოროთ, მშრალზე დარჩა. ახლა არ იკითხავთ, იმ ქვრივი  
აგრონომის ჭორწილში რა გაიგონა მისმა ყურმა? ადგა ის კაცი, ნეფე-კაცი, სა-  
განგებოდ შეავსო ცალკე სასმისი და სიტყვა-სიტყვით ასე თქვა:

— მეგობრებო და კეთილებო! ძალიან გოხოვთ ამ სასმისით ვადლეგრძე-  
ლოთ ჩვენი ნიგარი, რომელიც, სამწუხაროდ, არ გვესწრება... ვადლეგრძელოთ  
და ვუსურვოთ ბელნიერება, გულის ხინჯის განქარვება... მე მას ვადლეგრძელებ  
არა მარტო როგორც ჩვენი სოფლის თვალს, არამედ აგრეთვე როგორც უაღრე-  
სად კეთილშობილ, მკვიდრ დასავით საყვარელ ადამიანს, რომელიც ჩემსა და  
ამ ჩემს სადედოფლოს შორის ერთგვარი შუამჟელის თუ ფოსტალიონის როლს

ასრულებდა. ნიგარი რომ არ ჩარეულიყო, მისი რგოლის წევრს, ცხანთა, მა ვერც მოვიტაცებდი და ვერც დედოფლად გვერდით ვერ მოვისვამდი!

ნეფის უკანასკნელ სიტყვებზე ყველამ გულიანად გადაიხარხა შესრულებული გულის მომსახურე მანდილოსნებმაც ხალისიანად ასწიეს და ერთხახეთს შიუქა-ხუნეს, რამაზს კი გახურებულ თავზე მოულოდნელად თითქოს ცივი წყალი გა-დაასხეს. „აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, მე სულელს კი... რა მეგონა!“ — ელვის სისწრაფით გაურბინა ფიქრმა. ხელები ჰუკანკალდა, ჭიქა დაუვარდა და ზედ ფეხებთან ჩაემსხვრა...

იმ წუთიდან მოკიდებული რამაზს სული აუფორიაქდა. უდანაშაულო ცოლ-შვილის ცოდვა ლოდივით დააწვა კისერზე. თავისთავს ებრძოდა. სირცევილისა-გან იწვეოდა. მეზობლებს თვალს ვერ უსწორებდა. გამიზეზდა და განერვიულდა. საბავშვო ბავაში ქურდულად შეიპარებოდა ხოლმე და შეის ნახულობდა, ნი-გართან გამოჩენას კი ვერ ბედავდა, შორიდან უვლიდა, შორიდან ელოლიავე-ბოდა...

ვინ იცის, რამაზის მერყეობა როდემდე გასტანდა, უნებლიერ რომ დედა-მისს არ მიეცა ბიძგი. ეს ამ თვენახევრის წინ მოხდა. სიტყვას მოჰყვა და რამაზ-მა დედას საყვედურით შენიშვნა:

— შენ, დედახემო, საოჯახო საქმეებს ვეღარ აუდიხარ... ალარც სახლი გავს სახლს, ალარც ეზო — ეზოს... ძროხაც კი ვერ მოგიწველია... ყველაფერს მომ-ვლელის ხელი აკლია!..

— შენ კი, როგორც გატყობ, — უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა მოხუცმა. — ქალი გაყლია და ამიტომაც დამიშვე ღრენა! ვიღაცა გატლეკილს უკვე მოძებნი-დი, აბა არა! ოი, ახლანდელი არც კაცები ვარგხართ და არც ქალები!.. ახლა ნახევარი ქონება ახალს გაატანე და თვითონ დაჭექი ცარიელზე!.. უყურე ერთი, ხელათ ქალის შერთვა არ მოუნდა?! — და სრულიად დაუკვირვებლად დასძი-ნა. — მაცალე, თუ კაცი ხარ, სიკვდილი!

რამაზმა გაოცებისაგან პირი დააღო. რა წამოცდა ამ ქალს! სიკვდილი დამა-ცალეო, ესე იგი ჩემ სიცოცხლეში ნუ შეირთავ ცოლს! თავისივე ხელით არ ჩამოიხსნა ნიღაბი?! ნიგარი ცამდე მართალი ყოფილა, უმიზეზოდ აუთვალწუ-ნებია და შეუძლებია, თურმე ეს ვერ იტანს სხვა ქალს ამ ეზოში, ამ სახლში, ამ ოჯახში!.. პოდა, რახან ვერ იტანს, ბრძანდებოდეს თავისუფლად, მარტოდ-ნებაზე!.. რამაზს კი, როგორც იქნა, აეხილა თვალი...

— პო... აი, რა უნდა გითხრა, ნიგარ... — აუტანელად მძიმე და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ძლივს ამოიდგა ენა რამაზმა. — ჩვენს საქმეში დედახემს საკ-მაოდ ურევია ხელი... იგი ძველი ქალია. ჩამორჩნილი... ხასიათიც უცნაური აქვს... ახლანდელი ქალების არაფერი არ მოსწონს... შენ კი ახლანდელი, თანა-მედროვე, განათლებული ქალი ხარ, იცი შენი უფლებები, თავს არავის დააჩავვ-რინებ...

ოლონდაცო, ნიგარს კვერი უნდა დაეკრა, მაგრამ დამუწული ბაგების გა-სახსნელად ღონე არ ეყო. გულმაც სასიამოვნო, სასიხარულო, საბედნიერო რამ უაზრა და გამარჯვების ბუნდოვანმა წინათგრძნობაშ უჩვეულო ალმურში გახვია...

— მაგრამ დედახემი რაც არის, არის, მთავარი დამნაშავე, ყველაფერში დამნაშავე, ნიგარ, მაინც მე ვარ... კარგა ხანია ეს შევიგნე, ოლონდ... აქამდე ვერ

გაგიბედე მენახე და მეთქვა... თბილისშიც მოვინდომე იმ შენს ნათესავთან მო-  
შეკითხე, მაგრამ ვიფიქრე, ორჯერ თუ სამჯერ გვერდში ისე ჩამიარა, რომ ჩემს  
კენ არც კი მოუხედავს და.

— მე ჩაგიარე?! თბილისში?! — ნიგარმა სათქმელი შუაზე გაუწყვიტა, გა-  
ოცებისაგან თითქმის შეიკივლა და ამით თავისთავი გასცა.

— ჰო, თბილისში, ინსტიტუტის დერეფანში, — სვენებ-სვენებით განაგრ-  
ძო რამაზმა. — იქ ცოტა კი ბნელოდა, მაგრამ... ვიფიქრე, არ მიმიღებს ანდა იმ  
ნათესავთანაც გამომლანდავს და დამწვარზე მდუღარე გადამესხმება-მეთქი...  
ახლა ა, შენ იცი და შენმა ქალობამ... დედაჩემი თუ გამოიცვალა, ხომ კაი, თუ  
არა და, იყოს იქ, იმ სახლში... რაც შემიძლია დავეხმარები... შენ კი... ამ ბავშვის  
ხათრით... ბავშვის ხათრით მაინც მაპატიე! — ხელები გაშალა და წინ გაუბედა-  
ვად გადადგა ხაბიჭი.

ნიგარმა ვერ გაუძლო რამაზის წყლიან თვალებს, უნაპირო მუდარით რომ  
შეჰყურებდნენ. მის ყელზე ცალხელმოხვეულმა ბავშვმაც მეორე ხელით მამი-  
საკენ გიწია. ღონივრად გაიწია და დედასაც წინ გადაადგმევინა ფეხი. ყოფილი  
ცოლ-ქმარი პირისპირ აღმოჩნდნენ.

— ღირსი არა ხარ, შე უსინდისო, მაგრამ... — ნიგარმა ესღა ამოიჩურჩულა,  
აბორგებულ ვაჟკაცურ მკერდზე ბავშვიოურთ დალლილივით მიესვენა და სიხა-  
რულისაგან აქვითინდა.



## ჯემარ ჯაყები

### ასე ამბობდა სოფლელი პაპა

— ვიყავი შენს ღროს,  
 იქნები ჩემს ღროს,  
 გიცმევა ჩოხა,  
 გიქნება წვერი,  
 ცოლმა სიბერე რომ არ დაგუვედროს,  
 მონახავ ყრმობის სფრათს და წერილს...  
 სატრფოს წერილში იძოვი ცხელ გულს,  
 უკეთ მზეც ხარ, მოვარეც.  
 ვეფხიც და მოყმეც.  
 ერთ ღროს ჭანმაგარს,  
 კარგ მხედარს, ქებულს.  
 გთხოვენ, რომ ყრმობის ლეგენდა მოყვე... —  
 ასე ამბობდა სოფლელი პაპა.  
 დამუხტლულიყო სიბერე ფერხთით  
 და ბერიყაცი ყვებოდა ამბავს,  
 და ბერიყაცი ყვებოდა ზღაპრად, —  
 მას თვალწინ ედგა ცხრას ჩვილმეტი,  
 განათებული უქრობელ ლამპრად,  
 განათებული რწმენით, იმედით.  
 ჭროლა თვალებში ედგა ნათელი  
 და ამ თვალებით მიმზერდა თბილად.  
 მოატრიალა ერთი სათქმელიც,  
 შენში ჭხედავო სიცოცხლის დილას,  
 შენში ჭხედავო ზვავის მოწოდას,  
 ერთი ნახტომით მოვარდნილ ტალღას,  
 ვინც დედა-მთების ძუძუ მოწოვა,  
 ვინც არ დაზავდა აღმართს და დაღმართს.

შენში ვხედავო ჩემს სიყმაწვილეს,  
 მოგონებებს რომ ნიადაგ ახლავს.  
 დღებს იმრიგად გავანაწილებ,  
 რომ სიყმაწვილე დავიწყო ახლად.  
 რომ კვლავ ვიპოვო სიცოცხლე ერთი,  
 ბეღნიერ დღეთა შევალო კარი,  
 ისევ ვიწამო ტრფიალის ღმერთი,  
 ქვეყნად დავტოვო გმირობის კვალი.  
 დავანთო ცეცხლი, გავათბო ვინმე,  
 გადავჭრა წყალი, წავართვა შუქი,  
 ერთი მწვერვალიც მოვსტაცო მყინვარს,  
 ისევ მივეჭრა ზავთით და ბუქით...  
 და ახლა მივხვდი მისი სახმილი,  
 არ დაბერდება გული აროდეს.  
 ჰიდა, ჩა არის აქ გასაკეირი,  
 მწვერვალისაკენ მიმიხაროდეს.

## ვრთამალალ საარზივეთო

სამობლო მხარევ, მთაბშირო,  
 ფრთამაღალ საარწივეთო,  
 ფრიალ-ფრიალოდ გაშლილო,  
 სასოებავ და იმედო.  
 მრავალ მოძმეთა ზიარო,  
 მყინვარო, მართლაც წმინდაო,  
 მომინდა შემოვიარო  
 ძველნაომარი მიდამო  
 და ცეცხლში ღამეგათეულს  
 ჩავეჭრა დედის მკერდივით,

რომელსაც ახსოვს ლანგ-თეჭურ  
 და მხეცი ჭალალ-ედინი,  
 სპარსი, ეშმაკი უმსგავსო,  
 სიკვდილი რომ არ უხათრეს.  
 და მაინც „მუმლი მუხასო“  
 მუხა კვლავ იდექ მუხადვე.  
 სამობლო მხარევ, მთაბშირო  
 ფრთამაღალ საარწივეთო,  
 ფრიალ-ფრიალოდ გაშლილო,  
 სასოებავ და იმედო!

## ს ი ჭ ა ბ უ კ ე

გულს თუ ანათებს ტრფობა

ნამდვილი,

ზღვას თუ ტალღები აფანებია  
 და ხარ-ირემი მთაში გიჭრილი  
 ქარაფს მუხლებით დაჭახებია.  
 თუკი შეყრილა მოყმე და ვეზხი,  
 როგორც თამამი ტყუბის ცალები,  
 თუ დასტეხია ლრანტებებს მეხი,  
 ხადმე შემკრთალა ნუკრის თვალები,  
 თუ წაკითხულა წიგნი და მიწა

და ვარსკვლავების უცხო ქარაგმა,  
 თუ მოსეული ღუშმანი ბილწი  
 მაგაძლიერმა მკლავმა ალაგმა.  
 და თუ შებმია მოვარდნილ გრიგალს  
 მოუგლეჩელი მუხა ტოტებით  
 და სიყვარულის სახალხო ივაუს  
 მტრობა უმუსრავს გაბოროტებით, —  
 ეს ძალა არის ცეცხლის ბაღალი  
 და სიჭაბუკე დაუშრეტელი,  
 შრომის და წიგნის შთავარსარდალი —  
 ახალგაზრდობა გაუტეხელი.



## ଠାରିନୀ ଉତ୍ସବାଳୁପା

### ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିଚୟ

ଗାଢ଼ାଫୁଲଥିରେ ପୋଲ-ମିନଦାରି  
ନିର୍ମାଳି ମିଶ୍ରାଙ୍କ ଫୁଲରେଖାଳେବୁ,  
ନ୍ୟାଯନ୍ଦ୍ରିୟରେ ନାନ୍ଦାରେ ଧିକ୍ଷେବୁ  
ସାଗାନ୍ଦ୍ରିୟରେ ଧାରରେଖାଳେବୁ.  
ଜୀବନ୍ତେଲ ମାତତାନ ହାତୀର୍କୁ,  
ଶେରାହେରେବୁ, ଗ୍ରଙ୍ଗନ୍ଧାର,  
ଅଗ୍ରେମ୍ପ ଧାରରୀ, ଗାଗାନ୍ଧାରୀ  
ଗ୍ରହିଣିକରୁ କ୍ଷିରାକୁନ୍ଧାର...

ଜୀବନ୍ତ ରାତରି ଶେରାହେରେବୁ  
(ଅଶେତୀବ ହେବନୀ ଶେବୀ),  
ଦ୍ୱାରାନ୍ତେ ଓ ମିଶ୍ରାତମ୍ଭିବେ  
ଶିନ୍ଦିନୀଶାକ୍ରେବ ଗାତ୍ରିକେତ୍ରୀ.  
ମନମାଦାନେବୁ, ସାନୀତ ଗାରଦି,  
ଶେ ଶାବତ୍ରୁତ୍ବା ଗ୍ରଙ୍ଗନ୍ଧାର.  
ଶେନ ରାତ ଫାତ୍ତ୍ଵାଲ, ବିନ ହାତୀର୍କୁନ୍ଧାର  
ଗ୍ରହିଣି କ୍ଷିରାକୁନ୍ଧାର...

### ପରିଚୟ ପାଇଁ

ବାଲମ୍ବି ଉତ୍ସବିନାମେନ କ୍ଷେତ୍ରକେବି,  
ଗାଢ଼ାଫୁଲରେ ଗାଲାମେବିବିବା.  
ନାନ୍ଦାର ଗାଲାମେବି ହିତ୍ରେବି,  
ତାମ୍ଭ, ରା ତ୍ରୁଦିଲୀ ବେବିବା...  
ନାକୁରୁଲେବିଲି ରାଜୁରାଜ  
ସିମଦ୍ଦିରାବ ଶେନିବେବିବା.

ଦେଲ୍ଲେମ ଦାଇଶ୍ଚିପି ଅରାକ୍ଷି,  
ତାମ୍ଭ, ରା ତ୍ରୁଦିଲୀ ବେବିବା...  
ଭେତ୍ରେବା ମନମେଶମା ଗୁଲାମିଶା,  
କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷେତ୍ରିଯିତ ଅମ୍ଭେତ୍ରେବିବା.  
ମିଗାଲାମିଶି ସିପ୍ରାରୁଲାମିଶା,  
ତାମ୍ଭ, ରା ତ୍ରୁଦିଲୀ ବେବିବା!

### ପରିଚୟ

ମେ ବିନା ବାର?  
ମେ ରା ମିଶ୍ରା? —  
ନାନ୍ଦାର,  
ଜୀବନିକରି ରାତ ଶେରିକରିବା.  
ମେ ବିନି ବାର?  
ବାନା ଶେନି?

ଯାନ୍ତାକିମ ବାର  
ପୋଲ-ମିନଦାରେବିଲି ଧାମାମିଶିବେନି.  
କିଛିବ ବିନ ବାର?  
ରା ବାର କିଛିବ?  
ଶେନି ଦେଲ୍ଲା  
ଓ ଅରାସଲାରିଲି ଦାଗାମିଶିଲେବ.



## ნორა მორისაძე

### ჩემი სახლის პირდაპირ დგას თუ სახლი

ეს ამბავი გასულ გაზაფხულზე მოხდა... იმ დილით დედა სიხარულის ცრემლს ვერ იმაგრებდა, ბედნიერი ქალი ვარ. შენს ჩამოსვლას მოვესწარით. ნინო კი თავს უხერხულად გრძნობდა. სახლში იცოდნენ, რომ იგი ჩემი საცოლე იყო, მაგრამ მე ახლა სხვა აზრისა ვიყავი ცხოვრებაზე და საერთოდ არ გაირებდი დაოჯახებას. დედა თვალით მანიშნებდა. ცოტა ყურადღება გამომეჩინა ნინო-სადმი. ამის პასუხად პაპიროსი ამოვიდე და გავაძოლე. ვერ ვიტყვი, დედაჩემთვა. როდის შეატყობინა მას ჩემი ჩამოსვლა. შევდგი თუ არა სახლში ფეხი. ისიც მოვიდა. ერთი წელი მისთვის წერილი არ გამომეგზავნა. ვფიქრობდი, დამივიწყებს და გათხოვდება-მეთქი. მაგრამ არა, იგი კვლავ ჩემს გვერდით იჯდა. ჩვენი პირადი ურთიერთობა ყველამ იცოდა. იგი მოდიოდა ჩემთან სახლში და მე მივდიოდი მასთან. წინათ იგი თავს მერჩივნა, მაგრამ ახლა ვამჯობინებდი სულ ამ შევეცედროდი მას. ჩემი მეულლეც და შეილიც წიგნები იყო.

ნინო მიხვდა, მე უგუნებოდ ვიყავი და წამოდგა. კარებამდე მივაცილე.

— დაისვენე. დალლილი ხარ. საღამოს გამოვივლი. — მითხა მან.

ძალაუნებურად თავი დავუქნიე, გამოიარეთ-მეთქი.

მივხურე კარები და ერთხანს გაონებული ვიდექი. გული მტკიოდა. რატომ არ უნდა იყო შენს ნებაზე. რატომ უნდა მოგახვიოს სხვამ თავისი აზრი. რა ჩემი საქმეა დაოჯახება! და მაინც ყველა ჩამჩიჩინებს ცოლი შევირთო, რომ ეს იქნება დიდი ბედნიერება. ვერავინ ვერ ხვდებოდა ჩემი გულის ტკივილს. ჩემი იდეალი იყო სახელი მომეხვეჭა, როგორც დიდ მეცნიერს. სხვა არაფერი მანტერესებდა.

ბოლოს გადავწყვიტე.

— არა, არა-მეთქი. მე ჩემი მიზანი მაქვს. მე ვიცი რა არის ბედნიერება.

გონებაარეული ფანჯრის რაფაზე ჩამოვჩექი და ქუჩისაკენ გადავიხედე. ჩემი უბანი ძველებურად მხიარულად და სუფთად გამოიყურებოდა. ბაგშები გატაცებით თამაშობდნენ. ჩემი იქ ყოფნისას რამდენიმე ქალიშვილმა აიარა. ვაჟები დინჯად მიაბიჯებდნენ. აკი ამიტომაც მიყვარდა აქ ჯდომა! თავს არასოდეს მოწყენილად არ ვგრძნობდი. მე შევხედე ორსართულიან ქვის შენობას. ამ სახლში იდესლაც პროფესორი სიმონ ჩიკვაძე ცხოვრობდა. უცოლშვილო კაცი იყო.

ლამაზი, სანდომიანი. მთელი თავისი ცხოვრება წიგნების კითხვას მოაწომდა, რაც არ იყო ოჯახი, მეუღლისა და შვილის სიყვარული. რამდენადმე მე მის გავლენას განვიცდიდა. წიგნი მან შემაყვარა. მისი დაკრძალვის დღეს უფრო უძველეს დღეს დაკრძალვა მარტინ ლაქი მოვიდა. მის ცხედარს გვერდით მივყვებოდი. სტუდენტი ვიყვარი. სტორელ მამინ დამებადა ასეთი აზრი — ჩემს დაკრძალვაზეც მოსულიყო ამდენა ხალხი. არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, ჩემს ცხედარს გაყვებოდა თუ არა ჭირი-სუფალი. განსვენებული პროფესორი ხომ მარტი ცხოვრიბდა და წიგნი იყო მისი შთამომავალი. ადამიანის სიამოვნებაც ხომ ის არის, იცხოვროს როგორც სურს... ჩვენ გვაქვს უამრავი სურვილი. რომელთა განხორციელებას მილიონი წლები დაკირდება, მაგრამ ჩვენ იმითაც ბედნიერი ვართ, რომ მათგან ნაწილს მაინც უვასრულებთ.

იმ საღამოს მამას ვუთხარი:

— ყველა ინატრებდა სიმონის ბედს.

მამაჩემი სოფელში გაზრდილი კაცი იყო. ოცდათხუთმეტი წლისამ აგრო-ზომიული დამთავრა და ქალაქის პარკში მუშაობდა. ცხოვრებაზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა, მსჯელობდა ცოტა უწააურადაც კი. თუმცა დინგი და დაკვირვებული იყო, ისე როგორც ყოველი მიწის მუშა. ჩემს ნათქვამზე თვალებში ღიმილი გამოეხატა და მითხრა:

— პო, ხალხი ასე თვლის.

გამიკვირდა.

— თვლის და არის კიდევაც.

— შეიძლება.

— რატომ შეიძლება და არა ნამდვილად?.. ის პროფესორი იყო, ხალხს უყვარდა! — და შევხედე სიძონის ლამაზ ორსართულიან სახლს, რომლის დარაბები მაგრად იყო ჩაკეტილი და რაღაც ციფ განწყობილებას გამოხატავდა. გამახსენდა თვით განსვენებული პროფესორი, რომელიც სადარბაზო კარებს მუდამ უხმაუროდ გამოკეთავდა ხოლმე და პორტფელით ხელში ჭუჩას აივლიდა.

— არა, ვერ ვიტყვი, ხალხს არ უყვარდა-მეოქნი. — განავრძო მამაჩემშა, — მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ ზოგჯერ თვალს ბრჭყვიალ საგანი უფრო იზიდავს, ეიძრე რომელიმე ძვირფასი განძი. შეიძლება მითხრა — ის მარტო როდი ბრწყინვადა, მაგრამ...

— არა, მამაჩემო, შენ ცდები. — ვერ მოვითმინე მე.

— მომითმინე, — ხელიო მანიშნა მან, — მას ჰქონდა აეტორიტეტი და ნაცნობები დიდ პატივს სცემდნენ. მაგრამ გავა დრო. როგორც ის იქექებოდა არქივში და ქალალდებს სწმენდდა, ასე ვინმე მის გვარზეც გადასწმენდს მტვერს და ხალხს მიაწვდის ცნობას. რომ ამა და ამ დროს ცხოვრობდა პროფესორი სიმონ ჩიკვაიძე. მეტი არაფერი. მას თავისი არაფერი დაუტოვებია ამ ქვეყნად. მარტო იმისათვის, რომ ჩრდილში წოლა სასიამოვნოა, ხეს როდი რგავენ.

მე ჭაბუკობიდანვე ჯიშტი ვიყავი, მამაჩემის სიტყვები მის გლეხურ ბუნებას მივაწერე და მაინც პროფესორ სიმონ ჩიკვაიძის ბედს ვნატრობდი. ვცდილობდი კარგად დამემთავრებინა ასპირანტურა და ხარისხი დამეცვა. მართალია, ერთხანს მიხაროდა, როცა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს დავინახავდი, მაგრამ ახლა? ახლა მჯეროდა, რომ ოჯახი ზედმეტი ბარგი იყო და ხელს შემიშლიდა სურვილი-სამეცნიერო მეცნოვრა.

ახლაც, როცა შევხედე პროფესორ სიმონ ჩიკვაიძის სახლს, მომაგონდა მა-

შაჩქმის სიტყვები, მერე უნებურად მზერა მივაპყარი განსვენებული პროფესიონალის სახლის გვერდით მეორე სახლს, მომალლოდ მდგომ ერთსართულად მუნიციპალიტეტის ბას. ამ სახლში მეეზოვე ბიძია თედორე ცხოვრობდა. მას ხუთი ვაჟი ჰყოფილი იყო და გარდაიცვალა, კუბო ვაჟებმა გამოიტანეს.

ბიძია თედორეს სახლშე ფიცრის აივანი შეისწინათ. მეორე კიბე ეჭოს მხრიდან გაეკეთებინათ. ეზოში პატარა ბავშვს ახალგაზრდა ქალი პირს ბანდა. მიეცხდი, რომ ის ბიძია თედორეს შვილიშვილი იყო. აივანზე მისი უფროსი ვაჟი გამოვიდა. იგი მშენებელი ინჟინერი იყო. თუ ის ბავშვი მისია, მაშინ მას შესაბამი შვილი შესძენია. როგორც ვიცი, იმ სახლში სამი ქადაგი ცხოვრობს. ორი ქადაგი ახალ ბინებში გადავიდა. ყველა ცოლ-შვილიანია. მათი ნაცნობები ხუმრობით ამბობენ, რომელ ქუჩაზეც არ უნდა გახვიდეთ, ბიძია თედორეს მონაგარს შეხვდებით. სახლიდან ხშირად მოისმის ხოლმე ბავშვების ტირილი, ქალის ხმა და ძაბილი. ფანჯრებს რომ გააღებდნენ, მოჩანდა ოთახში მოფუსფუსე ადამიანები.

ახლა ბიძია თედორე ცოცხალი რომ იყოს, უთუოდ ვინახულებდი. მადლობას ვეტყოდი იმ სიამოვნებისათვის, რომელიც განვიცადე მისი შთამომავლის ღანახვისას. გვერდს აღარ აუცვლიდი, როგორც წინათ, როცა ქუჩას ხვეტავდა. მივიღოდი და დავეხმარებოდი, მაგრამ იგი აღარაა ცოცხალი და ვერ ვეტყვი, რა ჟელნიერი ადამიანი ყოფილა.

ფანჯარა გავაღე და შევხედე ბიძია თედორეს ვაჟს, რომელიც სახლს გარს უვლიდა. ეტყობოდა, რაღაც ახალი გეგმა მოეფიქრებინა. სახლში ისინი ბევრი არიან და, რა თქმა უნდა, ფართობი სამ ოჯახს არ ეყოფოდა. ბიძია თედორეს ვაჟმა სახლის გვერდით რამდენიმე ნაბიჯი გადავთალა, მიბრუნდა და, სადაც თვითონ იდგა, ქვა დაღო, ალბათ, ოთახის მიშენებას აპირებდა. პატარა ბავშვი აივნიდან ეძახდა.

— მამიკო, ბურთი ჩამომივარდა...

მამამ ბურთი აივანზე ააგდო.

ამ დროს დედამ ფანჯარაზე დამინახა და მითხრა:

— ბავშვი ხომ აღარ ხარ, ფანჯრის რაფაზე რომ ჩამომჯდარხარ?

დედამ არ იცოდა, რას განვიცდიდი, როცა ფანჯარაში ვიყურებოდი. მას შართლაც არ შეეძლო განცადა ჩემი სიხარული. ჩემს წინ ყველაფერი თანდა-თანობით ნათდებოდა და მე რაღაც ახალს ვხედავდი ბიძია თედორეს სახლში.

— დიღიხანია არ მინახავს ჩემი უბანი, ბევრია ცვლილება! — ვთქვი მე.

დედამ თავი დააქნია და ჩაილაპარაკა, — ასეა, ასე...

განსვენებული პროფესორის სახლის ფანჯარა ვიღაც ქალმა გააღო. ის იქ არასოდეს დამინახავს. საშუალო ხნისა იქნებოდა. ჭალარა ერია.

— დედა, ვინ არის ის ქალი?

— ვისუე მეკითხები?

— ჩიკვაიძის სახლში რომ არის.

დედამ ფანჯარაში გაიხედა.

— ექიმ ნიშნიანიძის მეულლეა.

— განსვენებულის სახლი იყიდა?

დედამ თავი დააქნია.

უცებ დავფიქრდი. პროფესორ სიმონ ჩიკვაიძეს ფართო, მაღალჭერიანი ხთახები ჰქონდა. ვიდრე ცოცხალი იყო, კარგადაც ცხოვრობდა. მაგრამ გარდა-იცეალა სიმონ ჩიკვაიძე. დაიცალა მისი მრავალოთახიანი სახლი და შესახლდა

ახალი მობინადრე — ექიმი ნიშნიანიძე. ისიც უშვილო. გარდაიცვლება ნიშნიანიძე და ამ ოთახებს დაიჭერს კიდევ ვინმე სხვა. როგორც ერთს არ უთირულები ისე მეორეც არ იფიქრებს ბინის გაფართოებას, როგორც ამისთვის უკუჭამოებენ ბიძა თედორეს ვაჟი. როცა ეს გავიფიქრე, ჩემს წინაშე სრულიად ბუნებრივად წამოიჭრა კითხვა, რა მოხდება ყველამ ასე რომ იცხოვროს?

შევძრწუნდი.

კარის ხმაურზე ფანჯრიდან სწრაფად ჩამოვხტი. უკვე ვიგრძენი, ვინც მოვიდა. უდიდესი ნეტარება იყო ახლა მასთან შეხვედრა. იგი ახლა ძვირფასზე ძვირფასი იყო ჩემთვის. გაკვირვებული მიყურებდა, უნდოდა ეკითხა, გაეგო რა მოხდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

— მე ბევრი, ბევრი მუშაობა მელის და დღე და ღამ ვიმუშავებ, ხარისხ-საც დავიცავ, მაგრამ... — შევჩერდი. — ოჯახიც მინდა, ცოლი, შვილი ბიძა თედორესავით.

ნინოს თვალები გაუფართოვდა, ლამაზი, მიმზიდველი შავი თვალები. ხელთ მოვკიდე და ფანჯრასთან მივიყვანე. შერე ფარდა გადავწიე და დავანახე ის ორი სახლი.

ახლა ბიძა თედორე ცოცხალი რომ იყოს, უთუოდ ვინახულებდი და ვესა-უბრებოდი იმაზე, რასაც მისი შთამომავლის დანახვისას განვიცდი. მაგრამ იგი იღა დღარაა ცოცხალი და ველარ ენახავ მას, ვერ ვეტყვი, რა დიღი სამსახური გაუ-წევია მას ჩემი ქვეყნისათვის.



## ვიზუალიზაცია

### ჩ ა ღ რ ი

ა მ თ ა ხ

1

ავერა ძვირფასო, ვერ გაპატიებ,  
რომ ამატკინე გული უწყალოდ.  
ჩემს ყოველ სიტყვას შენ ამარტივებ,  
შენ აადვილებ, შენ აბათილებ,  
ცდილობ ჩემს სიტყვას გამოუცვალო  
ფუქს, ხალისი და სინამდვილე.

თავიდან თავი ჩემთვის გადადე:  
რა არ აღმითქვი, რას არ დამპირდი,  
მაგრამ ჩუმ-ჩუმად ჩადრით  
დამბინდე...  
და სიყვარული, როგორც სავარდე,  
შელობე, შეჰკარ და, ჰა, აქამდე  
ისე მადარდებ, ვამბობ: გათავდეს...  
გამითბეს-მეოქი გულის ამინდი“.

სელვა ზის წყალთან სულ  
მარტოლმარტო  
და თავისთავთან ასე საუბრობს.  
როგორ თქვას, სიტყვა როგორ  
მომართოს —  
ჯავრი ერევა უფრო და უფრო.  
ჭმარი ისევე მარტო წავიდა,  
კლუბში წავიდა წარმოდგენაზე.  
ქალს შეუყვირა: „ხალხში რა გინდა..  
სუ, დაჭირე კბილი ენაზე!..“

2

ის ადგა, ოუნგი მხარზე შეიღვა,  
აღმართს შეუდგა და ბინდიანი  
ხეების იქით გზის მოხვეულთან  
შენიშნა ორი აღამიანი.

ის ენვერია, ქმარი სელვასი,  
ის კი, მეორე არის უცნობი...  
და ქალს დაისის მრუმე ელვაში  
ესმის: — სულ ხუთი ჭიქა შევასვი  
და მიეყუდა კედელს უგრძნობი...

ამას ამბობდა, ალბათ, ენვერი...  
— ვინ? — შეეკითხა უცხო  
ხმადაბლა.  
— მწყემსია, ჩვენი ფერმის

მომცველელი,  
ერთის სიყვარულს ისე გადაპყვა,  
რომ კაცი ამან დაავადა, —  
ბნელში ენვერმა უთხრა ხარხარით.  
მაგრამ უცნობმა ის გააჩერა:  
— რა, სიყვარული, შენ არა  
გვერა? —  
თან დაუმატა — სწორი არ ხარო,  
და წყენით დაპკრა მხარზე მარჩვენა.  
— ერთი შენც! ქალი განა ცოტაა...  
უცოლო ვიყო, მაშინ ნახავდი...

სელვას დაედო ფერი ქაღალდის,  
ოდასთან შედგა და საცოდავად  
კარის სახელურს მიაწეა ზურგით,  
მხრიდან უძლურად ჩამოდგა თუნგი.

შემდეგ ნალველი მაინც გაკაფა,  
შევიდა, სახლი მიმოალაგა,  
გამოიცვალა საჩქაროდ კაბაც, —  
უხერხულია ქმრის ამხანაგთან.

მაგრამ ენვერმა ცოლს არ გააცნო  
ძმაყაცი, თავის სახლის სტუმარი.  
ეჭ, გული როგორ უნდა დააცხრო,  
ქალი კი არა, ხარ სასთუმალი....

## 3

ეჭ. სელვა, სელვა, ვინ დაგიჯერებს.  
რომ მზერას შენსას ჩუმად იჭერენ.  
შენს გალიმებას სხევას უმალავენ,  
თოთქოს ღიმილი ნაქურდალია...  
მერე ყველაფერს შენ გაბრალებენ, —  
რა ვქნათო, ძველი წესის ქალია.

ის შენი ქმარი პარტიულია,  
სად არ ყოფილა, სად არ უვლია.  
ერთხელ კრებაზე ვნახე მე თვითონ,  
გატაცებით რომ ამ აზრს იცავდა:  
დაისაჭირო და მიეთითოს,  
ვისაც ჭერ კიდევ სურს ჩადრო  
ზიდოს  
და არ სურს წინსვლა, რათა იდიდოს  
გზით, რომელიც დრომ

გამოგვიწალდა.

რა სიტყვებია. რა პირდაპირი,  
დამისწერებული და გასროლილი!  
მაგრამ სხვა არის გული და პირი,  
სხეულს ნისლივით აქვს დაწოლილი  
ეჭვი, წარსულის გადანაბირი.  
და ვიდრე ამ ეჭვს ის არ შეიცვლის  
სიმტკიცით, რწმენით, ახალ იმედით,  
ალბათ ენვერის გულთან ამ

სირცხვილს

გულისჯიბეში გრძნობს

პარტბილეთიც.

სტუმარს სტუმარი შეპრატებია  
და მხიარული სიტყვით თბებზე უშესულობება  
ბოლოს მხურვალე მოსაუბრეთა  
შუა ინთება სუფრის დიდება:

კარი იღება,

აი, თუ ხედავთ —  
ლანვრებს ენვერი თვით ეზიდება!

ასე რად ხდება, ასე რად არის! —  
სად არის თავად დიასახლისი?  
აქ პურ-მარილი მართლაც ზღვად  
არის.

და მაინც სუფრას, რატომ არ ვიცო,  
აქლია მაინც ეშხი თავისი.

ვიცი ამ სოფელს სამ საუკუნეს  
არ დაუწურავს წვეთი მაჭირიც...  
მაგრამ გამოდით, ახლა უყურეთ —  
რა ლამაზია ბედი აჭარის.

გაოცებული ციდან მზე გვიმზერს  
და ჩეენს ნაბიჯებს ველარ იჯერებს,  
ჩეეგბმა გულისპირი შეიხსნეს, —  
ჩანჩქერებიდან ეზოებისკენ  
სინათლეები მოაბიჯებენ.

ყველა გოგო-ბიჭს გმირის გული აქას,  
და მისი ქცევა, ცოდნა, სილალე,  
ქართულ მიწაზე რომ დარგულია,  
შეშვენის თვითონ დროის სიმალლეს...

მაგრამ ზოგს მაინც იმ სამას წელის  
შერჩა სილაჩრე და მორჩილება  
და სალი სახე ჩადრით დამწველით  
შეუხვევია, როგორც ჭრილობა.

არ შემიძლია მე გაჩუმება,  
არ შემიძლია მე პატიება.  
მე გამავონეს ძველმა ჭურებმა  
იმ სამასი წლის გაჩურჩულება,  
როგორც თქმულება და დატირება...

ეს ხომ მიწა იმ განთიადის,  
ფრთას რომ იშლიდა საქართველოზე-

აქ უთხრეს ქება ნესტანს, თინათინს,  
დიდი თამარის თვალთა სინათლით,  
ზალხის გმირობით და სიღიადით  
ამ მთა-გორების მკერდი შემოსეს.  
უფრო კი ჩვენი დღე დღევანდელი,  
ლიმილიანი სახე ამდენი,  
გენია ატომგულში მძებნელი  
ზღაპარზე უფრო ზღაპრულ ძალების  
და უმაღლესი მიზნის შეგნებით  
კოსმოსში მქროლი კაცის თვალები.  
ეს სინამდვილე, ეს სილამაზე,  
ეს ბედნიერი ბედისტრიალი,  
როგორ შეეწყოს, როგორ შეთავსდეს,  
თუ აჭარაში თუნდაც ერთ ქალზე  
იტყვიან: აი, ის ჩადრიანი?

## 5

სელვა, შენ ახლა სულ არ გამტყუნებ,  
რომ მიწოლილხარ კედელს ტანითა  
და გულგადელილ ენერს გაჰყურებ  
ოთახში ძელის ჭუჭრუტანიდან.

იგი ლალია, როგორც ყაზვილი,  
შუბლს დაფენია თმები ჩრდილივით  
და მის ბაგესთან ჭიქა დაცლილი  
ივსება ისევ მისი ლიმილით.

შენ გინდა მასთან იჯდე ამჟამად  
და იგრძნო მისი ჩუმი ფერება...  
მაგრამ ტრფიალი, ალბათ, დაეანგდა  
და ვერ ფლობს კაცი ბედნიერებას.

მოგონებები სიტყვით აკინძეს  
და სახლიც თითქოს გათბა გულივით.  
და ეშებში შესულ სტუმარ-მასპინძელს  
შორის დაეშვა უცებ დუმილი.

ადგა არსენა ხელში სასმისით, —  
რაღაც აწუხებს, ლელავს, არ ითქმნს.  
— ეს გაუმარჯოს, — დინჯად  
გაისმის, —  
ვინც არის შენი ღიასახლისი,  
შე, შენს მეგობარს, რომ დამარიდე!

შუბლს მოეკვეთა სელვას კედელთან,  
ვარ, სირცევილო, რა დამემართა!

არსენმა შესვა, ოდნავ შეჩერდა  
და კარებისკენ გამოემართა.  
  
ბრაზმორეული იჯდა უწყელემოოთა  
და შეჰყურებდა მის წინ მიმავალს:  
„რას არ მოვითმენ და შეველევი,  
მაგრამ ოჯახში რატომ მერევი, —  
ჩემი სამალი მე დამიმალავს....“

მაგრამ ეს რაა?.. თვალი რას  
ხედავს?! —  
სელვა შემოჰყავს ხალხში არსენს.  
ენერი გავრით გაშრა, გახევდა,  
შემდეგ სიბრაზით თითქოს გამხნევდა,  
გადააბრუნა სუფრა ნახევრად  
და ღვინით ხალხი სულ დასველა.  
რა მოხდა? —

სელვა სუფრასთან იყო,  
ღვინის შხეფებმა კაბა მიმორწყეს  
და იგრძნო კაცმა, რომ ცოლი თითქოს  
ჩაღრივით იხდის შიშს და  
სიმორცევეს.

სტუმარი დინჯად დასცერს მაგილას:  
— ნუ მძრახავ, ენერ,  
აი, რა მინდა:  
გვაამა შენმა ღვინომ და პურმა,  
მაგრამ კარგია — ისიც გშვენოდეს,  
რომ ხელი მივცეთ მამაპურად  
ქართველ ქალსა და სუფრის  
შემოქმედს.

და გაუწოდა სელვას მარჯვენა,  
შინაურულად და შუბლგახსნილად:  
— მადლობა, დაო, ჰა, გამარგვება!  
გამრავლდეს თქვენი სახლი ამწილად.

მაგრამ ენერმა დაადგმევინა  
ჭიქა და რისხეით მხრები ამართა.  
„ვინ მოვიყვანე შინ თურმე,  
ვინა“... —

დაიღრიალა და თან ქამართან  
ხელით მონხსა თითქოს ბებუთი,  
მაგრამ არსენა ნელა შებრუნდა,

ჩაფიქრებული, ძლიერ ნაწყენი  
კართან შეჩერდა გულის ტკივილით,

ენერის მჯიდზე მან შეაყენა  
მშვიდობიანი ერთი ლიმილი.

— მიკვირს, ეგ გული რაღამ შელობა...  
სირცხვილი არის, ძმაო, სირცხვილი,  
მსურდა გვქონოდა ეს მეგობრობა,  
როგორც ძმის სახლში არის ძმის  
წილი.

იღება სელვას შუბლზე ლეჩაქი  
და ქალი მტკიცედ ქმარს ეუბნება:  
— აქმდე ვდუმდი, მაგრამ ეხლა კი  
არ შემიძლია მე დადუმება.

დღეს ამ ოჯახში ჩემი ზიარი  
პეშვი ნაცარი მაინც თუ არი,  
უცდა ვიცოდე, — მითხარ ვინ არი  
ისე უზრდელი, რომ უწყინარი  
ჩემი სახლიდან აგდოს სტუმარი?

### 6

მთვარე ნისლებში გამოისახა,  
ცა ჩანდა მწიფე პურის ველივით  
და მეგობარი მეგობრისაგან  
წავიდა ცოვი და მოწყენილი.

ოჯახს დუმილი რომ დაეუფლა,  
ენერს სიჩუმე თითქოს ეცივა,  
წამოიწია საყელო უფრო  
და მაგიდაზე ჩამოეძინა.

მაგრამ განთიადს ბევრი არ აკლდა, —  
სხიგს შეაგებეს ჰიმნი ჩიტებმა,  
ფოთლებზე ცვარმა შუქი არეკლა  
და რომ აისი არ ჩამქრალიყო,  
დღე დაიბადა, როგორ დიდება.

ცას ვაცრეცილი მთვარე იმ დილით  
გაკვროდა, როგორც თონეს ლავაში.  
მაღვე უჩადრო ქალის ღიმილით  
შემოიხედა მზემ ფანჯარაში.

### 7

გამოეღვიძა ენერს უცაბედ,  
თითქოს დააწვა ჭირო მდუმარი,

ცოლს დაუძახა. პასუხს უცადა  
მაგრამ იცოდა, რაც გული  
  
არც სელვა იყო შინ, არც უცაბედობა

გვარდა გარეთ და გაემართა,  
მაგრამ საითქენ, თვით არ იცოდა,  
გუშინ ის ოდა სხვაგვარი ჩანდა,  
დღეს ამოლივით იდგა ის ოდა.

წასულა იგი, ვინც გაგონდება,  
ობილი, მზრუნველი და გასაგები,  
ის ჩანდა მთელი ქვეყნის ოდენა,  
როცა ამ ოდის კედელს აგებდი.  
შემდეგ თანდათან დაპატარავდა, —  
შენ ის სიმდიდრე ვერ შეაგასე.  
თუმცა არავინ მას არ გპარავდა,  
მაინც იდუმალ შიშით ფარავდი  
და არ ფიქრობდი ბოლოს ამაზე.  
დღეს მას სხვაგვარად ხედავ

სრულიალ,  
შენ ის გწყურია, როგორც ცხოვრება,  
იქნებ ეს მიტომ, რომ წასულია  
და კაცის გული რაღაგა გულია,  
გეწვის იგი, რაც დაკარგულია,  
და გტანჯაეს მისი დამახსოვრება?!

არა, შენ ახლა უკვე გრცხვენია  
და სინანულით გული იყსება,  
და, ალბათ, შუბლი მიტომ ცხელია,  
რომ ძლიერ გტკივა დღეს უმისობა.

### 8

კრებაზე იდგა ერთი საკითხი —  
წევრად ენვერის ყოფნა-არყოფნის,  
აქვთ მიზეზები ხელმოსაკიდი  
მისი გარიცხვის, მისი „დამხობის...“

მაგრამ ყველაფერს თვით ალიარგბს  
და ეუბნება წრფელად პარტიას,  
რომ დამღის მოშლას თვითვე  
იფალებს,

ამგერად კრებამ თუ აპატია.  
ამასობაში კარი იღება,  
შემოღის ქალი.

— თუ შეიძლება? —

ეს არის სელვა,

ისე მოღლილა,

კარგბთან სული ძლიერს შეიკავა:

— მე არ წავსულვარ, ხალხო,

სოფლიდან,

საღაც ვიყავი, ისევ იქა ვარ.

მხოლოდ არსენთან ვიყავ, რომ ჩემი  
ოჯახისაგან მეთქვა ბოდიში,

თორებ მეგონა ვეღარ მოვრჩები,

ისე შევშუხდი...

უცებ მორჩილად

აღგა ენვერი: — ნუთუ მოდი შინ?..

კრებავ, მისმინე, ჰა გეხვეწები,

დამსახე ისე, როგორც მეკუთვნის.

შეგუტნე ვარ და როგორც შევძელი,

ისე ვთქვი სიტყვა ჩემი — მეგუთნის.

იგრძნეს, ენვერის სულში რაც ხდება,

ქალის წასკლას რომ გული დაუწვავს,

იგრძნეს, რა კვდება და რა

აღსდგება...

და ჩაღრჩე ენაც არვის დაუძრავ  
ყველამ გაიგო მისი წაღილი  
და გულიც ყველას მიტოზიზე გრძელება  
თითქოს ოჯახში ესმის ნამდვილი  
სიტყვა ახლობელ ადამიანთა.

გზა საყვარელი, შინ მიმავალი.

ამ ქვეყანაშე არის მრავალი.

მაგრამ მათი გზა მაინც სხვა არი,

ის გულს ეამა, როგორც წამალი.

მათ შესახვედრად თითქოს განდაგან  
წინ დაუგია ბექობს ჩრდილები,  
ეზოში მხრების გაშლით დამდგარან  
ხეები როგორც მექორწილენი.

გულს არ უჭერის,

ჭდება ენვერი,

სელვა აქ არის, ისევ შინ არის,

თბილად უჭერენ ხელებს ხელები

და სულში შედის მზე უჩინარი.

გაღიმებულა ზეცა ამხელა

და კერიაზე ცეცხლი საამო

ჰგავს სიყვარულის პირველ გამხელას

და ქორწინების პირველ საღამოს.



ანერე პლაზმოვი

## გედიერების პირისკირ

ვასილ ჩაგატაევი ტექნილოგიური ინსტიტუტის ეზოში შევიდა. ყმაწვილმა კაცმა ვაოცებით მიმოიხედა ირგვლივ, თითქოს პირველად ხედავდა მისთვის უკვე ნაცნობ მიღამოს. რამდენიმე წლის განმავლობაში დადიოდა იგი ამ ეზოში. მისმა სიყმაწვილემც აქვე ვაიარა. მაგრამ ეს სანაცნებლად არ რჩებოდა. ახალგაზრდობის წლები ცოდნის შეძენის შესწირა და თითქოს თანდათანობით დინოდა გორაზე, საიდანაც ხელისგულივით იშლებოდა ეს ქვეყანა, ზაფხულის ჩამავალი მზის თბილი ჩქერალებით საესტ.

ეზოში ქვასა და ქვას შეა ხასხასა ბალასს ამოეყო თავი. ადამიანებს ეცოდებოდათ იგი და არ სთელავდნენ. კუთხეში სანაცნე ყუთი იდგა. შორიახლო დაცხავებული ხის ფარდული ხანხალებდა, ხოლო მის გვერდით ეულად აწვდილიყო მოუგლელი ბებერი ვაშლის ხე. მოშორებით უზარმაზარი ქვა ეგდო, ასიოდე ფუთი მაინც იქნებოდა. სულ იქით მიწაში ჩამალულიყო მეცხრამეტე საუკუნის ლოკომობილის რკინის თვალი.

ახლა ეზოში არავინ ჩანდა. ჩაგატაევი ფარდულის შესასვლელთან ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა. ინსტიტუტის კანცელარიაში მან აიღ სადიპლომო შრომის დაცვის მოწმობა, თვით დიპლომს კი შემდეგ ფოსტით გადაუგზავნიან. აქ იგი აღარსაოდეს დაბრუნდება, ან კი რისთვის უნდა დაბრუნდეს? და იგი ჩუმაწუხილით ეთხოვებოდა აქაურობას, რომელიც მის შემდეგაც იარსებებდა. მას თითქმის მთელი ეზო შემოიარა და ყველაფერს ხელით შეეხო: უნდოდა გულშა ხევჭდ საგნები. ბავშვობის მოვონებიდან იცოდა, რომ ხანგრძლივი განშორების შემდეგ ნაცნობი ადგილის ნახვა კაცს უცნაურ გუნებაზე აყენებს და მწუხარებას გვრის. გულით თითქოს ისევ მათთან ხარ, უსულო საგნებმა კი უკვე კარგანია მიგივიწყეს და ვეღარ გცნობენ, თითქოს უმენოდ ასი ცხოვრება გამოევლოთ. შენ გაუმხელელი გრძნობით დგახარ ახლა და გარეშესვით შესცემი მათ.

ფარდულის იქით ბალი იყო. იქ ახლა მაგიდებს დგამენ. გაძყავთ შუქი, მოაქვთ ყოველგვარი საჭირო მოწყობილობა. ეკონომისტებისა და ტექნილოგების მორიგი გამოშვების აღსანიშნავად ინსტიტუტის დირექტორს საზეიმო საღამო დაენიშნა. ჩაგატაევი სასწავლებლის ეზოდან საერთო საცხოვრებლისაკენ

გაემართა, რათა დაესვენა და საღამოსათვის მორთულიყო. იგი ვაიშორა საწილა  
ზე და დიაძინა იმ ხორციელი ნეტარების გრძნობით, რაც მხოლოდ ქართული უკანონობის  
ფობის ხევდრია.

მოგვიანებით ჩაგატაევი ისევ დაბრუნდა ინსტიტუტის ბაღში. წვერგაპარსუ-  
ლი იყო და ტანზე კარგად მორგებული ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. საღამოზე  
ჭასვლის წინ ჩაგატაევმა სინაულით შეათვალიერა თავისი კარადა. ეს ოთახი  
თა კარადა, ალბათ, მაღვე დაივიწყებდა მას. სამუდამოდ გაქრებოდა აქედან  
ჩაგატაევის სამოსის სუნი ადა სუნთქვა.

ბაღში კინოთეატრიდან მოწვეული ორკესტრი უკრავდა. მაგიდები სიგრძე-  
ზე ჩაემჭრივებინათ. მათ ზემოთ ელნათურები კაჭაშებდნენ. თითქოს უჰპარო,  
კაჭვიარეალე. ამავ ჭამოდგომოდა თავზე შეკრებილო, და საოცრად მიმზიდვე-  
ლი იყო ეს ღამე თავისი თბილი უსივრცოებით. ცისა და მცენარეთა მდუმარე-  
ბით.

მუსიკა უკრავდა. მაგიდებს შემოსხდომოდნენ ახალგაზრდები, რომლებიც  
ჩარა გაითანტებოლნენ მშობლიურ მიწაზე და ბეღნიერებას მოუტანდნენ სა-  
ჭუთარ თავსა და სხვებს.

კიოლინოს ხმა თანდათან იწრიობოდა და შორეულ კვნესასავით ისმოდა. მაშინ ჩაგატაევს ეჩვენებოდა, თითქოს ამ ქვეანის მიმღმა ვიოაკ სტირდა და  
საშველად უხმობდა მას. ისევ კლერდა კიოლინო. ახლა ამ ხმაში იყო ჩივილი,  
იყო ძაბილი — წალი და ნულარ დაბრუნდებით.

შემდიგ ღაიწყო ცეკვა-თამაში. ჩაგატაევი უცქერდა ხალხსა და ღამეულ  
ბუნებას. მას კიდევ დიღხანს უნდა უცოცხლა ამ ქვეყანაშე, ემუშავნა და ყოფი-  
ლიყო ბეღნიერი, ყოფილიყო იმდენად ბეღნიერი, რამდენადაც სხვასაც გააძელ-  
ერერებდა.

ჩაგატაევის პირდაპირ უკნობი ქალი იჯდა. შავი თვალები უბრწყინავდა. ცისფერი კაბა დედაბერივით ნიკაბამდე შეეკრა, რაც მას მიმზიდველსა და რო-  
გორდაც უმშეო იერს აძლევდა. იგი არ ცეკვავდა. შეიძლება რეჩენონდა ან იქ-  
ნებ არ იცოდა ცეკვა. დაუინებით მისჩერებოდა ჩაგატაევს. მოსწონდა მამაკა-  
კის შავეგრემანი სახე და დიდობა აუმღვრეველი ღვალები. ქალს რომ ჯიქირ  
მიშტერებოლნენ. მოსწონდა მისი ფართო გულმკერდი, რომელიც ფარავდა  
იდუმალი გრძნობებით სავსე გულს. და მისი სიცილ-ტრირილს ჩეცული ლბილი  
ტუჩები. ქალი არ მალავდა თავის სიმპათიას და შეპლიმოდა ჩაგატაევს. იგი შე-  
ცდა და პასუხი არ გაუცია.

გახურდა საერთო მხარულება. ყოფილი სტუდენტები — ეკონომისტები, რეფინანსები და მგეგმავები — მაგიდებიან იღებდნენ ყვავილებს. ბაღში ბალა-  
ხებს წყვეტდნენ და ნაცნობ ქალიშვილებს საჩქრებს უმზადებდნენ ანდა პირ-  
დაპირ თავზე იყრინენ ყვავილებს. მერე იქაურობა კომფეტებით აივსო. ჩაგა-  
ტაევის წინ რომ იჯდა, ის ქილი საღლიც გაუჩინარდა. ახლა იგი ნაირფერი ქა-  
ღალდებით მოჩითულ ბაღის ბილიკზე ცეკვავდა და ბეღნიერი იყო.

მავიდებთან შემორჩენილ ქალებს, რომლებიც ცეკვაში არ ეროდნენ, არ  
აქლდათ მამაკაცების ყურადღება. ისინი ბეღნიერი იყვნენ მშვენიერი ბუნებისა  
და საცუთარი მომავლის შეგრძნებით, თვითეულ მათვანს სხვადასხვა ბედს რომ  
უმზადებდა. მათ შორის ერთადერთ ქალს არ ჰქონდა ყვავილები და არც კომ-  
ფეტები ეპნია თავზე. არავინ გახუმრებია მას, არც არავინ მისალმებია. მაგრამ  
იგი მაინც იღიმებოდა, ცდილობდა თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ამ საერთო

ჟეიმში ისიც მონაწილეობდა და ხალისი ავსებდა. სახით ახალგაზრდა და რა ერთი შეხედვით კაცს არ მიიჩიდავდა. თუ ჩაუკვირდებოდი, მხოლოდ მიუწყვეტებული რო თვალები პქონდა ლამაზი. ისინი სხვადასხვა ფერისა უნდა ყოფილებით კვარდა რადგან სინათლეზე ერთნაირად არ ელვარებდნენ. მარტობაში გაზრდილი ბავშვის თვალებივთ სიწრფელითა და უურადღებით იცქირებოდნენ. ქალი თანაგრძობით იხედებოდა ირგვლივ და იღიმებოდა. მერე მან აიღო მეზობელ სკაპუზი დაგდებული ვარდი და დაუდევრად თმებში ჩაიბნა, თითქოს ისეთი რამ მითვისა, რაც კანონით მას ეკუთვნოდა, მაგრამ დავიწყდათ შეთავაზება. ახლა ქალი რაღაც უცნაური კმაყოფილებით იცქირებოდა წინ და კვლავ იღიმებოდა მორცხვი სიხარულით... ჩაგატავე თვალყურს ადევნებდა ქალის მოქმედებას, მაგრამ ერთბაშად ვერ გაერქვა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. მას უკვე მობეჭრდა ჯე ყოფნა და წასვლას აპირებდა. ის ქალი სადღაც გაპქრა, თმებში რომ ვარდი განია, საღამო მიიწურა. ვარსკვლავები გადიდდნენ ცაზე. ტაატით სადგურდებოდა შავი ღამე.

ჩაგატავე წამოდგა, ხებს შეერია და დაინახა ის ქალი, რომელსაც მომცრო თვალები პქონდა. იგი ხეს შეპფარებოდა და ისე უთვალოთვალებდა მოცეკვავებს.

ჩაგატავე მივიდა მასთან და მიესალმა. ქალმა ხელი გამოუწოდა. გაეცნენ ერთმანეთს. ქიმიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული აღმოჩნდა. ჩაგატავემა საცეკვაოდ გაიწვია. თუმცა ცეკვა არ ეხერხებოდა. ქალი კი საუცხოოდ ცეკვავდა და ტაქტში მიპყვდა იგი. ქალის თვალებში უცნაური შუქი გამოიკრთა, სახეზე დამშვენდა და სხეულით მიენდო მამაკაცს. ჩაგატავე გამოუცნობმა გრძნობაში შეიძყრო. ბავშვობის დაბინდულ მოგონებას ავით ტკბილი ნეტარება გამოსცეიოდა ამ უცხო და უცნობი ქალისაგან, რომელსაც ის, აღბათ, აღარასოდეს შეხვდება. ახ, რაოდენ ხშირად ახლოსა ვართ უხილავ ბედნიერებასთან, მაგრამ გვერდს ცუვლით და სამუდამოდ ვკარგავთ მას!

გარიურავამდე გრძელდებოდა მხიარულება. მერე ბალი დაცარიელდა. ყველანი წავიდნენ. ჩაგატავე და მისი ნაცნობი ვერა გაცისკროვნებული ქალაქისაცენ გაემართნენ. ქეედან შორს დაბადებულ ჩაგატავეს მშობელ მხარესავით უყვარდა ეს ქალაქი. უსაზღვროდ მადლიერი იყო, რომ დიდხანს იცხოვრა აქ, ისწავლა და გულით შეეთვისა პირველად უცხო ადამიანებს. მან თანამგზავრს გახედა. ქალის სახე ახლა ლამაზი იყო და თითქოს ემცნაურებოდა ამომავალი მზის შექმე.

გავიდა ცოტა ხანი. ცა ამაღლდა და მოისარეა. მზე დაუცხრომლად უგზანიდა დედამიწას უდიდეს სიკეთეს — სინათლეს. ვერა მდგმარედ მიდიოდა. ჩაგატავე ხანდახან გახედავდა და უკვირდა, რატომ პირველი ნახვისთანავე არ მოეწონა იგი.

და ახლა, როცა ჩაგატავე ხედავდა ქალის სახეზე მოღლილობისაგან დაჭრეულ ნაოჭებს, ხედავდა მისი სახის გამომეტყველებასა და სხვადასხვა ფერის თვალებს — ერთს თაფლისფერსა და მეორეს ცისფერს, — ხედავდა მის აბურცულ ტუჩებს, ამ ქალის მთელ იღუმალ აღფრთოვანებას, ივი უსაზღვრო სინახეს გრძნობდა მისდამი და რცხვენოდა იშაზე ფიქრიც კი, ლამაზია თუ არაო, რადგან ქალი მშვენიერი იყო.

— დავიღალე. ჩვენ ხომ არ გვიძინია, — თქვა ვერამ. — ღროა გამოკვეთხუ-  
კოთ ერთმანეთს.

— არა უშავს, — უპასუხა ჩაგატაევმა, — მე მალე მივდივა და უშენებელობა  
დით, ცოტა ხანს კიდევ ვიყოთ ერთად.

მათ ისევ წინ გასწიეს, გაიარეს გრძელი ქუჩები და სადღაც შეჩერდნენ.

— მე აქ ვცხოვრობ, — ახალ შენობაზე მიუთითა ვერამ.

— მიგაცილებთ თქვენი ოთახის კარებამდე, შეიძლება? თუ არა, მაშინ მა-  
პატივთ და ნახვამდის, ღამე ნებისა... მეც დავიღალე და ისე ვერ ვამბობ, რო-  
გორც საჭიროა...

— კარგი, — უთხრა ქალმა და სტუმარს წინ გაუძლვა.

ფართო ოთახი უბრალო ავეჯით იყო მორთული: ფანჯრებზე ფარდები ეკი-  
და. რაღაც ნაღველისა და სიცალიერის გრძნობა აღეძვრებოდა ამ ოთახის მნახ-  
ველს. აქაურობას თითქოს აკლდა ვილაცა. რომელიც დიდი ხანია წავიდა სადღაც  
და უკან აღარ დაბრუნებულა.

ვერამ მსუბუქი მოსასხამი გაიხადა. ჩაგატაევმა შენიშნა, რომ იგი უფრო  
სრული იყო, ვიდრე ქუჩაში ჩანდა. ახლა ვერა ოთახის კუნძულში ფუსფუსებ-  
და, რათა სტუმარს ჩაით ვამასპინძლებოდა. მაგრამ ჩაგატაევმა სთხოვა, ნუ შე-  
უხდებითო. დიასახლისი მაინც თავისას აღვა. ფარდა ნახევრად გადასწია და  
ასე ოჯახობდა. სტუმრისაკენ სახით არც ერთხელაც არ მობრუნებულა. კარგა-  
ხნის შემდეგ ჩაგატაევმა შენიშნა, რომ ქალი უძრავად იღვა და არათერს აკე-  
თებდა.

— რა მოგივიდათ? — ჰერთხა ჩაგატაევმა, — თქვენ, ალბათ, ძალიან დაი-  
ღალეთ, მე ახლა წავალ.

ვერა ხმას არ იღებდა და ჩაგატაევი მხრების მოძრაობაზე მიხვდა: იგი ტი-  
როდა, ჩუმად ტიროდა; მარტოოდენ ცრემლები მოწანწყარებდა და თავს იკავებ-  
და, რომ არ აქვითინებულიყო.

მისმა ცრემლებმა შეაძრწუნა ჩაგატაევი. დამნაშავესავით შერცხვა, თით-  
ქოს უნებური შეცოდება ჩავდინოს.

ვერა მისკენ მიბრუნდა.

— იცით რა... მომიტევეთ, ახლა მე რაღაც ვერა ვარ კარგად. მალე დედა  
ვიქნები... არც ისე მალე, მაგრამ ვიქნები კი. — ჩაილაპარაკა მან, როცა თავს  
მოერია და ცრემლით დალბობილი სახე ცხვირსახოცით შეიმშალა. — ჩემი  
ქმარი ახლახან მოკვდა და ბავშვი. რომელსაც მე ვშობ, ვერ იხილავს მამამისს.  
ნარტო დედა კი მისთვის ცოტა იქნება... ხომ ასეა?

— ასეა, — დაეთანხმა ჩაგატაევი. იგი წამოდგა. წასვლის დრო იყო. ვერა  
ცხლოს მივიდა მასთან.

— რით მოკვდა თქვენი ქმარი, რა სჭირდა? — შეეკითხა ჩაგატაევი.

— ჭრილობამ მოკლა. ბოდპოლეოვნიკი იყო. ომის ბოლომდე იბრძოლა. აქ  
მოიყვნეს უნივერსიტეტის პოსპიტალში. პირველ ხანებში ცოტათი მოიკეთა.  
ერთხელ შინაც კი მოვიდა... რა, ორჯერ. მერე თირკმლებში გაურთულდა: დიდ-  
ხანს იწვალა და გარდაიცვალა... მე კი დავრჩი შარტოდმარტო.

ჩაგატაევმა მისი ხელები საკუთარ ხელებში მოიმწყვდია, და უცებ ყველა-

ჭური მიყუჩდა მათგის: აღარ ესმოდათ ქალაქის ხმაური ფანჯრების კეთი მალოდ ხელებით ჩასჭიდებოდნენ ერთმანეთს და თვითეულ მათგანს ესპერესი რის ნდობით აღსავს სუნთქვა.

— ნუ... ნუ შემიბრალებთ, ნურც ნუგაშს მეტყვით, გავედრებით, — უთხრა ვერამ და ხელები გაითავისუფლა — მე თვითონ... თვითონ მოვუვლი ჩემს თავს.

— მე თქვენ არ განუგეშებთ, — წარმოთქვა ჩაგატაევმა, ეს — მე თვითონ ვპოულობ ნუგაშს თქვენს მახლობლად...

იგი გამოემშეიდობა ქალს და წიგიდა. ორი დღის შემდეგ კვლავ ეწვია ვერას. ისე სწყუროდა მისი ნახვა, თითქოს მთელ ქვეყანაზე ამ სხვადასხვა ფერის თვალებითი ქალის მეტი სულიერი არ ყოფილიყო.

მან უთხრა ვერას, ჰიდროგეოლოგიური კელევა-ძიების ექსპედიციაში მივდივარ და მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ დაებრუნდებით.

— მაშ მიდიხართ? — ჩაილაპარაკა ვერამ. იგი ოთახის ბინდიან კუთხეში იდგა, რათა ჩაგატაევს არ დაენახა მისი სახე.

ჩაგატაევი მიხვდა, რად მალავდა იგი სახეს. საოცრად ალელვებდა ქალის კაუბედაობა და მისდამი სინახეს უორყეცებდა.

— სამწუხაროა! — განაგრძობდა ვერა. — მავრამ როცა დაბრუნდებით, ჩვენ, შესაძლოა, კვლავ შევცხდეთ ერთმანეთს, ხომ?

— ჰო, — უპასუხა ჩაგატაევმა და უცებ მღელვარედ მიმართა: — ვერა, თქვენ ხომ თქვით, ბავშვისათვის მარტო დედა ცოტა იქნებაო... ჰოდა, მე ვიქნები მისი მამა!

ვერა ჩაფიქრდა. მობრუნდა, სახეს უკვე აღარ მალავდა და ჩაგატაევთან მივიდა.

— იცით რა, ვასილ, ძეელად ნათლიმამები იყვნენ...

— არ ვიცი, მავრამ გამოიგონია. ამას რად ამბობთ?

— როცა ჩემი ბავშვი დაიბადება, გთხოვთ, თქვენ გაუწიოთ ნათლიმამობა. თუ შეეჩევით, შეიცვარებთ ჩემს შეიღს, მაშინ იქნებ მისი ნამდვილი მამაც გახდეთ. მე კი ბავშვის ბედს სასწორზე ვერ შევაგდებ. თქვენ ხომ შეიძლება არ შეიყვაროთ იგი? მე ვერ შეურაცხვყოფ ჩემი ქმრის ხსოვნას: ის ახლა ცოცხალი აღარაა და თავისი ბავშვი თქვენ კი არა, მე დამიტოვა... მე ახლა ყველაზე ვფიქრობ!

ჩაგატაევი გაოცებით დაკვირდა ვერას. ეგონა, ასე თუ ისე იცნობდა ქალს და თურმე სრულებით არ სცნობია.

— მაშ ასეა? — უთხრა ჩაგატაევმა.

— აგრეა, — გამოიხმაურა ვერა.

— განა თქვენ არ მენდობით?

— გენდობით. მე თქვენ გხედავთ, გიცნობთ. მავრამ დანარჩენი ორი არ გიცნობს თქვენ: ერთი მოყვდა. მეორე კერ არ დაბადებულია. მე კი, ჩემი თავის გარდა, იმათი ბედიც მაწუხებს, მათაც ვიცავ!

— ახლა მე ცოტათი მესმის, — გამოუტყდა ჩაგატაევი. — თქვენ საუცხოო ადამიანი ხართ.

— არა, ნუ მეტყვით აგრე. ქება საჭირო არა. მეც თვითონ სუსტი ფარ  
შემიძლია... შემიძლია რაღაც ცუდი, საძრახისი შეცდომა ჩავიდინო.

— მეტს აღარ გეტყვით, — უთხრა ჩაგატაევმა. — როცა დავბურტავებულ  
გნახავთ და თქვენი ბავშვის ნათლია ვიქნები. თქვენ მართალი ხართ. უმცრესი მოწვევა  
ზაფ!

— ჰო, მერე ენახავთ! — შშვიდად მიუგო ვერამ. — ახლა კი შინ წალით.  
ჩაგატაევმა გაიღიმა.

— რა საოცარია! — თქვა მან. — აი, მე მივდივარ თქვენგან. ეგებ ვერასო-  
დეს გნახოთ, ანდა იქნებ დაგბრუნდეთ და მთელი სიცოცხლე გავლიოთ ერთად,  
დიღხანს, დიღხანს ვიცხოვროთ, სამუდამოდ...

ვერამ არაფერი უპასუხა. განშორებისას ჩაგატაევს უნდოდა შუბლზე  
ეკოცნა მისთვის, მაგრამ როცა უკანასკნელად შეხედა, გადაიფიქრა. ვერა იდგა  
ძის წინაშე, იდგა ერთი შეხედვით უმშეო, მავრამ ღიმილმჩენი და უძლეველი.  
და ის მარტო ქალი როდი იყო, არამედ დედა და ადამიანი, ჯარისკაციებით შემ-  
მართებელი.

ჩაგატაევი ბედნიერი ბრუნდებოდა შინ, თუმცა თან არაფერი შივჭონდა,  
ცოტაოდენი იმედის გარდა.

თარგმნა გიორგი გამჭრამა.



## ბაჩევ დედავანჩა

### ვ ა ნ ტ ა - ჩ ე ლ პ

მირამარაში ზღვის ოოლიები ისე გულსაკლავად არ გაჰყივიან. როგორც სხვა ქვეყნებში. აქ ცა ისე ლურჯია. როგორც ფირუზის ტბა. ზღვის ზურმუხტოვანი ტალღები ეხეთქებიან სრუტის ნაპირებს და იკარგებიან მბრწყინავ შემორკალულ ჰორიზონტზე. რომელიც გადაშლილია ვენეციის ლაგუნიდან ილირიის ყვავილოვან ველებამდე. ზღვაზე მიცურავენ, ერთიმეორეს უსწრებენ იალქნიანი ნავები. გედების მსგავსად რომ გადაუშლიათ ფრთები და ღრმად რომ ჩაუყენათ თავიანთი ნაცრისფერი თათქბი. აქ მოგზაური იხიბლება და განცხრომაშია, თავს ისე გრძნობს, თითქოს იალქნებში. ზანტად რომ ფრიალებენ კვიპაროსებითა და ფორთოხლის ხეებით შემოსილ ზღვის ნაპირებზე. წყრიალებენ სასიყვარულო სიმღერების ტკბილი ბგერები.

თუ პადე დამძიმდება, მეთევზეები მხიარულად ეწევიან თოკებს, მათი ბრინჯაოსფერი კუნთები იძაგრება და. როდესაც ტალღებზე გამოჩნდება თევზი, რომელიც ხტის და ბოლოს ატლაშუნებს. მეთევზეები მღერან და ხმები სიმღერისა, რომელიც წინაპრებმა უსახსოვრეს. ერთგიან წყლის ხმაურს.

გაუმარჯოს ბეღნიერ მხარეს. სადაც ნიავის მსუბუქი ქროლა სითბოთი და ალერსით საგსეა! ვიდრე შენ მდიდარი იქნები თევზით და ოქროს მზით განათებული, ვიმოგზურებთ ჩვენი ნავებით თვით აღრის ნაპირებამდე.

ბეღნიერო დაისო, შენ ხიბლავ და იზიდავ ყველაფერ ცოცხალს, რაც ზღვათა სიღრმეებში სულდგმულობს, ჩვენი ვეება ბადეები კი ივსება თევზით. ჩვენს მხარეში იშეიათად ჰქონიან უტეხი ქარები. შავი ღრუბლები მძიმედ ჩამოწვება ხოლმე, მაგრამ სულ მალე იფანტება, ელვისებური სისწრაფით მოდის წვიმა, მაგრამ წამოვა და უცეი გადაიღებს.

ჩვენი ცა ისეთია, როგორც უწყინარი ბავშვი, ტირის, რომ ვაშინვე გაჩუმდეს თვალცრუმლიანი გაუმარჯოს ბეღნიერ მიწიერ სამოთხეს!..

მოლოს მიღამოებში. კირქვისა და ქვაკლდოვან ქარაფებს შორის, მეჩეჩზე ისვენებენ მეთევზეები. ისინი უდარდელად ღვევენ თუთუნს და აფურთხებენ წებოვან ყვითელ ნერწყვს, მათ ახურავთ გვერდზე გადაწეული მუქ-ლურჯი ნა-

ბდის ქუდები, აცვიათ მუხლებამდე აწეული შარვლები. ხამის უხეში ხალათი  
ფართოდ აქვთ გაღელილი და მოუჩანთ ხშირი ხუჭუჭა ქერა ბანჯვლები. ყველანი გაარსულნი და გამხდრები არიან, ვერცხლის საყურეები უბრაზისტები უშპლერითიკა  
ყურის ბიბილოებზე.

ქვე უწყვიათ ახალი თევზით სავსე კალათები.

ცოლები ელიან. მაღლა თავსაფრებს იქნევენ. ბავშვები ქარაფებიდან ჯუფუ-  
ჯგუფად დაბლა ეშვებიან და შორიდანევ ეკითხებიან. მოიტანეს თუ არა კიბორ-  
ხსალები, კიბორები და ზღვის გარსკვლავები?

მეფეუზეებს კი თან მოაქვთ მრავალი სახუმარო მშბაგი, სიმღერები, ლეგენ-  
დები. ახალგაზრდები ჰყვებიან როგორი ქარიშხლები დასტლიეს. როგორი ქა-  
ლიშილების გული დატყვევეს ტრიესტში და როგორ აჯობეს ზღვის ღორებს  
ცურვაში. მოხუცები კი ლაპარაკობენ კონდორტიერების სისამტიკეზე. ჰყვებიან  
უსახლევროდ მრავალ ლეგენდას, რომლებიც მათ მოუსმენიათ „სისხლიანი  
კლდის“, „კაპიტან პიომბოს ჭკრისა“ და „ლაგუნის აჩრდილის“ შესახებ, რომე-  
ლიც შუაღამიდან იმ დრომდე დაეხეტება. ვიზრე აახე ციკრის გარსკვლავი არ  
გაბრწყინდება. მსგავსად ვერცხლის მონეტისა.

მხოლოდ მოხუცი ფანტა დგას ჩუმად. ძელქვის ბუჩქებით დაფარულ  
კლდოვან ქიმზე დაყრდნობილი. ჭალარა თმა და წვერი ზღვის მარილით აქვს  
დაფარული, თმის კულულები ცეცმა თვალებზე, სახეზე. რომელიც ჩამოშმარი  
და ნაოჭებით სავსეა, სწორედ ისე, როგორც მხეზე გამხმარი ბატქის ტყავი.

— შენ სიმღერა შეგიძლია, ფანტა. შენ გუდასტვირიც გაქვს, აბა ერთი  
ისე გვამდერე, რომ მოებმა და ზღვამ ბანი მოგვკეუს!

— გაიხსენე, ბაბუა ფანტა, შენი ახალგაზრდობა...

— გეყოფა მათზე წუხილი, ვინც დაიღუპა; ქვეყნად არაფერი ისე არ ქრე-  
ბა, რომ თევესი კვალი არ დატოვოს!..

— გაჩუმებას კუბოშიც მოასწრებ, მირონცხებული და მიწით პირამოვსე-  
ბული.

— გვიმდერე, ხომ იცი, შენს საფლავზე იმღერებენ კალიები, გველები და  
ბაყაყები.

მოხუცმა ფანტამ თავი გააქნია და გააჩუმა თავისი დამცინავი ამხანაგები.

— ეხ, ჩემი გუდასტვირი უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც სიცილს გადაეჩერა.  
მე მას ვგერავ, რომ დავამდერო ნეაპოლური ტარანტელა, ის კი მაინც ტი-  
რის, ეს შწუხარე მეგობარი ჩემი გულისა.

მისი გუდასტვირი გაიბერა როგორც ზღაპრული მხეცი, რომელიც თანდა-  
თან ცოცხლდება, და მისი გაბმული ოსტატური, ძლიეს გასავონი ოხვრა წააგა-  
ვდა ზღვის სიღრმეებიდან მოსულ ნაღვლიან მშბაგი. მოხუც ფანტას ჩაშავებულ  
ფოსოებში თვალები აუელვარდნენ. წარსულის მოგონებებით შეპყრობილმა  
წამოიწყო თავისი ამბავი:

— როდესაც ქვეყნიერება უდაბური არ იყო და მზე ორგერ ამოღიოდა და  
არასოდეს არ ჩადიოდა, ფანტა-ჩელა მხიარულად ცხოვრობდა სრუტის მაღალ  
ნაპირზე. მთების გადამწვარ საძოვრებიდან თხის ფარას მოერეკებოდა ნოყიერი  
ბალახით სავსე მდელოებზე. რომლებიც ბიბინებდნენ დაფნის მოლურჯო ჩრდი-  
ლში. მისი დაშლილი დალალები ლიმბოშე უფრო სურნელოვანი და უფრო ოქ-  
როსფერი იყო, მისი თვალები კი უწყინარი და ნათელი, ტივორის ყვავილზე  
უფრო ლურჯი და მშვენიერი.

როდესაც ის იძინებდა, მის ლოკებს თიქნები ეალერსებოდნენ. ტრიუმფი კი კი. რომელნიც ვაზის ფოთლებში ჟღურტულებდნენ, თავიანთურს ვაჯუმა ბგერებით აღვიძებდნენ მას. ის გასცეროდა ვერცხლისფერ მზაურებულებებს, გადაჭიმული რომ იყო ზღვის სწორ ზედაპირზე, რომელიც ცისარტყელის უველა ფერით ლივლივებდა.

ფრთამალი ალბატროსები და ზღვის თოლიები მიაპობდნენ ზღვის ლივლივა ზედაპირს, მისდევდნენ თავიანთ მასაზრდოებელ მსხვერპლს. უბის ფერდობებზე მიმოფანტული ზეთისხილის ბალები წააგავდა პაეროვან საკერებლებს, რომლებიც დაბნეული იყვნენ მწვანე, ყვავილოვან ტილოზე.

და ჩელა, ფართოდ გაღებული თვალებით, წელში ამაყად გამართული, იწყებდა სიმღერას. მისი სიმღერის ბგერები მარმარილოზე დაცუმული შადრევნის შეხეფებივით დადუმდნენ და არ იგრძნობოდა მის სიმღერაში არც აზრი, არც თანამიმდევრობა. ძნელი იყო მისი ფიქრის გაეგბა. ძნელი იყო მისი გრძნობების უცნობა. ზღვასა და ცას შორის კი სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა ჩელას სიმღერა. რომელიც ცივსა და ბუნდოვან სევდას გამოხატავდა.

გუდასტევირი, რომელსაც მოხუცი ფანტის ხელი მეტყველებდა, მწუხარედ კენესოდა. და თითქოს ვინმე ახრჩობდა მას, გულიდან აღმომხდარი მწუხარე ბგერები ერთმანეთს ასწრებდნენ და ილტვოდნენ სწრაფად.

„საიდან მოხვედი, შენ ჩელა, იმ ქვეყნის განძო, სადაც არაფერი მიწიერი არ არის, არავითარი სიბოროოტე არ არის... საიდან გაჩნდი შენ, მითხარი?“

„მე მოვდივინ იქიდან, საიდანაც ყველანი მოდიან. და იქ მივდივარ, სადაც ადამიანის ფეხი ჯერ არ დადგმული. — მიპასუხა მე მან. ივი ეალერსებოდა ჭრელ, ლაქებით მოხატულ თიკანს, რომელიც ლამობდა რქენით წაეყვანა ჩელა. „სად მიდიხარ, ჩელა, სად?..“

„ამ ქვეყნის იქით. იქ, სადაც არავინ არ გამომყება.“

„როდესაც შენ იმალები მთების ქვაკლდოვან გამოქვაბულებში, არა გტანგავს მარტოობა?..“

„მე არ ვიცი რა არის ტანგვა, იმიტომ რომ ჩემთვის უცნობია სიხარული; მე არ ვტირი იმიტომ, რომ არასოდეს არ მიცინია. წმიდა პეტრეს ჩიტები მიპქრიან, მიაპობენ ქარს, დარშიც და ქარიშხალშიც ისინი ერთნაირად მღერიან, ერთნაირად უცვლელი რჩებიან. აი, ჰყითხე მათ, ბელნიერი არიან ისინი თუ არა?..“

„მაგრამ მითხარი, ჩელა, როდესაც დღე ღამეს ერთვის, არ გრძნობ გულის ცეცხლი როგორ გიშვავს ღაშვებს?.. და არ უშედი ამაოდ ხელებს იმ ახრდილებს, რომელნიც წარმოდგენით გყავს შექმნილი?..“

„ვინ მაშტყენინა მე, ვინმეს რომ მივუალერსო დასამშვიდებლად? ვინ მეალერსებოდა, რომ შემეძლოს მასზე ენალებლო?.. რისთვის უნდა მეალერსონ? რისთვის უნდა ვინალებლო? ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ ქედავ. მესმის და ვგრძნობ მას, რაც ჩემს ირგვლივ არის გამეფებული. უასმინი ავსებს პაერს თეთრი ფუტერების თაფლის სურნელებით, გარიურაქზე ტრიქსტის მთებზე მზე ლალისფერი არშიით გველივით იკლავნება, შუალედისას კი ფანტაჟს ცისარტყელის, რომელიც გამოკრთის ზღვის ყოველ წვეთში. აი ჩემი სიხარული, აი ჩემი მწუხარება!..“

„ჩელა, თუკი არც ყაჩაღმა, არც მეთევზემ და არც მწყემსმა იგიჩქროლეს გული, მაშ ვიღას მოუხმობ შენს სიმღერებში?.. ან რატომ მღერი შენ?..“

„მე იშიტომ ვმდერი, რომ ღმერთმა ხმა მომცა, სწორედ ისევე, . როგორც  
ვიხედები, რადგან თვალები ვმიმჩნია. რატომ გვემდერის მარად და მარად ზღვა  
თვის ზღაპარს?.. რატომ ზუზუნებენ ციკადები, როდესაც დედმიწა ბრელშეული  
ეხვევა?..“

„ჩელა, შენ მე შემომცეკერი შენივ ფიქრებით შეპყრობილი, ისე როგორც  
სერვოლას ნანგრევები. რომლებიც გულგრილად ვადასცეკერიან ისტრიის სივ-  
რცეს. მაგრამ შენ რომ შეგეძლოს ჩემს გულში ჩაწვდომა, შენ რომ ჩემს თვა-  
ლებზე მიხვდებოდე, თუ რამდენი უძილო ღამე ვამიტარებია, იქნებ მოწყალება  
გაიღო და შემიყვარო. იმ ტკბილი ფიქრით გატაცებული, რომ ჩემი სახლის  
ზღურბლთან მელოდები, გადავლახავდი ყოველგვარ ქარტეხილს, დავეწეოდა  
ყოველ ჯერაბს.“

და როდესაც მან თავი დახარი ჩემს ხვევნა-კოცნასე. აბრეშუმიერით რბილი  
ომები სახეს ვადაშეფინა. მთელი სხეულით ათრთოლდა და თბილი ცრემლები  
აენთნენ მის წამწამებზე.

„ვისაც უყვარს, ის არ კვდება!..“

თვით ღამებსაც არ შეგძლოთ სიყვარულის ცეცხლის ჩაქრობა. ბალიშზე,  
ჩელას თავის გვერდით ესვენა ბედნიერება და სიცოცხლის აზრი ნათლად წარ-  
მოშიდგა თვალშინ. ცა სულ ახლოს იყო ჩემთან, თითქოს ლურჯი ჭერი ყოფი-  
ლიყოს იგი. მირამარის წარმტაცი ბალები, რომელთაც ჩენ ვუახლოვდებით,  
ოცნებად მეჩვენებოდა და სიცოცხლეც მარადიული მეგონა.

ერთხელ მე ტრიესტისაკენ მივცურავდი, ზღვის ტალღებს მივაპობდი ნიჩ-  
ბებით. მე მივკროდი ზღვის თოლიებზე უფრო სწრაფად. და ჩემს გულში დეი-  
ოდა სურვილი იმისა, მთელი ქვეყნისათვის გამეგებინებინა, რომ დაფნის ხეთა  
ჩრდილში, სადაც მე ჩელის დალალების აღერსში ვიძინებდი, დღეები და ღამე-  
ები არ იყო ისეთი, როგორც ყველგანაა. სიცოცხლე კი ვარსკვლავთა ღიძილი  
იყო, არამიშიერი ბედნიერება! მე რომ შემძლებოდა გულში ჩამემალა ის გრძნო-  
ბები, რომელთაც ვერ დაიტევდა მთელი კაცობრიობის ყველა გული ერთად, ბე-  
დნიერებისაგან მოკვდებოდი.

ოცე რატომ ქარმა არ გადამაგდო მაშინ ზღვაში ზვიგენების კერძად. ჩემი  
სიცოცხლე არ გაქრებოდა, ჩემი სიყვარულის უკანასკნელი თრთოლება კი, რო-  
გორც რბილ საწოლზე. ტალღებზე მიძინებული, მარად იხეტიალებდა მსგავსად  
სინათლის შუქისა. რომელიც გრძის უვლის უსაზღვრო სამყაროს, მარად ჩაუქ-  
რობდად.

— მომიტანეთ სისხლივით წიოელი კიანტი\*, დამისხით ბაროლო\*, რომელიც  
ენებასავით დუღს!

ასე ყვიროდნენ ჩემი მეგობრები, როდესაც ნავიღან ნაპირზე გადავხტი.

და ზედაცემულ ქალებთან ერთად ჩვენ ვცლიდით ბოთლს ბოთლზე, ვიდ-  
რე სრუტის შავბნელ ტალღებზე არ აინთო ტრიესტის შუქურას ოქროს ენა.

როდესაც მე შინ დავბრუნდი, პირქუშ სიბნელეს მოეცვა ჩემი გონება. მე  
შევეცადე წარმომედგინა ჩელა ჩვენი სახლის ზღურბლზე; მაგრამ ჩემს გონება-  
ში, რომელიც თითქოს ტყვიით მქონდა დამძიმებული, ეს სალოცავად გადაქ-  
ცეული სახე, ენთებოდა და მყისეე ქრებოდა. როდესაც მე წარმოვიდგენდი მის  
ოქროსფერ თბებს, მაშინ მოელი მისი სახე ნისლივით ბუნდოვნად მეხატებოდა,  
და თუ შევცერდი ალმოდებულ ღაწვებს, მისი თვალები ქრებოდნენ.

\* ლეინის სახელებია.

ორჯერ შემიყენო სიბრაზემ და ორჯერვე წამოხტი ფეხს. მე ხელიდა დილი შევცერიოდი ჩემს წინ ნათლად მოგიზგის კრას, სადაც მელოდია ბეჭდი ერება. მაგრამ თითქოს მორევში ინთქმებოდა იგი.

ქარიშხელი აზვავებდა ბნელ ტალებს, რომლებიც ემსგავსებოდნენ შევი მარმარილოსაგან ჩამოკვეთილ გორსაებს, მრისხანედ მრაქანებდა მათ, ვიღრე აზ მიამსხვრებდა ნაპირებზე, სადაც სტოვებდა მწარე. შმავად მოთუხოუხე ქაუს.

ნაშუალმეევს ურდული გადავწირ და კარი ვევალე. ჩელა ტიროდა დვოის-შობლის ხატის წინ მუხლებზე დახიქილი.

— საიდან გაჩნდი შენ? — შემოძიხა მან ატირებულმა, — რომელმა შავ-ბნელმა ვნებებმა ჩავიქრეს თვალთა სინათლე?

და გაქრა ლამის წყვდიაღში.

მე მას უკან დავედევნე. წამებისაგან აღგნენებული თვალებით გაცემეროდი შეგნელ სიცრცეს. ტკივილი მიფერფლავდა კულს, მაგრამ ადვილზე გავშეშდი... ეულტორის მარცხენა მხარეზე, ლამის წყვლიაღში თეთრად ძოჩანდა ადამიანის მოყვანილობა და ჩელას ხმა ინთქმებოდა ზღვის ტალღების ღრიანცელში.

— ფანტა! ფანტა!.. ვისაც უყვარს, ის არ კვდება!..

გაისმა სხეულის დაცემის ხმა, რომელიც ჩატკლა ზღვის ტალღების ბობოქარმა ხმებმა.

მეორე დღეს მე ივედი ეულტორის ქარაფზე, საიდანაც ზღვა სარკესავით სწორი და კრიალა მოჩანდა. ჩემი გუშინდელი ბედნიერების სამარის კვალეც კა არა ჩანდა.

მეზღვაურებო, რომელნიც ქარიშხლებს ამარცებთ, რაც შეიძლება შორს დაიჭირეთ თავი ტრიესტისაგან. გააპეთ მთები და მის გულში შეინახეთ ყველა თქვენი უძვირფასესი საგანძურო. ზღვათა შვილებო, ქალაქელი ზალხისაგან მხოლოდ იქ გადაირჩენთ თავს!

მოხუცი ფანტა გაჩუმდა და წარბები შეიკრა. მეოვეზეები პირგვარს იწერდნენ და ჩურჩულებლნენ: „საწყალი, ჰკუაზე აღარ არის!“ წასვლის წინ მოხუცი გუდასტვირიდან ჰაერი გამოუშვა და გაისმა შესაბრალისი, გულის წამები ხმა, რომელიც ყურს სჭრიდა წერილი ხერხის მსგავსად. მხე ჩემშეა და სიჩუმეს მხოლოდ და მხოლოდ ფანტას ბუტბუტი არვევდა:

— როდესაც ქვეყანა უდაბნო არ იყო და შენ ორჯერ ამოდიოდა და არა-სოდეს არ ჩადიოდა, ფანტა-ჩელა მხიარულად ცხოვრობდა სრუტის მაღალ ნაპირზე, მთების გადამწვარი საძოვრებიდან თხის ფარას მიერკეცხოდა ნოკიერი ბალახით სავსე მდელოებზე, რომლებიც ბიბინებლნენ დაფნის ხეების მოლურებ ჩრდილში. მისი დაშლილი დალალები ლიმინსე უფრო სურნელოვანი და უფრო ოქროსფერი იყო, მისი თვალები კი, ნათელი და უწყინარი, ციკორის ყვავილებზე უფრო ლურჯი და მშვენიერი.

თარგმანი მლიზბარ ზედგინიდა



## ამისან გუგენიძე

### მარადთოვლიან ალპებში

ფრონტის ჩანაწერილან

ენის ოპერაციის შემდეგ საბჭოთა არმიის ნაწილები აღმოსავლეო ალპებში შეიჭრნენ. მტკიცედ დაიჭირეს აქტიური თავდაცვის ხაზი და მზად იყვნენ გადამშვერტი შეტევისათვის. ეს ბარენცის ზღვიდან ადრიატიკის ზღვიდე გადაჭიმული უზარმაზარი ფრონტის ერთ-ერთი პატარა უბანი იყო. მართალია, ჩვენს მიწა-წყალზე ჰიტლერელ დამპყრობთა ჭაჭანებაც არ იყო, მაგრამ საბჭოთა მეომრებს ჯერ კიდევ ბოლომდე არ მოეხადათ ვალი — დახმარება სჭირდებოდათ ფაშიზმის უღელქვეშ დატანჯულ ევროპის ხალხებს.

— ეისნათ ევროპა ფაშიზმის მონბისაგან!

აი ამ ისტორიული მისის დასაგვირგვინებლად იბრძოდა მაშინ სახელოვანი საბჭოთა არმია. ამ უდიდესი საკაცობრიო საქმისათვის სიცოცხლეს არ ზოგავლნენ გვარდიის გენერალ-მაიორ ჯანუას მებრძოლებიც.

გვარდიის მაიორ მოისენეოს საარტილერიო პოლკს ნაბრძანები ჰქონდა მძლავრი საარტილერიო ცეცხლით დახმარებოდა ფრონტის ამავე უბანზე მოქმედ ქვეითი ჯარის ნაწილებს და მათთან

ურთიერთოქმედებით უკუეგდო კონტრშეტევაზე გაღმოსული მტერი, შემდეგ კი განვეოთარებინა შეტევა დასავლეთის მიმართულებით.

მაღალმთან და უგზო ადგილებში არტილერისტებისათვის ადვილი როდი იყო ამ ამოცნის შესრულება. მაგრამ სარდლობის ბრძანება ხომ კანონია! და მალე ეს საბრძოლო დავალება უკლებლივ ყველა მეომარს გააცნეს.

\* \* \*

ლამის თორმეტი სათი იყო. მეთაურის მიწურში გვარდიის სერუანტი ასლან გირეელიძე შევიდა და ბატარეის უფროსს წარუდგა.

— ყოჩალ, ასლან, რა მალე მოდი! უძილობა ხომ არ გაწუხებს, როგორ ხარ?

— მედგრად, ამხანავო გვარდიის უფროსო ლეიტენანტო! მზად ვარ შევასრულ ყველა საბრძოლო ბრძანება!

„აბა ის რა მებრძოლია, ვინც უძილობას უჩივის“, უნდოდა ეპასუხნა გირკელიძეს მეთაურისათვის და ისიც დაემთებინა. რომ ამ მთებს ჩვენი წინაპრების — დიდი მხედართმთავრების ალექსანდრე სუვოროვისა და პეტრე ბაგ-



რატიონის და მათ თანამებრძოლთა გმირობა კარგად ახსოვს.

— ი რა, ამხანაგო გირკელიძე!..

და ბატარეის უფროსმა საველე ჩანთა გახსნა, რუკა ამოიღო, გაშალა და ჯიბის ელექტროფანარი დაანათა, ამოცანა ახსნა, შემდეგ დასძინა:

— მხედველობაში იქონიეთ, რომ თქვენ იქ ჩვენი პოლკისაგან დამოუკიდებლად იმოქმედებთ. სურსათა და საბრძოლო მასალებს მხოლოდ და მხოლოდ გვიან ღამით მიიღებთ. ისე უნდა ჩაეყოთ ი ეს გზატკეცილი, რომ მტრის მხრიდან ჩვენებ ბუზიც კი ვერ გამოფრინდეს. აღგილზე მისვლისთანავე დაუკავშირდით იმავე მიმართულებით მოქმედ ქვეით ასეულს. მალე კვლავ შევხდებით ერთმანეთს.

— არის, ამხანაგო მეთაურო!

— საბრძოლო წარმატებებს გისურვებთ, ნახვამდე!

გირკელიძის საარტილერიო გუნდმა იმავე ღამეს მტრის შეუმჩნევლად ქვემები ნაბრძანებ აღგილზე გადაიტანა.

ძლიერი და ხანგრძლივი წვიმებისა და ნისლის შემდეგ 8 მაისს მშვენიერი მზიანი დილა გათენდა. ცამდე აღმართული მთების მწვერვალებზე თოვლი ქათქათებდა, ველზე კი გაზაფხული დაბრძანდებოდა.

მდინარე ტრაიზენის მარცხენა ნაპირის გასწვრივ გზატკეცილზე იდგა 76-მილიმეტრიანი ქვემები. ბრძოლებში გამოწრობილ არტილერისტებს იგი ისტატურად შეენიობათ. წინათ ამ ყალიბის ქვემებით მხოლოდ დახურული პოზიციიდან ისროდნენ, მაგრამ ახლა საჭიროებამ მოითხოვა და პირდაპირ დამიზნებაზე დააყენეს. საარტილერიო გუნდს ნაბრძანები ჰქონდა მტრის ტანკებზე „ნადირობა“.

ქვემების ლულაზე ექვსი დიდი და ცხრა პატარა ვარსკვლავი ეხატა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა არტილერისტებს ფაშისტთა ექვსი ტანკი და

ცხრა ჭავშნიანი მანქანა გაუნადგურებიათ.

ქვემებთან იდგა „დიდების როი ორდენით მკერდდამშვენებული ქვემების უფროსი ასლან გირკელიძე და წითელი ვარსკვლავის ორდენისან ახალგაზრდა მემიზნე ათანასე პუგაჩენკოსთან ერთად ყურადღებით ათვალიერებდა საშიშ ადგილებს.

— ავგონ, ათანასეს მთელი ღამე არ უძინა, შეცვალე!

უბრძანა გირკელიძემ მესაკეტე იუსუფოვს და მემიზნე პუგაჩენკოსთან ერთად მიწურში ჩავიდა.

— მოგმივდებოდა, ათანასე, იქ პური და ხორცია, არაყიც.

ცოტა ხნის შემდეგ მიწურში ქვეითი ასეულის მეთაური ჩავიდა.

— ამხანაგო გირკელიძე! მტერიკონტრშეტევაზე გადმოდის. რამდენიმე წუთის წინათ ამ მაღლობზე ტყვიამფრქვევი იატანეს. ახლაც იქ არაან ჩასაფრებული. ხედავთ? მტრის მეცვტომატები ჩვენს მებრძოლებს ცეცხლს უშენენ. როგორც დავხერხვამ გვაცნობა, მათ განზრახვა აქვთ ამ სიმაღლიდან გაგვდევნონ. გთხოვთ დაგვეხმაროთ.

— ეხედავ, გასაგებია!

ბინოკულის მომარჯვების შემდეგ ხმაბლა და აუჩქარებლად უპისუხა გირკელიძემ ასეულის მეთაურს და მტრის შეუმჩნევლად ქვემებთან მივიდა. პორიზონტალური და ვერტიკალური თარაზოები გაასწორა. ამწევი და მიმობრუნებელი მექანიზმები გასინჯა. ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა. გირკელიძე ბრძოლისათვის მოემზადა. ის-ის იყო უნდა დაემიზნებინა. რომ პუგაჩენკო გამოჩნდა. არტილერისტებმა სიტყვაუთმებლად ერთმანეთს შეხედეს, თითქოს შეთანხმდნენ — სროლა არ შეიძლებაო.

მალე გირკელიძეს სხვა აზრი დაებადა, მეგრამ ვერ მოასწრო თანამებრძოლისათვის ჩანაფიქრის გაცნობა.

— არ შეიძლება, ამხანაგო მეთაურო. ხომ ხედავთ, პანორამით მიზანი არ

ჩანს. მტერი მაღლობზეა. აბა როგორ უნდა ვესროლოთ?

— როგორ თუ არ შეიძლება!

და გირკელიძემ კვლავ პანორამის ობიექტს გახედა. დარწმუნდა, რომ წესს მიხედვით სროლა მართლაც არ შეიძლებოდა.

— აბა როგორ, ჩემო მეგობარო. მტერს მანამდე დაველოდოთ, სანამ თვითონ მოვა სამიჩნევე?

— წესდებაში ისიც კი სწერია, — მოიგონა გირკელიძემ, — რომ რვას მეტრ მანძილზე უფრო შორს პირდაპირი დამიზნებით არ შეიძლება მტრის ტანქის დაზიანება, მაგრამ ჩვენ ბევრად უფრო შორ მანძილზე მოგვისპია ფაშისტთა ჯავშნონები.

გასროლის შემდეგ ლულა უკან რომ დაცურდება, შეიძლება სახაზინო ნაწილი ოდნავ მიწაში ჩაეფლოს. ამით, ვფიქრობ, არაფერი დაშავდება, იგი შემდეგ წინ წილშევს და კვლავ თავის აღგილზე დადგება. მოდი, კცალოთ!

დრო არ ითმენდა. გერმანელებმა საბჭოთა ქვეითებისათვის ტყვიამფრქვევის დაშენა დააპირეს, მაგრამ ვერ მოასწრეს. ართმელაძემ საკეტი გამოაღო, ლულის ღრუს გახედა და ქვემეხი მტრის ტყვიამფრქვევს დაუმიზნა. მისა ზედიზედ გასროლილმა სამმა ყუმბარამ მოსპო ჰიტლერელთა სატყვიამფრქვევო ბუდე.

— ყოჩალ, არტილერისტებო, ვაშა!

გაისხა ქვეითი მებრძოლების კმაყოფილი შეძახილი.

გირკელიძემ კმაყოფილებით გაიღიმა. შევი შეახვია, ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა.

მამაც არტილერისტებს ქვეითი ასეულის მეთაურმა მაღლობა გამოუცხადა და შეპირდა, როგორც კი შემთხვევა მომეცემა, ამ ამბავს გვარდიის საარტილერიო პოლკის უფროსს მოვახდებოდა.

ბრძოლა ამით არ დამთავრებულა.

მამაცი არტილერისტები კვლავ ფრთხილობდნენ.

— ფაშისტებს ხომ შევი კუთხამიერება ჩვენმა გმირმა არმიამ. ექვსი დღის შინათ ბერლინი ავილეთ. რაისსტაგის რუს შენობაზე ახლა გამარჯვებისა და მშვიდობის დროშა ფრიალებს. რაღა დარჩა, კიდევ ერთი გვარდიული დარტყმა და...

— იმ უნდა დავივიწყოთ, ჩემო ათანასე, რომ მტერი ჭერ კიდევ არ არის განადგურებული და იგი უკანასკნელ ძალას იქრებს. ჩვენ კიდევ მეტი მამაცობა გვძართებს. ნაბრძანები გვაქვს ხვალ, 9 მაისს, დილის ექვს საათზე შეტევზე გადავიდეთ. მაშ ასე, ბიჭებო, ხვალ ჩვენ შეტევგაზე გადავდივართ! ავგონ, ქვემეთან ახლოს მიიტანე ყუმბარები, გასწმინდე, არ გვიღალატოს. მე ასეულის მეთაურს ვინახულებ, შეტევაზე გადასეგლის სიგნალს დავნიშნავთ. საერთო ნიშანს კი ჩვენი და „კატეშა“ მოგვცემს.

დაღმდა. მთა და ბარი წყვდიადში მოექცა. გირკელიძის საარტილერიო გუნდი მზად იყო გადამწყვეტი შეტევისათვის. ყველას ერთი ინტერესი იმოძრავებდა — მტერი მაღლე გაენადგურებინათ და სამშობლოში, თავიანთ ოჯახებში დაბრუნებულიყვნენ.

— ასლან, მანდა ხაჩ? — ხმადაბლა ჩაულაპარაკა მიწურში მყოფ გირკელიძეს ბატარეის ზემდეგმა ალექსანდრე ზაიცევმა. — ვახშამი მოვიტანე, ცოტა ლვინოც. ეს დილით დალიეთ, ხვალ ხომ „საბანტუი“ იწყება.

— დიდად გმადლობ, ალექსანდრე თევლორეს-ძევ. ეს სად იშოვეთ? ჩვენებურ ქართულ ღვინოს ჰერეს. ომი თუ მილე დამთავრდა და ცოცხალი დავრჩით, ჩემს სამშობლოში წავიდეთ. იქ ნამდვილ ქართულ ღვინოს დავლევთ. საქართველოსთანა მშვენიერ მხარეს ერსად ნახავთ.

— მე ბევრჯერ მსმენია საქართველოს, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობის ამბავი, მშვიდობას ველირ-

სოთ და უთუოდ წამოვალ, უთუოდ.  
ახლა კი ბატარეაში უნდა წავიდე. ნახ-  
ვამდე! ყოჩალად იყავით, ბიჭებო, ყოჩა-  
ლად!

ცხრა მაისი თენდებოდა. დილის 5  
საათი და 30 წუთი იყო. გირკელიძე  
მოუთმენლად ელის „კატუშას“ სიგ-  
ნალს და მაჯის საათს თვალს არ აშო-  
რებს. დორ გადის და შეტევაზე გადას-  
ვლის სიგნალი კი არ ისმის.

— ალბათ, ხვალ დილისათვის გადა-  
დეს. — გაიფიქრა გირკელიძემ.

ამასობაში ზურგიდან მხედრული სი-  
მღერები გაისმა.

— ეს რას ნიშნავს? ვინ უნდა უყვ-  
ნენ. შეშლილები ხმი არ არიან?..

ხმადაბლა ჩაილაპარაკა გაკვირვებუ-  
ლმა გირკელიძემ. მშ დროს ქვემეხთან  
მყოფ საარტილერიო გუნდს მიაშურა  
მშვერავმა ჯამახანოვმა და სიხარული-  
საგან აღელვებულმა მიაძახა:

— ბიჭებო, მკონი ცოცხალი დავრ-  
ჩით, ამოდით ჩქარა, ბატარეის უურო-  
სმა ბრძანა. ყველანი მიტინგზე.

სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. კი-

რელიძემ თავისი საარტილერიო ცა-  
ლი ნაბრძანებ ადგილზე მთიყვანა. იქ  
უამრავ ჯარისკაცსა და ოფიციალუ-  
რების მიერთებული უკანასკნელი არანცეულებრივად  
აღტაცებული იყვნენ, მაგრამ საქმის  
ნამდვილი შინაარსი ჯერ არაერთ იცო-  
და.

დივიზიონის უფროსი გვარდიის კა-  
პიტანი ვიქტორ კრიკოშვერი მტრის ტა-  
ნკზე ავიდა, სახელდახელოდ მოწვეული  
მიტინგი გახსნა და სიტყვა მისცა თავის  
მოადგილეს პოლიტიკურ ნაწილში გვა-  
რდიის უფროს ლეიტენანტს ბორის გო-  
რიანოვს, რომელმაც მიტინგის მონაწი-  
ლე ჯარისკაცებსა და ოფიცერებს აუწყა,  
გერმანელებმა იარაღი დაყარეს და  
უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადეს,  
ომი დამთავრდაო. და გმარჯვება მიუ-  
ლოცა მოთ.

აღფრთოვანებული ოფიცერები და  
ჯარისკაცები ერთმანეთს ეხევოლნენ,  
ჰკოცნიდნენ. ვაშას გუგუნი ცას მიარღ-  
ვევდა.

ასე იყო თხუთმეტი წლის შინათ მა-  
რადთოვლიან აღტებში.



## II სეზონი

### ბრძოლით განვიღი გზა

წლევანდელ ცხრა მაისს ჩვენმა ქვეყანამ დიდი ზემოთ აღნიშნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების თხუთმეტი წლისთავი.

დიდ სამამულო ოში მძვინვარე მტერზე საბოლოო გამარჯვების შოსაზოვებლად საბჭოთა ხალხის შეუპოვარ ბრძოლებში გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველმა მეომრებმაც, მოელმა ქართველმა ხალხმა. ამის საუკეთესო მაგალითია ანაპის წითელდროშოვანი 414-ე ქართული დივიზიის პირადი შემადგენლობის თავდადებული ბრძოლები. თერგის ნაპირები, ჩრდილოეთა დაცვისია, კალაბატკა, ანაპა, ტამანა, ქორჩი, სიმფეროპოლი, სევასტოპოლი — აი, ის ბრძოლით განვლილი გზები, სადაც გამოვლინდა ქართველ მეომართა ვაჟა-ცობისა და სამშობლოსათვის თავაგანშირვის ბრწყინვალე ნიმუშები.

მე, როგორც ამ სახელმწოდევებილი დივიზიის ერთ-ერთ მეომარს, მაგონდება პირველი საბრძოლო ნათლობა. ეს იყო 1942 წლის პირველ ივნისტოს. თერგის მისადგომებთან ჩვენი დივიზიის მებრძოლები პირველად ეკვეთნენ მტერს. ფაშისტები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მაგრამ ამაოდ ერთ-ერთი

მძლავრი იერიშის დროს მტრის არტილერიამ გზა გადაგვილობა. შეუძლებელი გახდა ჩვენი წინწაწევა. და აი ჩვენი პოლკის საარტილერიო ბატარიების მებრძოლებმა გაბედული არტილერისტების ალექსანდრე სოფრომაძისა და ილია კვარაცხელიას მეთაურობით კუთვნილი მიუზღეს პიტლერელებს. მათ მიერ ზედიზედ გასროლილმა ყუმბარებმა მოსპეს მტრის ბატარეა და შეტევითი ბრძოლებისათვის გზა გაუკაფეს ქვეითებს. ეს იყო ჩვენი მსროლელი პოლკის პირველი საბრძოლო ნათლობა და პირველი გამარჯვებაც.

რაც უფრო წინ მიერწევდით დასავლეთისაკენ, მით უფრო მძაფრდებოდა ბრძოლები. გერმანელები ყველა ზომას ხმარობდნენ საბჭოთა არმიის შეტევითი ბრძოლების ჩაშლისათვის. მაგრამ ეს მათ სურვილზე როდი იყო დამოკიდებული. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბნის — კალაბატკისათვის გააფთრებული ბრძოლის დროს ჩვენმა მეომრებმა ცხადყვეს ტაქტიკური მომზადებისა და მხედრული ოსტატობის მაღალი დონე, გაბედულება და სიმამაცე. მაგონდება, ამ ბრძოლის დროს მე და ორი ჯარისკაცი მტრის არტილერიისა და ავი-

აციის თავდასხმის შემდეგ მოვწყდო  
ჩვენს ნაწილს. ამით ისარგებლეს ფაში-  
სტებმა და მოინდომეს ჩვენი დატყვევე-  
ბა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში  
ჩვენ გავიმარჯვეთ. ამისათვის საბჭოთა  
მთავრობამ ორდენებით დაგვაჭილდოვა.

ମାଲ୍ଯ ଡାର୍ଗା ଠି ଛାଇ, ହୀନ୍ଦେଶ୍ୱର ଶାକ୍ତି  
ରୂ ଗାନ୍ଧା କିଣ୍ଡେ ଉତ୍ତର ମେତୀ ଓ ଜ୍ଞାନପାତ୍ର  
ଦା ଦା ସାମନ୍ଦଳିତଙ୍କୁ ତାଙ୍ଗାନ୍ତିର୍ବା.  
ଏହା ଉଚ୍ଚ ଗାନ୍ଧାମିଶ୍ରପାତ୍ର ଦ୍ରମଲ୍ଲେଖ ମିଳି  
ଦିନବାରେବଳା ଶାରୀ ଶଳ୍ଗୀର ଶାନ୍ତିର ଫାଲ୍ଗ  
ଅନାଦିତାଙ୍କୁ କାପିଶ୍ଚମିଳା ତେବେଳେର୍ଗୁ  
ଲେଖି ଗାନ୍ଧାତର୍ଗବ୍ରତ୍ତାଲୁ ହିନ୍ଦୁରାମଦ୍ୟାନଦାଳ  
ଗ୍ରାହିତ୍ତେବଳ୍ଲନ୍ତି. ଏହା ତଥାଦର୍ଶନେ ଫାଲ୍ଗିଷ୍ଠ. ଏହି  
ମାତ୍ର ଶ୍ଵରିଲ୍ଲଦେବନାତ, ରଙ୍ଗମର୍ତ୍ତି ଶ୍ରଦ୍ଧାରୀ-  
କିନ୍ତୁ ଲାଭ କ୍ଷେତ୍ରରୁକ୍ତିଲୋ ପୁନଃତ୍ରୀ. ମାଗରୀବ  
ମାତ୍ର ପ୍ରତି ସାତ୍ରିକୁ ମାର୍କତ୍ତିତ ଲାଭତାକ୍ରମିତ  
ଫାର୍ତ୍ତବ୍ୟେଲମା ମେଗମର୍କେବମା ଏହି ଦ୍ରମଲ୍ଲା-  
ଶିତ୍ତ ଆଶ୍ରେଲ୍ଲେ ସାମନ୍ଦଳି — 1943 ଜାନ୍ମିଲେ  
9 ଅକ୍ଟୋବରମ୍ବରରୁ ଏହିମିତ ଲାଭେ ଅନାଦି.  
କିନ୍ତୁ ତାଙ୍କୁ ଦ୍ରମାତାକ୍ରମିତ ଗ୍ରହମାନ୍ତର୍ଗୁଣତା ତ୍ରାମିତା  
ଦିନରେ ଦାଖିଲ୍ଲାଦିବି ଲାଭେବାରୁ ଏହା କିଣ୍ଡେ  
ଏରତ୍ତ ଦ୍ରମିନ୍ଦାର୍ଗୁ ଫାର୍ତ୍ତବ୍ୟେଲା କିନ୍ତୁ କିନ୍ତୁ  
ଶାକ୍ତିରେ ଶାକ୍ତିକୁ ଦିନି ସାମାନ୍ୟରୁ ନମିଲେ  
ଶାକ୍ତିରେ.

ანაპის ობერაციის დროს დავტკვეთებ მრავალი ფაშისტი დამშერობი, მათ შორის სამხედრო კომენდანტი — პიტ-ლერელი მაიორი.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მთავარსალ-  
დობის ბანაკის დიდად შეაფასა ანაპი-  
სათვის მამაც ქართველთა თავდადებუ-  
ლი ბრძოლა და დივიზიის პირად შემა-  
ღენლობას უმაღლესი მთავარსალდობის  
ი. პ. სტალინის მაღლობა გამოეცხად,  
ხოლო 414-ე ქართულ მსროლელ დი-  
ვიზიის „ანაპის დივიზიია“ ეწოდა. ეს სა-  
სიხარულო მმაგი ელვის სისტრატეგით  
გაერცელდა საქართველოს მიწა-წყალ-  
ზე. მთელ ჩვენს ქვეყნაში.

კავიდა რამდენიმე დღე და ჩვენს დი-  
კიზიაში კიდევ ერთი სასიხატულო ცნო-  
ბა მოვიდა. შეგვატყობინეს, რომ მალე  
ჩვენს სახელმოხვეჭილ ქართულ დივი-  
ზიას ეწვეოდა საქართველოს მშრომელ-  
თა დელეგაცია. ჩვენც მოუთმენლად ვე-

ლოდებოლით მათ მოსვლას. და ას, ეს  
სასიხარულო დღეც დადგა. 1943 წლის  
7 ნოემბერს — დიდი ოქტომბერის შუალედული  
ციალისტური რევოლუციის შემდეგ უდიდეს  
თავის დღეს ჩვენ გვეშვივნენ საქართ-  
ველოს ხელმძღვანელი პარტიული და  
საბჭოთა მუშაკები, მუშები და კოლმე-  
ურნეები, მწერლები და მსახომებები.  
სახელოვანი ქართველი ხალხის წარმო-  
მადგენელთა სტუმრობამ ახალი ძალა  
და ენერგია შემზატა დივიზიის პირად  
შემადგენლობას.

— კვლავაც შეუპოვრად ვიბრძო-  
ლებთ ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან  
ჩევნი საბჭოთა მიწა-წყლის მთლიანად  
განთავისუფლებისათვის, კვლავაც ვასა-  
ხელებთ დედა-სამშობლოს! — გაისმოდა  
მხედრული შეძახილები ქართველ სტუ-  
პართა ჩამოსვლისადმი მიძღვნილ მი-  
ტინგზე.

საქართველოს მშრომელთა დელეგა-  
ციამ რამდენიმე დღე დაჭყო ჩვენთან  
და გამოთხვებისას გვისურვა სრული  
გამარჯვება გერმანელ დამპყრობთა წი-  
ნააღმდეგ ბრძოლაში. ქართველმა მეომ-  
რებმა სასახელოდ შეასრულეს სამშობ-  
ლოს საბრძოლო დავალება და ყირიმის  
მიწა-წყალი სამუდამოდ გაწმინდეს პი-  
როვრელებისაგან.

ჩვენი ლამაზო სამშობლოვ  
განა ტყუილად დაგვზარდე?  
ლაგვეირდა, ოში მივლივართ,  
მოვკვლეთ, თუ ბრძოლა  
თავაზარდეს.

სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების მტკიცე ფიცის ეს ცეცხლოვანი სიტყვები მქუხარედ გაისმოდა ხოლმე გადამწყვეტი ბრძოლების დროს და იგი ძალისა და გამბედობას მატებდა ქართველ მეომრებს. საბჭოთა სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩენი ქვეყანა ასახელა ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა, მათ შორის ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას მკვიდრმა, უშიშარმა საბჭოთა ოფიცერ-

შავბდეულ წულუკიძემ. გულადი ოფიცერი განუზომლად უყვარდათ ჯარისკაცებს. ისინი აბდულს „ჩვენს ბაგრატიონს“ ეძახდნენ, ვეფხს აღარებდნენ და მისგან პირად საბრძოლო მაგალითს იღებდნენ.

ერთ-ერთი მძაფრი ბრძოლის დროს  
ფაშისტთა ტყვიამ დასცა ბატალიონის  
მეთაური, მაგრამ ბატალიონს მყისვე  
სათავეში ჩაუდგა აბდულ წულუკიძე და  
მოუწოდა მებრძოლებს შური ეძიათ მე-  
თაურის მოკვლისათვის. საბჭოთა ოფი-  
ცრები და მეომრები გააფრენებით იბ-  
რძონენ და არაერთი ფაშისტი გამოა-  
სალმეს სიცოცხლეს.

ქართველი მებრძოლები ზედიზედ  
ათვისუფლებლენენ ყირიმის მიწა-  
წყალს, ახლოებდონენ საბოლოო გა-  
მარჯვებას. გადამწყვეტი ბრძოლების  
დროს ბრძოლის ველზე გმირულად და-  
ცა კაპიტანი აბდულ წულუკიძე.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ შეუზოვარ ბრძოლებში სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა ჩვენი ქვეყნის მრავალეროვან ხალხთა მეგობრობა, რამაც უზრუნველყო დიდ სამარტო ომში ჩვენი გამარჯვება. ის ხალხთა შორის ურლვევი მეგობრობის ერთი მაგალითი ფრონტული ცხოვრებიდან. ერთ-ერთი იერიშის დროს ქართველი ვლადიმერ პაპიძე და ოუსი ნიკოლოზ პანტატოვი ხელჩართული ბრძოლისას დაშორდნენ ერთმანეთს. ვ. პაპიძე უკუჭცეულ ჰიტლერელებს ფეხდაცეს რომ მისდევდა, მტრის სანგართან აღმოჩნდა. ჩასატრებულმა ფაშისტმა ქართველი მებრძოლი რომ დაინახა, მიზანში ამოიღო და ხელუშებარა მოამზადა. ეს შეამჩნია ნ. პანკრატოვმა. რა ექნა, შორს იყო და ამიტომ, სხვა რომ ვერაფერი იღონა, ვ. პაპიძეს ხმამალუა შესძინა:

— პაპიძე, მტერი მარცხნიდან, თავს  
უშველო!

ამ შეძახილის გავონებისთანავე პაპი-  
ძემ სანჯარს შეაფარა თავი. გერმანელმა

მას ხელყუმბარა სტყორცნა მაგრა  
ვერაფერი დაკლო, სამაგიერულო უფლება  
თონ ვერ მოასწრო შეხამები ჰქონია მაგრა  
თავისი ვე ხელყუმბარით დაიღორა.

ასე იხსნა ნიკოლოზ პანქრატიოვამა  
კლადიმერ პაპიძე. შემდგომში ვ. პაპი-  
ძემ მრავალი ჰიტლერელი. გამოასალმა  
წუთისოფელს. საბჭოთა მთავრობამ დი-  
დად დააფასა საშმაბლოს წინაშე ამ  
უშიშარი მებრძოლის დამსახურება და  
მას საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო  
წოლება მიანიჭი.

„უშიშარი მზეერავი“ — ასეთი სახელი შეატკიცს მებრძოლებმა ახალგაზრდა და გემალ წითელაძეს. იგი ფაშისტ დამპყრობთაგან ყირიმის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ქართველი მხედრობის შეუბოგარი ბრძოლების მონაწილეა. ახალგაზრდა და გაბეჭდული მზეერავი ბრწყინვალედ ასრულებდა სარდლობის ყველა საბრძოლო დავალებას. საბჭოთა მთავრობამ ეს მამაცი მზეერავი წითელი ვარსკვლავის ორდენითა და რამდენიმე საბრძოლო მედლით დაჯილირდა.

ჭემალ წითელაძე ახლა ბათუმის ავ-  
ტონიატრიანსპორტო კანტორის მოშინავე  
მძღოლია.

საქართველოს ფარგლებს გარეთაც  
ცნობილია ისრაფილ ჯინჭარაძის სახე-  
ლი, რომელიც ფაშისტ სვაკებთან უთა-  
ნასწორო ბრძოლაში გმირთა სიკვდი-  
ლით დაეცა და საპქოთა კავშირის გმი-  
რის წილება დაიმსახურა.

კოცის განთვისუფლებისათვის სახე-  
ლოვან ბრძოლებში ვმირულდა დაიღუ-  
პა ხუთი ორდენისა და სამი მედლის  
კავალერი სულეიმან გრძელიძე. ბრძო-  
ლის ველზე დაეცა აგრეთვე მედიცინის  
კაპიტანი ჭურივ ანანიძე. მის სახელს  
სათოთხდა ინახავინ თანამშემოლები.

დღიდ სამამულო ომის ფრონტებზე  
თავდადებით იბრძონენ ამჟამად თა-  
დარიგის პოლკოვნიკები ასლან ბაგრა-  
მაშვილი

ქ და ხუსეინ ბექანიძე, პოდპოლკოვნი-  
კები მემედ ცინცქილაძე, დავით მეხე-  
შიძე, ლურსუნ შავიშვილი, მაიორი მი-  
ხეილ ანანიძე, კაპიტანი იოსებ კონცე-  
ლიძე და სხვები.

ჭოლანდიაში კუნძულ ტექსელზე პარ-  
ტიზანულ ომში გმირობისა და თავგან-  
წირვის იშვიათი მაგალითები გვიჩვენეს  
ასლან წილოსანმა, შოთა ბოლქვაძემ,  
მურად კეკეიშვილმა და შოთა ფუტკა-  
რაძემ.

წილოსანი და ასათიანი დასახურებად  
წაიყვანა ოთხმა გერმანელმა. ქართველ-  
მა დევგმირებმა ივაუკაცეს, ჯალათებს  
გაექცნენ, დახმცეს კიდეც და ისევ ბა-  
ტალიონში დაბრუნდნენ. წილოსანმა 36  
ქართველისაგან შემდგარი რაზმით გაა-  
რღვია გერმანელთა ალყა და გამანადგუ-  
რებელი დარტყმები აგვა მტრის ჭარბ  
ძალებს.

ასლანი და მისი ამხანაგები ამჟამად  
მშენდობიან შრომას ეწევიან.

ყირიმისათვის მძაფრ ბრძოლებში თა-  
ვი ისახელეს იმ ნაღმმტყორუნი ასეუ-  
ლის მებრძოლებმა, რომელსაც მეთაუ-  
რობდა უფროსი ლეიტენანტი გიორგი  
კიკნაძე. მენაღმტყორუნები ულმობ-  
ლად ანადგურებდნენ ფაშისტთა ბატა-  
რიებსა და ცოცხალ ძალას. ასეულმა  
უშიშარი ოფიცრის გ. კიკნაძის მეთაუ-  
რობით 1944 წლის 16 თებერვალს და-

მით, მძლავრი იერიშის შედეგად, საკას-  
ტოპოლის მისადგომებთან ხელი ჩადა  
სტრატეგიულად ხელსაყრელი შემუშავებულ  
თი უსახელო მაღლობი და ამით სამუა-  
ლება მისცა ქვეითებს განცვითარებინათ  
შეტევითი ბრძოლები. დიდ სამამულო  
ომში სარდლობის დავალებათა სანიმუ-  
შოდ შესრულებისათვის უფროსი ლეი-  
ტენანტი, ამჟამად მაიორი გიორგი კიკ-  
ნაძე დაჯილდოებულია სამი საბრძოლო  
ორდენითა და ოთხი მედლით.

ბრძოლის ასეთივე სახელოვანი გზა  
განვლო ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა. დიდ  
სამამულო ომში მამაცობისა და  
თავდატებისათვის 120 ქართველ მეო-  
მარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის  
საპატიო წოდება, ხოლო 40 ათასზე მე-  
ტი მებრძოლი დაჯილდოებულია საბ-  
ჭოთა კავშირის ორდენებითა და მედ-  
ლებით.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაი-  
ვიწყებს იმათ, ვინც გმირულად შესწი-  
რა თავი ჩვენი დედა-სამშობლოს ღირ-  
სებისა და დამოუკიდებლობის დაცვის.  
უკვდავია მათი სახელი. თითქოს მათ  
შესახებ უთქვამს დიდ ქართველ პოეტს  
ილია ჭავჭავაძეს:

არ არის მეცდარი, ვინც მოკვდეს  
და ხალხს შესწიროს დღენია,  
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ  
სახელი არ დარჩენია.



## შაბვა იოსებიანი

### ამ ლექსის ავტორს

არ დარჩენილა არც ერთი პალმა,  
რომ შენს ლექსებში არ აშლილიყო,  
აგაცისკროვნა ლექსშია და ქალმა  
და სიყვარულმა მგოსნად მიგიღო.

ფორთოხლის ტოტებს უმღერე დღემდი,  
ზღვამ ჭაბუკობა დაგიდასტურა,  
სივრცეში გაჭრილ თოლიას სდევდი,  
ტალღამ რამდენჯერ შხეფი გაპკურა.

პერანგას მკერდზე დაანთე ცეცხლი,  
შენს თვალებს ცრემლი არ ეკიდება  
და სტრიქონებზე დათლილი ვერცხლი  
ჰვავის ზლეის ფფსკრულში ნაპოენ დიღებას.

შენ გამოგზარდა მშობელმა კერამ  
და დაგილოცა ვაჟკაცის მკერდი.  
შენ გმირობაზე რომ არ გემლერა,  
რა იქნებოდი ლაჩარის მეტი.

შენ უნდა გაჭვევ გრიგალის ჭიდილს,  
არ დაიჩრდილო სიმარტოეთი.  
და რა იქნება იმაზე დიღი,  
ბეღნიერების იყო პოეტი.

იმღერე ასე, მღელვარე ბიჭო.  
ქარიშხალს სკრიდეს ზღაპრული ნევი.  
შენ დადუმებულ ცხოვრების გიგობს  
ბრძოლაში მამულს შესწირო თავი.

1 ლექსები მოგვაწოდა პოეტის დედამ ა. იოსელიანმა,

## თბილისიძან გათუმავდე

მატარებელი შორდება თბილისს,  
მოგვყვება მთვარე ზანტი ღინებით...  
წავა ეს ღამეც  
და ისევ დილით  
შეგვხვდება ზღვა და მანდარინები.

სულ მალე ისევ ვიქნებით ერთად,  
ჩვენ ხომ დავშორდით აკი დროებით.  
დილით დამხვდები მატარებელთან  
მანდარინების აკიდოებით.

ვჩეარობ.

ლოდინი კაეშანს მშატებს,  
რატომდაც ამ გზას არ უჩანს ბოლო,  
არც ისე შორს ხარ, რადგან შენამდე  
ერთი უძილო ღამეა მხოლოდ.



CP0465 ကတော်

იოსებ გრიშაშვილის სატრიუალო ლინიგა

„მე სიყვარულმა შემქმნა პოეტიდ...“  
— ი. გრიშაშვილი.

ଲୋକରୁକୁ ପାଇଁ ଏହାମଧିକର୍ତ୍ତା ଦିଆଯାଇଛି ।

ଲୀଳିର୍ଯ୍ୟା, ମିଳି କିରିତାଳାରୀ ମନ୍ତ୍ରୀଙ୍ଗେବାଦ, ମିଳି ପୁଣ୍ୟ-  
ତାଙ୍ଗ୍ରେସି ଉପ୍ରେଆଲ୍ୟବାଦ, ଅମିତ୍ରମି, କ୍ଷେତ୍ରି ଅଶ୍ରିତ,  
ଶ୍ରୀମର୍ତ୍ତାର୍ଥ ଏବଂ ପ୍ରେସରିଆନ ବୁନ୍ଦିରୂପିଙ୍କୋବାଦ, ଖାଲିଲୁପ୍-  
ଦୀର୍ଘ ଏବଂ ତ୍ରୈ ମଧ୍ୟ ମେହରୀରେ ଶ୍ରେମଜ୍ଞମେହରୀବାଦ ଦ୍ୱାବୀଶାସ-  
ନ୍ତ୍ରେବିଶାସ ଗାନ୍ଧିଶିଳ୍ପୀଙ୍କ ମିଳ ମାତ୍ରରୁ ମହେଶାଲାଙ୍କେନ୍ଦ୍ର-  
ରୀଙ୍ ପାନ୍ଧୀଶାସ, କେନ୍ଦ୍ରି ସାତ୍ରଫାଇଲିନ ଲେଖୀଶିଳ୍ପ ଏବଂ  
ସର୍ବଲ୍ଲାଭିତ ଏବଂ ଅବ୍ୟେନ୍ଦ୍ରିଯନ, ଏବଂ ନନ୍ଦିନୀରେ ସାତ୍ୟଗ୍ରୋତ  
ମନୋକ୍ଲାବିନ, ପାଲି ଏବଂ ହାମିଟ୍ରେଲାବାନ ଖାଲିଲୁପ୍ରିମ୍ବ  
କ୍ଷିରମନ୍ଦର୍ମନ୍ଦବାଦ, ପ୍ରବାଦିର, ଏବଂ ଏକାନନ୍ଦମାଲୁରାଦ ପ୍ରକାଶ  
ମିଶ୍ରିତିନିତ, ରାଜଗାନ, କୃତ ଉତ୍ତର, ଅନ୍ତର ଶ୍ରେବନ୍ଦୁ-  
